# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 29 ნოემბერი, 2008 წელი.

№ 224 (6081)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge    ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika    ფასი 50 თეთრი.


საპარლამენტო კომისია



# როდემდე წინდაუხედაობა, პრეზიდენტო?!

## „განსასჯელის სკამზე“ - მიხეილ სააკაშვილი...

**აგვისტოს** მოვლენების შემსწავლელმა დროებითმა საპარლამენტო კომისიამ გუშინ მორიგი (მგონი, სულაც ბოლო) პიროვნება დაჰკითხა, ამჯერად — საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

თუ ვინმეს იმედი ჰქონდა, განსაკუთრებით ეროსი კიწმარიშვილის თავზეხელაღებული ჩვენების შემდეგ, რომ რაიმე სენსაციურ ცნობას მოისმენდა, რომ ფარდა აეხდებოდა ბევრ აქამდე დაფარულს (სწორედ კიწმარიშვილის „გასანეიტრალებლად“), რა თქმა უნდა, ეს იმედი გაუცრუვდა.

პრეზიდენტმა ილაპარაკა უხვად და ჩვეულებისამებრ, „ზოგადად-კონკრეტულად“, მაგრამ, ფაქტობრივად არაფერი უთქვამს, რაც მისგან აქამდე არ მოგვესმინოს: რომ აგვისტოს ომში საქართველოს ხელმძღვანელობა ყოველმხრივ უბრალო და უმწიკვლო იყო, იგი მკერდით გადაეფარა ამერიკას — არავითარი „მწვანე შუქი“ ჩვენთვის არ აუნთია (ეს არც გვითხოვია) ომის საწარმოებლადო; არასოდეს ვლადიმერ პუტინისთვის „ლილიპუტინი“ არ მიწოდებია, საერთოდ რუსეთისა და მისი ხელმძღვანელობის მიმართ ყოველთვის კორექტული ვიყავიო. მან მხოლოდ ერთი რამ განაცხადა თვითკრიტიკულად: ბოლომდე არ გვჯეროდა, რომ რუსეთი ომს წამოიწყებდა, ჩვენი უცხოელი პარტნიორებიც გვარწმუნებდნენ — მიუხედავად თავისი აგრესიულობისა, რუსეთი მზად არ არის ფართომასშტაბიანი აგრესიისთვისო.

ოლოლო, შენ! რატომ არ ელოდით, ბატონო პრეზიდენტო, აბა რას ელოდით?

მერამდენედ — ეს „მოულოდნელობა“ და წინდაუხედაობა, მერამდენედ ეს გაუთვლელობა და საბედისწერო მარცხი, თავზარდამცემი დანაკარგები?

თანაც, ერთმა ღმერთმა იცის, ბოლო კია ეს დანაკარგები?



გორი. 2008 წლის აგვისტო.



4

**საიდ-ემინ იბრაგიმოვი:**

## „ფაქტია, რომ საქართველო ბრძოლის პირველ რაუნდს ჯერჯერობით აგებს...“

## „ზოგადად კიდევ ბევრი რამ ვიცი ხელისუფლების ბნელი საქმეების შესახებ“...

3



## აქარული ყარაბაღი

**სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი შეიძლება საქართველოს ხარჯზე გადაწყდეს?**

Версия 10

## ვერ გავიგე, ვის ინტერესებს ლობირებს სააკაშვილი?!

2

ინფორმაცია

## რუსულ აგრესიას ვერანაირი პროვოკაცია ვერ გაამართლებს

**საქართველოში ვიზიტით მყოფი დანიის პრემიერ-მინისტრის ანდერს რასმუსენის შეფასებით, ვერანაირი პროვოკაცია, თუნდაც იგი ქართული მხრიდან წამოსულიყო, ვერ გაამართლებს იმ აგრესიასა და ინტერვენციას, რაც რუსეთმა აგვისტოში განახორციელა.**

ამის შესახებ რასმუსენმა გუშინ საპარლამენტო უმცირესობასთან გამართულ შეხვედრაზე გააკეთა.

მან რუსეთის ქმედებები დაგმო და საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში გაერთიანებისა



და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისადმი მხარდაჭერა ერთმნიშვნელოვნად დააფიქსირა.

შეხვედრაზე საქართველოში დემოკრატიული რეფორმების მიმდინარეობის საკითხსა და აგვისტოს მოვლენებზე ისაუბრეს.

## დანია ყოველმხრივ მხარს გვიჭერს

**პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის განცხადებით, ბოლო წლების განმავლობაში დანია საქართველოს აქტიური მხარდამჭერია.**

ამის შესახებ ბაქრაძემ თბილისში მყოფ დანიის პრემიერ-მინისტრ ანდერს რასმუსენთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, დანია აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს ნატოში გაწევრებას და ევროკავშირთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას.

— დანია აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს ნატოში გაწევრებას. იმ შემთხვევაში, თუ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ჩვენი ქვეყნის გაწევრება მაპ-ის გზით არ მოხდა, მაშინ დანია მხარს დაუჭერს ჩვენს გაწევრებას სხვა მექანიზმის გამოყენებით, — განაცხადა ბაქრაძემ.

მისივე თქმით, შეხვედრაზე ისაუბრეს ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე, კონფლიქტურ რეგიონებზე, ევროკავშირისა და რუსეთის ურთიერთობებზე, რომ რუსეთი არ ასრულებს ევროკავშირის წინაშე აღებულ ვალდებულებებს.

## მამისონი — როკის გვირაბის ალტერნატივა

**მოსკოვი და ცხინვალი როკის გვირაბის ალტერნატიულ გზას მამისონის ხეობაში აშენებენ, რომლითაც რუსული ჯარის ნაწილები და სამხედრო ტექნიკა ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსეთიდან პირდაპირ შევა. ამის შესახებ გაზეთი „გაზეტა" იუწყება.**

ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პარლამენტის ვიცე-სპიკერი იური ძიცოითი აღნიშნავს, რომ როკის გვირაბის ალტერნატივა, რომელიც სამხედრო თვალსაზრისით მეტად ფაქიზია და კაპიტალურ შეკეთებასაც საჭიროებს, მამისონის ხეობა გახდება. მისი თქმით, ამჟამად გზის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს და მომავალ წელს გაიხსნება.

— ჩვენ ტექნიკური ტრასა გაგვყავს, რომელიც სამხრეთ ოსეთს რუსეთთან პირდაპირ შეაერთებს. გზა ნაკლებად კეთილმოწყობილი იქნება, მაგრამ როკის გვირაბის კარგი ალტერნატივა იქნება. ეს ტრასა ოსეთის სამხედრო გზის გაგრძელება იქნება და გვერდით გაზსადენი გაჰყვება, რომლის მშენებლობაც ახლა მიმდინარეობს. ახალი ტრასა სამოქალაქო ავტომობილებისთვის არ იქნება განკუთვნილი, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში სამხედრო სატვირთო ტრანსპორტი და ჯავშანტექნიკა მისით თავისუფლად ისარგებლებენ, — განაცხადა ძიცოითიმ.

ჯავასა და ცხინვალში ჩასვლა, სადაც ჩრდილოკავკასიის სამხედრო ოქლის 693-ე მოტომსროლელი ბრიგადის 3800 სამხედრო განთავსდება, ამჟამად მხოლოდ როკის გვირაბით არის შესაძლებელი. ამდენად, როგორც რუსეთის თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, სარეზერვო გზის მშენებლობა აუცილებელია.

აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსული სამხედრო ბაზების მოწყობა 10-12 მილიარდი რუბლი დაჯდება.

## მედვედევმა ან ინგლისური არ იცის, ან სხვისი ნათქვამი არ ესმის

**რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მიერ გახმიანებული დიდი ბრიტანეთის პოზიცია, უკრაინა-საქართველოსთან დიალოგის „ინტენსიფიკაციის" შესახებ, აღიქვა, როგორც აშშ-ს უარი საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭების შესახებ და ამის გამო კმაყოფილება ვერ დამალა.**

— ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უარი თქვეს საქართველოსა და უკრაინისთვის ნატოს წევრობის მომდევნო ეტაპზე გადასასვლელად აუცილებელი გაწევრების სამოქმედო გეგმის, ე.წ. მაპ-ის მინიჭებაზე, — განაცხადა დიმიტრი მედვედევმა.

არ ვიცი რისი გათვალისწინებით დაიკავეს მათ ამგვარი პოზიცია, მაგრამ მე კმაყოფილი ვარ, კმაყოფილი ვარ იმით, რომ საღმა აზრმა გაიმარჯვა.

— თუმცა სამწუხაროა, რომ ეს ახლანდელი ადმინისტრაციის მმართველობის ბოლოს მოხდა, — დასძინა რუსეთის პრეზიდენტმა.

ინტერპრესნიუსი, ХО-ЭОВ-ЭНО

თვალსაზრისი

# ვერ გავიგე, ვის ინტერესებს ლობირებს საააკაშვილი?!

**„საქართველოს რესპუბლიკის" შეკითხვებს უპასუხებს ადამიანის საერთაშორისო უფლებათა ექსპერტი, პროფესორი ბიძინა სავანელი**

**— სააკაშვილმა განაცხადა, რომ მან რუსეთს ნიღაბი ჩამოხსნა. ასეა თუ არა ეს?**

— ომის წამოწყება ავტორიტარული და დიქტატორული რეჟიმების ტრადიციული და აპრობირებული ხრიკია, რათა ხალხის ყურადღება გარეშე პრობლემებზე გადაიტანოს.

ეს დამარცხების გასამართლებელი პიარია. ჯერ ერთი, რუსეთს დიდი ხანია ნიღაბი ჩამოხდილი აქვს. საბჭოთა ისტორიოგრაფიაც კი მეფის რუსეთს ევროპის ჟანდარმად მოიხსენიებდა, ხოლო ცივილიზებული კაცობრიობა სსრკ-ს — ბოროტების იმპერიად. მეორეც, რუსეთისთვის ნიღაბის ჩამოხდად ღირდა ამდენი საამაყო ახალგაზრდის მსხვერპლად გაწირვა?! **აქ უკვე აშკარად ისახება სისხლის სამართლის დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები.**



**— გაეროს გენერალურ ასაბლეაზე სააკაშვილმა დაპირება მისცა მსოფლიოს, რომ საქართველოში დაიწყება დემოკრატიის ახალი ტალღა. რამდენად საიმედოა ასეთი დაპირება?**

— ვკითხულობ: სააკაშვილი რაზე იტყვის უარს — მოსამართლეთა დანიშვნის და განთავისუფლების ექსკლუზიურ უფლებაზე? პროკურატურას სასამართლო ხელისუფლებაში დააბრუნებს? ანდა, იუსტიციის საბჭო და სასამართლო სისტემა მხოლოდ მიუკერძოებელი, სამართლიანი, დამოუკიდებელი, ბრძენი და ავტორიტეტული მოსამართლეებით დაკომპლექტდება? საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მაუწყებელ ყველა კერძო ტელეარხს თავის კონტროლიდან გამოიყვანს? ადგილებზე ხალხის თვითმმართველობას აღადგენს? მსხვილ ბიზნესს შეეშვება და გაძარცვულ და მითვისებულ მილიარდებს და უკანონოდ წართმეულ ქონებას მესაკუთრეებს და ხალხს დაუბრუნებს? ეს გამორიცხულია!

ვშიშობ, რომ სააკაშვილის ზემოაღნიშნული დემოკრატიული ნიღაბი საპირისპიროდ ნიშნავს იმას, რომ საქართველოში შეიძლება რეპრესიების ახალი ტალღა დაიწყოს, თანაც უფრო მძიმე ფორმებით, რადგან უახლოეს ხანში ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისია მოსალოდნელი. **ასე, რომ სააკაშვილის „გადემოკრატიულება", პირიქით, 30-იანი წლების რეანიმაციის მცდელობის ასპექტში უნდა მოვიაზროთ.**

**— მაგრამ, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე სააკაშვილმა დაპირება მისცა მსოფლიოს, რომ ის „ვარდების მეორე რევოლუციით" უპასუხებს რუსეთის აგრესიას.**

— „ვარდების რევოლუციამ" სოხუმი და ცხინვალი დაგვაკარგვინა, „ვარდების მეორე რევოლუცია" შავი ზღვისპირეთს, და ბოლოს, დარჩენილ საქართველოსაც ხომ არ დაგვაკარგვინებს და დიდი ხნის ოცნებას ხომ არ აუხდენს ჩვენ ისტორიულად „კეთილმოსურნე" მეზობლებს?!

ჩემი ეჭვი გააძლიერა გაზეთ „ასავალ-დასავალში" გამოქვეყნებულმა ამონარიდმა სააკაშვილის სიტყვიდან: **„თბილისი და ერევანი იმდენად ახლოს არიან ერთმანეთთან, რომ საქართველო და სომხეთი უნდა იყვნენ ერთმანეთის დამატება და გაგრძელება".** ყველა ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამოსაკვლევია, ვის ინტერესებს ლობირებს სააკაშვილი?!...

ესაუბრა
სოსო აბულაძე

აქტუალური ინტერვიუ

# გამხნევება ვერაფერს

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში ახლა საქართველოსა და უკრაინის ნატოსთან თანამშრომლობის ფორმებზე ისევე იჭყლეტენ ტვინს, როგორც ჩვენთან**

**MAP-ის მიუღებლობის შემთხვევაში თბილისისა და კიევის ნატოსთან თანამშრომლობის შესაძლო ფორმებზე, აგვისტოს მოვლენების განმეორების ალბათობის შესახებ რუსი ექსპერტის პაველ ფელგენგაუერის მიერ გამოთქმულ მოსაზრებაზე, პრეზიდენტ მედვედევის მიერ გახმოვანებული, რუსეთის ახალი დოქტრინის განხორციელების შესაძლებლობაზე და აგვისტოს მოვლენების შემსწავლელ საპარლამენტო კომისიაზე რუსეთში საქართველოს ყოფილი ელჩის ეროსი კიწმარიშვილის მიერ გაკეთებულ ხმაურიან განცხადებებზე ინტერპრესნიუსი სამხედრო ექსპერტ კახა კაციტაძეს ესაუბრა.**

**— ბატონო კახა, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ დანიელ ფრიდმა განცხადება გააკეთა, რომლის თანახმადაც აშშ საქართველოსა და უკრაინას ნატოსთან თანამშრომლობის ახალ ფორმას შესთავაზებს. MAP-ის მიუღებლობის შემთხვევაში თბილისსა და კიევს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან რა ფორმით თანამშრომლობის იმედი შეიძლება ჰქონდეს?**

— ძნელი სათქმელია. მე ჯერ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის საიტზე ვერ მოვახერხე შესვლა და ჩემთვის, სამწუხაროდ, ისიც კი დაუზუსტებელია, ნატოში მიღებაზე აშშ ამ ეტაპზე ვის უჭერს მხარს. ვინაიდან ზოგ ინფორმაციაში ჩვენ და უკრაინა ვფიგურირებთ, ზოგან — მარტო უკრაინა. ძნელი სათქმელია, თანამშრომლობის რა ფორმა იგულისხმება. მაგალითად, IPAP - ნატოსთან ინდივიდუალური თანამშრომლობის პროგრამა — სპეციალურად ჩვენთვის გაკეთდა.

შეიძლება თანამშრომლობის რაღაც ფორმა მართლაც მოიძებნოს, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, სახელმწიფომ, რომელიც MAP-ს ვერ აკმაყოფილებს, როგორ უნდა დააკმაყოფილოს ახალი ფორმა. მე მგონი, ფრიდმა ეს განცხადება ჩვენს გასამხნევებლად გააკეთა. შესაძლოა, საქართველოსა და უკრაინის ნატოსთან თანამშრომლობის ფორმა MAP-ის მსგავსიც იყოს.

რა ფორმაც არ უნდა იყოს შემოღებული, ნატოს წესდებას არავინ შეცვლის. ის კრიტერიუმი, რომ ნატოს წევრ ქვეყანას მეზობლებთან არ უნდა ჰქონდეს ტერიტორიული პრეტენზიები, ყველა ვარიანტში ძალაში დარჩება. ლოგიკურად ისმის კითხვა, აგვისტოს მოვლენები



რომ არ ყოფილიყო, დეკემბერში MAP-ს როგორლა გვაძლევდნენ? ეტყობა ჩვენი დასავლელი პარტნიორები იმედოვნებდნენ, რომ MAP-ის მიცემასა და გაწევრებას შორის არსებულ, რამდენიმეწლიან შუალედს საქართველო გამოიყენებდა აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტებისა და რუსეთთან ურთიერთობების მოსაგვარებლად და ნატოში გაწევრების მომენტისთვის ეს პრობლემები არ იდგებოდა. ახლა ცხადია, რომ ეს პრობლემები 3-4 წელიწადში არ გადაწყდება და ახლა ნატოსთან თანამშრომლობის ახალ ფორმებზეა საუბარი. ჩემი აზრით, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში ახლა საქართველოსა და უკრაინის ნატოსთან თანამშრომლობის ფორმებზე ისევე იჭყლეტენ ტვინს, როგორც ჩვენთან.

**— თქვენი რუსი კოლეგა, სამხედრო ექსპერტი ფელგენგაუერი საქართველოში აგვისტოს მოვლენების განმეორებას არ გამორიცხავს. რამდენად ახლოსაა რეალობასთან ექსპერტ ფელგენგაუერის პროგნოზი, რომლის თანახმადაც საქართველოში აგვისტოს მოვლენების განმეორების ალბათობა დიდია?**

— მას შემდეგ, რაც რუსეთში ჟურნალი „დამოუკიდებელი სამხედრო მიმომხილველი" შეიქმნა, ბატონ ფელგენგაუერის პუბლიკაციებს დაახლოებით 15 წელია ვეცნობი. იგი უდავოდ კვალიფიციური ექსპერტია, მაგრამ აგვისტოს მოვლენებამდე საქართველოს სამხედრო ძალების შესახებ ივნისში მოსკოვში გამართულ დისკუსიაში იგი ერთობ გადაჭარბებულად აფასებდა ქართული სამხედრო მანქანის შესაძლებლობებს.

ფელგენგაუერს ასპროცენტიანი ალბათობით არც ივლისში უთქვამს, რომ ომი იქნებოდა და ეს სწორიცაა. არც ერთი პასუხისმგებელი ექსპერტი არ იტყვის, რომ ომი ასი პროცენტით დაიწყება ან არ დაიწყება. საუბარია ალბათობების შეფასებაზე. იგი ახლაც ამბობს, რომ მაღალია საომარი მოქმედებების დაწყების ალბათობა მე შკალას უფრო დაბლა დავწევდი — აგვისტოს მოვლენების განმეორების ალბათობა საშუალოა. საგარეო პოლიტიკური ფაქტორების გარდა, ბევრი რამ დამოკიდებულია იმაზე, თუ რა საშინაო ვითარება იქნება გაზაფხულისთვის რუსეთსა და საქართველოში.

ექსკლუზივი

# „ზოგადად კიდევ ბევრი რამ ვიცი ხელისუფლების ბნელი საქმეების შესახებ“...

***ბოლო ერთი თვეა, რაც ე. წ. „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთი „მამამთავარი“ ეროსი კიწმარიშვილი მთავრობის მისამართით მკაცრ და სკანდალურ განცხადებებს აკეთებს, რაც, ბუნებრივია, ხელისუფლების შეშფოთებას, საზოგადოებაში კი არაერთ, ჯერჯერობით, პასუხგაუცემელ კითხვას წარმოშობს. ნაცმოძრაობელთა „სასოწარკვეთილების“ თვალსაჩინო ფაქტი აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის ოთხშაბათის (25 ნოემბრის) სხდომაზე ვიხილეთ განრისხებული გივი თარგამაძის სახით, საზოგადოებაში გაჩენილი კითხვებით კი თავად ეროსი კიწმარიშვილს მივმართეთ.***

**— ბატონო ეროსი, ე. წ. „ვარდების რევოლუციის“ დროს ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ხუთი წლის შემდეგ ოპოზიციაში გადახვიდოდით და ხელისუფლებას, თქვენი სახით, კიდევ ერთი „თავსატკივარი“ გაუჩნდებოდა. რატომ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება, ანუ, კონკრეტულად, რა გახდა თქვენი „გაოპოზეციონერების“ მიზეზი?**

— ბოლო ხუთი წლის მანძილზე საქართველოში მოვლენები ძალიან ცუდად ვითარდებოდა, რამაც 7-8 აგვისტოს კულმინაციას მიაღწია და შედეგად მივიღეთ ის სამწუხარო რეალობა, რომელიც დღეს გვაქვს. ამან, ბუნებრივია, საზოგადოების და პირადად ჩემს დამოკიდებულებაზე ხელისუფლებისადმი უარყოფითი გავლენა იქონია, თუმცა აქამდე თავს უფლებას არ ვაძლევდი, ამაზე საჯაროდ მესაუბრა, თუნდაც იმიტომ, რომ რუსეთ-საქართველოს შორის უკიდურესად დაძაბული ვითარების დროს სააკაშვილთან და მის გარემოცვასთან გარკვეული ურთიერთობა შემენარჩუნებინა...

**— პირად საუბარში თუ გითქვამთ ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის ან თავად პრეზიდენტისთვის, რომ თქვენ არ იყავით მათი პოლიტიკური კურსის მომხრე?**

— კი, რა თქმა უნდა... იყო საკითხები, რომლებზეც შედარებით უფრო რბილად ვსაუბრობდით, მაგრამ ომს და კონფლიქტების ძალისმიერი მეთოდებით მოგვარებას რაც შეეხება, ყოველთვის კატეგორიულად ვამბობდი, რომ ეს იყო ყველაზე უფრო უპერსპექტივო გზა, თუმცა მათ ჰქონდათ თავიანთი საკმაოდ მყარად ჩამოყალიბებული პოზიცია და სხვების შეხედულებებს ყურადღებას ნაკლებად ან საერთოდ არ აქცევდნენ.

**— ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში თქვენ განაცხადეთ,**



**რომ აგვისტოს მოვლენების დროს პრეზიდენტთან სატელეფონო საუბარი გქონდათ. კონკრეტულად რაზე ისაუბრეთ?**

— ვისაუბრეთ იმაზე, რაც მაშინ ხდებოდა და რაც არაერთხელ მითქვამს მიხეილ სააკაშვილისთვის, ანუ ვუთხარი, რომ ომი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაგვეწყო...

**— რა გიპასუხათ?**

— ჩვენი საუბარი რამდენჯერმე შეწყდა და მისი პოზიცია ყველა საუბარში სხვადასხვანაირი იყო, რაღაც მომენტში მან მომისმინა და, გარკვეული მიზეზების გამო, გაითვალისწინა ჩემი შეხედულებები, მაგრამ 6-7 აგვისტოს ყური არავის არ ათხოვა, გარდა იმ ადამიანებისა, რომლებიც თვლიდნენ, რომ ომი ერთადერთი გზა იყო ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად.

**— აგვისტოს მოვლენების შემსწავლელმა დროებითმა საპარლამენტო კომისიამ თქვენი დაკითხვა საკმაოდ ხმაურიანად დაასრულა. მერე მოვისმინეთ კომენტარები, რომ სხდომაზე გაკეთებული განცხადებები უსაფუძვლო იყო... ეკატერინე შარაშიძემაც უარყო თქვენთან სასტუმროში შეხვედრისა და ბოლოდროინდელ მოვლენებზე საუბრის ფაქტი...**

— ვიცით, რა ეკატერინე შარაშიძეს შეუძლია რამდენჯერაც მოესურვება, იმდენჯერ უარყოს, მაგრამ ამის გადამოწმება ძალიან ადვილია, ვინაიდან მე მას, მოსკოვიდან, სპეცკავშირის საშუალებით დავუკავშირდი, რომელიც სპეცსამსახურების მიერ კონტროლდება და იქ არსებული მონაცემებით ყველაფრის დადასტურება შეიძლება.

თუმცა არის საკითხები, რომელთა არგუმენტირება კონკრეტული ფაქტებით შეუძლებელია... შეხვედრაზე დიქტოფონით არ დავდიოდი, არც პრეზიდენტთან და არც იგივე ეკატერინე შარაშიძესთან, უბრალოდ ვაფიქსირებდი, რომ ადამიანი, რომელსაც აბარია ქართული ეკონომიკა, ერთი კვირის მანძილზე მიუწვდომელი იყო საქართველოს ელჩისთვის რუსეთის ფედერაციაში...

**— თუ ამ ფაქტების დადასტურება პრობლემას არ წარმოადგენს, რატომ იქვე, სხდომაზე, არ წარმოადგინეთ კონკრეტული არგუმენტები?**

— მე უკვე აღარ ვმუშაობ სახელმწიფო დაწესებულებაში და შესაბამისად ყველა დოკუმენტზე ხელი არ მიმიწვდება, მით უმეტეს იმ დოკუმენტებზე, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენენ.

**— თავის დროზე ირაკლი ოქრუაშვილის „ღია ეთერში“ გაკეთებულმა განცხადებამ ქვეყანაში დესტაბილიზაცია გამოიწვია... დღეს თქვენ არანაკლებ სკანდალურ თემებზე საუბრობთ და როგორ ფიქრობთ, რა რეაქცია მოჰყვება ამას საზოგადოების მხრიდან, ანუ როგორ უნდა იქნეს ეს ყველაფერი გამოყენებული ხელისუფლების შესაცვლელად?**

— მე არ ვსაუბრობ და ჯერჯერობით არც ვაპირებ საუბარს ხელისუფლების შეცვლაზე. უბრალოდ, ჩემს ჩვენებებზე და ყველა სხვა საერთაშორისო წყაროებზე დაყრდნობით, უნდა გაანალიზდეს ის, რაც ქვეყანაში მოხდა...

**— ეს რას მოგვიტანს?**

— ყველაზე მთავარს — საზოგადოებას ეცოდინება სიმართლე, რაც, თავის მხრივ, იქნება იმის ერთგვარი გარანტი, რომ მომავალში კიდევ არ დავუშვათ საბედისწერო შეცდომები.

რაც შეეხება პასუხისმგებლობის საკითხს, როცა ყველაფერი გაანალიზდება და დაიდება კონკრეტული დასკვნა, თავისთავად გამოჩნდება, ვინ რა დააშავა და ვინ უნდა აგოს პასუხი.

**— თქვენ როგორ ფიქრობთ, ვინ არის ყველაფერში დამნაშავე?**

— ვინც ბოლო წლების მანძილზე საომარ რიტორიკას ქმნიდა, ვინც ფიქრობდა, რომ საქართველოს რუსეთთან პრობლემების გადაჭრა ომის გზით შეეძლო, ვინც პროვოკაციებისთვის პროვოკაციებითვე პასუხის გაცემის მომხრე იყო და საომარი მოქმედების დაწყების ბრძანება გასცა, მთავარი დამნაშავე სწორედ ის არის...

ყველამ ვიცით, რომ „ჩვენი“ ხელისუფლება ხშირად ახდენდა ტერაქტის ინსცენირებას და მერე ყველაფერი ოს და აფხაზ სეპარატისტებს ბრალდებოდა. ამის თვალსაჩინო მაგალითი საპარლამენტო არჩევნების დღეს ხურჩაში ავტობუსის აფეთქება იყო, რომელიც სინამდვილეში ჩვენმა სპეცსამსახურებმა მოახდინეს. ამის გარკვევა ძალიან ადვილია, დაკითხოს რომელიმე ინსტიტუტმა (რომლის პრეროგატივაშიც ეს შედის) ჟურნალისტი ემა გოგოხია და ყველაფერი ნათელი გახდება...

იხ. 6 გვ.

აქტუალური ინტერვიუ

# გვიშველის?



გაზაფხულისთვის ორივე ქვეყანაში პოლიტიკური პროცესი გამწვავდება და ძნელია იმის თქმა, საით წავა ეს პროცესები. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, რა ფსიქოლოგიური განწყობა იქნება რუსეთში საქართველოს მიმართ. ასევე, ძნელია იმის თქმა, თუ რა გავლენას მოახდენს რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე ეკონომიკური კრიზისი. გლობალური ეკონომიკური კრიზისის გამოვლენა რუსეთში გაზაფხულისთვის დაიწყება. ჩვენთან გაზაფხულისთვის, როგორც წესი, ცოცხლდება პოლიტიკური ცხოვრება, ამიტომ ზუსტი პროგნოზირება ძნელია, ვინაიდან გარდა წმინდა რაციონალური ფაქტორებისა, რაც გონებით გათვლადია, ბევრი არაპროგნოზირებადი ფაქტორიც იარსებებს, მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ კონფლიქტის განახლების ალბათობის საშუალო დონეზე შეფასება, ჩემი აზრით, გამართლებულია.

**— რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა საზოგადოებას ქვეყნის ახალი დოქტრინა გააცნო. ამ დოქტრინით რუსეთი ევრაზიის სივრცეში ჩინეთის მონაწილეობით ნატოს მსგავსი სამხედრო ბლოკის შექმნას გეგმავს და მეტიც, საუბარია იმაზე, რომ რუსეთი ფინანსურ ცენტრად უნდა იქცეს. არსებული ეკონომიკური კრიზისის ფონზე, რამდენად რეალურია ევრაზიის სივრცეში რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური ამბიციები?**

— მედვედევის დოქტრინაზე საუბარი უფრო პიარ-კამპანიის ნაწილს გავს, რომელიც ემსახურება იმას, რომ მას შემდეგ, რაც აშშ-სა და ევროპას შორის წინააღმდეგობა მინიმუმამდეა დაყვანილი, რუსეთმა დასავლეთთან მოლაპარაკებებში რაღაცით წონა შეიმატოს. ამის მაგალითია ისიც, როცა რუსეთი აცხადებს თუ ბალტიის ზღვით გაზსადენს არ გამაყვანინებთ, გაზს ჩინეთს მივაწვდიო. არადა, რუკას რომ დავხედოთ, იამალიდან, ანუ ჩრდილოყინულოვანი ოკეანიდან ბალტიის ზღვის გავლით გაზსადენის მშენებლობა კიდევ შედარებით ადვილი წარმოსადგენია, მაგრამ ჩრდილოყინულოვანი ოკეანიდან ჩინეთამდე გაზსადენის მშენებლობაზე საუბარი ძნელზე ძნელია.

მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ის იდეები, რომელთაც ახლა მედვედევი ახმოვანებს, ჯერ კიდევ ეკონომიკურ კრიზისამდე იყო შემუშავებული და ახლა გადართვა ვერ მოასწრეს. რუსეთის სავალუტო რეზერვები თითქმის 400 მილიარდამდე დაეცა, ჩინეთისა და ჰონკონგის რეზერვები ტრილიონ 200 მილიარდი გახლავთ, რაც რუსეთის რეზერვებზე სამჯერ მეტია.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის რეზერვი ყოველკვირეულად მცირდება. ამას ემატება ნავთობზე ფასების ვარდნა, რაც რუსეთისთვის კატასტროფის ტოლფასია. ნავთობზე ფასების ვარდნა იმ მარტივი მიზეზით გაგრძელდება, რომ ოპეკის ქვეყნები კრიზისიდან გადასარჩენად ნავთობის მოპოვებას გაზრდიან. რუსეთის ვიცე-პრემიერმა კუდრინმა განაცხადა, რომ თუ ბარელი ნავთობის ფასი 70 აშშ დოლარზე ჩამოვიდოდა, რუსეთის ბიუჯეტში მნიშვნელოვანი დეფიციტი შეიქმნებაო, სინამდვილეში საქმე ბარელი ნავთობის ფასის 70 აშშ-ს დოლარის განახევრებისკენ მიდის.

ამ ვითარებაში რუსეთის რაიმე ფინანსურ ცენტრობაზე საუბარი და თანაც ჩინეთთან მიმართებაში, რომელსაც აშშ-ს სახელმწიფო ობლიგაციების უზარმაზარი რაოდენობა ხელში უჭირავს, ცოტა სასაცილოა. ეს ძალიან გავს იმას, რუსეთმა რომ თქვას, მალე დემოკრატიის სფეროში ჩინეთს გადავასწრებთო.

**— რუსეთში საქართველოს ყოფილმა ელჩმა ეროსი კიწმარიშვილმა პარლამენტის აგვისტოს მოვლენების დროებითი კომისიის სხდომაზე ხმაურიანი განცხადებები გააკეთა. კომისიის სხდომა, პრაქტიკულად, ჩაიშალა. ის, რაზეც კიწმარიშვილმა ისაუბრა, რამდენად საინტერესო შეიძლება იყოს სიმართლის დადგენისათვის და როგორ შეაფასებდით იმას, რაც სხდომაზე მოხდა?**

— ის, რაც სხდომაზე მოხდა, ძალიან უსიამოვნო ინციდენტი იყო, არა მარტო ადამიანური თვალსაზრისით. ამას ხომ მთელი საზოგადოება და საელჩოები უყურებდნენ. დასავლელი პარტნიორების თვალში კიდევ უფრო განმტკიცდება არაპროგნოზირებადი და იმპულსური სახელმწიფოს იმიჯი.

ის, რაც კიწმარიშვილმა თქვა, ძალიან სერიოზული გამოკვლევის საგანია. მე, როგორც საზოგადოების ერთმა რიგითმა წევრმა, კომისიის თავმჯდომარის პაატა დავითაიას შეფასებები არასერიოზულად აღვიქვი. კომისია არ არის პოლიტიკური დისკუსიების ადგილი და ამ საკომისიო მოსმენამ მიიღო დისკუსიის სახე. ისე გამოვიდა, რომ ერთ მხარეს იყო პარლამენტის უმრავლესობა და საპარლამენტო ოპოზიცია და მეორე მხარეს კიწმარიშვილი, როგორც მათი პოლიტიკური ოპონენტი.

სხდომას ასეთი სახე თავად კომისიამ მისცა. მე სულ არ მაინტერესებდა ამ კომისიის სხდომაზე პოლიტიკური დისკუსიების მოსმენა. სამწუხაროდ, ინციდენტმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ამ კომისიის საქმე ჭეშმარიტების დადგენა არ არის.

**კობა ბენდელიანი**

## ხედვა შორიდან

***საქართველოში** არა მარტო აგვისტოს ომის დროს თუ მას მერე, არამედ მანამდეც ქვეყნის დასავლური ორიენტაციის ავკარგიანობის შესახებ მსჯელობისას ძირითადად ორი-სამი თემა პრევალირებდა. ვინაა ჩვენსკენ, რამდენ ხანს გასტანს „ჩვენიანობა“ და რამდენად ერთიანია ეს ყბადაღებული „ჩვენიანობა“. საუბარი, ბუნებრივია, არ იყო ამერიკისა და ევროპის საეჭვო ერთიანობაზე ავღანეთსა და ერაყში მიმდინარე ომთან მიმართებაში, არამედ — დასავლეთის რუსეთთან ურთიერთობის პოლიტიკაზე. საქართველო წინააღმდეგობრივ მდგომარეობაშია. ერთის მხრივ, ბოლო ოთხი თვის განმავლობაში საგრძნობლად გამძაფრდა ქართველების მგრძნობელობა ამა თუ იმ ქვეყნის რუსეთის ფერდერაციასთან ურთიერთობის გუნება-განწყობის მიმართ. მეორეს მხრივ კი, კავკასიის პატარა სახელწიფოს „დასავლეთის ახალაღმომჩენი“ მოქალაქეები გადაჭარბებულ მოლოდინს, იმედს დასავლეთის „გაშლილ ქოლგას“ უკავშირებდნენ, ახლა კი უკვირთ, ქრისტიანული ცივილიზაცია თავისი განდისტურ, მაკიაველისტურ, ჰუმანისტურ-არაჰუმანისტურ თუ რეალ-არარეალ პოლიტიკურ დამოკიდებულებას მის სამშობლოზე ასე დაუფარავად რატომ პროეცირებს. თუმცა ქართველს რაც არ უნდა უკვირდეს, ცხადი ერთია — ქართული სახელმწიფოს არსებობა სწორედ ამ დასაპროეცირებად სიბტყეზეა დამოკიდებული. მესამეს მხრივ, საქართველოს სხვა არჩევანი არა აქვს და ალბათ, არც ჰქონია. ჩრდილოეთურ-აღმოსავლურ-სამხრეთული ორიენტაცია იმთავითვე შეუძლებელი და უპერსპექტივო იყო, ხოლო რეგიონალური ერთობის იდეა ჩანასახშივე მოგუდა აზერბაიჯანურ-სომხურმა, ოსურ-ინგუშურმა დაპირისპირებამ, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში გაჩაღებულმა ომებმა, აფხაზეთში რუსული სპეცსამსახურების ემისარი ჩეჩნების აქტიურობამ. ამიტომ დასავლური იდეების (ცნებათა რიგი, წარმოდგენების ერთობლიობა) თუ „პრონატოური“ ორიენტაციის არჩევა არჩევანის არარსებობითაა განპირობებული და არა ასარჩევის სიმრავლით. 2008 წლის იანვარში პრეზიდენტთან ერთად საქართველოს მოსახლეობას ნატოში შესვლა-არშესვლის შესახებ ეკითხებოდნენ. ვფიქრობ, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ პრონატოურმა ხმებმა იმატა. ამჟამად კი უკრაინას უფრო მეტი შანსი აქვს ჩრდილოატლანტიკური ბლოკის წევრი გახდეს (მიუხედავად იმისა, რომ იგი ორადაა გაყოფილი — პრორუსულ და პროდასავლურ უკრაინად) სწორედ იმის გამო, რომ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას ამჟამად ყირიმი, როგორც აქილევსის ქუსლი კი აქვს, მაგრამ იგი კონფლიქტურ რეგიონთა ჩამონათვალში არაა.*

### საიდ-ემინ იბრაგიმოვი:

# „ფაქტია, რომ საქართველო ბრძოლის პირველ რაუნდს ჯერჯერობით აგებს...“

ბუქარესტიდან ვიდრე დღემდე, როცა ევროპამ ვერ განაცხადა „ჩვენ ქართველები ვართო“, პირადად მე ამერიკაში მყოფ თანამემამულეთაგან არაერთხელ მომისმენია საერთაშორისო სტრუქტურების მაძაგებელი სიტყვები და ევროპის, როგორც შეუმდგარი ერთობის კრიტიკა. სამაგიეროდ, იმედის თვალი ამერიკელ რესპუბლიკელებზე იყო მიპყრობილი. აშშ-ის ქართველ მოქალაქეებსა და არამოქალაქეებს შორის ჩატარებული ფრიად მოკრძალებული (22 რესპონდენტი) გამოკითხვის საფუძველზე დავასკვენი, რომ, სამწუხაროდ, ეს იმედიც გადაიწურა. პირადად ვიცნობ რამდენიმე ადამიანს, რომლებიც საქართველოში პერმანენტული პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, რომ არა 2007 წლის 7 ნოემბერი და 2008 წლის 7 აგვისტო, უცხოეთიდან სამშობლოში სამუდამოდ დაბრუნებას აუცილებლად აპირებდნენ — ზოგი 15-10-წლიანი, ზოგიც ხუთწლიანი ემიგრაციის შემდეგ. ახლა კი ასე ამბობენ: „სჯობს მწვანე ბარათის აღებაზე ვიზრუნო, ამერიკის მოქალაქე გავხდე, რომ მოვხუცდები, საქართველოში ჩავალ და იქ მოვკვდები“ ან „ახლა ოჯახი ამერიკაში უნდა წამოვიყვანოო“. მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა, 52 წლის ქალბატონმა დაასახელა საქართველოში დაბრუნების ზუსტი თარიღი — 2017 წელი. არადა იგი უკვე რვა წელიწადია ამერიკაში არალეგალურ მდგომარეობაშია, ძიძად მუშაობს და ვინ იცის, რამდენი ამერიკელი გოგობიჭი ჰყავს გაზრდილი.

ამგვარი სასოწარკვეთილი პასუხები ტკივილნაზავი ნიჰილიზმის დასტურია. გამოკითხულთა განწყობამ მაფიქრებინა, რომ საზღვარგარეთ ოჯახის სარჩენად წასული ქართველები ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების საკითხს უფრო პესიმისტურად უყურებენ, ვიდრე — საქართველოში. ასევე გადაიწურა იმედი, რომელიც მაკქეინსა და სარა პეილინის მიერ რუსეთისადმი ხისტი პოლიტიკის გატარების დაპირებას უკავშირდებოდა. ჩემს კითხვაზე, თუ რას მოიტანდა „ცივი ომის“ სუსტი, მაგრამ მაინც ანალოგი, რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა მიპასუხებდა, რომ რუსეთს თავის პოზიციების დათმობა მხოლოდ საქართველოსა და უკრაინის ნატოში მიღებითა და რუსეთისადმი მკაცრი ეკონომიკური სანქციების გატარებით ძალუძდა.

სამთვიანი საერთაშორისო პოლიტიკური მსჯელობისას ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ცივ ომს დასავლეთი უფრო უფრთხის, ვიდრე — რუსეთი. თუმცა ის, თუ რატომ ეშინია დასავლეთს ამგვარი სიცივის, თუ არ ჩავთვლით ენერგომატარებლების ყიდვა-გაყიდვის პრიმატს, „ნაბუკოსა“ და მისთანანის თვითკმარ არგუმენტთა რიტორიკას, კვლავ არაა სერიოზული პოლიტიკური, დიპლომატიური მესიჯებისა და განსჯის საგანი. ასევე არაერთხელ მსმენია იმის გარკვევის სურვილი, თუ როგორ არსებობდა დასავლეთი სსრკ-ის დროს რუსეთის ნავთობისა და გაზის გარეშე? არც ერთი გამოკითხულთაგანი არ აღნიშნავს ორ დიდ სახელმწიფოს შორის საბრძოლო მოქმედებების საჭიროებასა და შესაძლებლობას. მიზეზებს „საქართველოსთვის არავინ გაირჯება“, „ჩვენს გამო მესამე მსოფლიო ომის დაწყება არ ღირს“ და „გაუტანლები ვართ, აბა, რა დაგვემართებოდა. ახია ჩვენზე“ შეფარდება შესაბამისად 80%-10%-10%-ზე გადანაწილდა. 22-ვემ განაცხადა, რომ საბოლოოდ საქართველოს ბედისა თუ უბედურების საკითხი 2008 წლის გაზაფხულზე, ბუქარესტის სამიტზე გადაწყდა. განსაკუთრებულ წყრომას გერმანიის, პირადად კანცლერ ა. მერკელის „უცნაური„ პოზიცია და რუსეთისთვის ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში (პასეძ უფლებამოსილების არშეჩერება იმსახურებს. ჩემმა შეხსენებამ იმის თაობაზე, რომ კონდოლიზა რაისმა აგვისტოს მოვლენების შემდგომ განაცხადა, ყველაფრის მიუხედავად აშშ აუცილებლად განაგრძობს რუსეთისთვის საგანმანათლებლო, კულტურული პროგრამებისა და



არასამთავრობო ორგანიზაციების კვლავინდელ დაფინანსებას, ქართველთა უიმედობა კიდევ უფრო გაამძაფრა. გამოკითხულთა 95 %-ს არ სჯერა, რომ განათლებულ-ჰუმანური, ამერიკულცოდნამიღებული რუსეთი უახლოესი ერთი საუკუნის განმავლობაში პოლიტიკური გადაწყვეტილების პროცესზე ზემოქმედების მცირეოდენ უნარსაც კი მოიპოვებს. საუბარი, ფაქტობრივად, მთავრდებოდა არადიპლომატიური ლექსიკით — „ჩვენი საშველი არაა!“, „თხებივით გაგვყიდეს!“, „ხალხზე არავინ არასდროს ფიქრობს და, რაღა, ახლა იფიქრებდნენ?!“, „სჯობს ყველამ თავის თავს „და ოჯახებს მივხედოთ!“, „ნატო, ნატო, ხმამაღლა რომ არ გვეძახა, იქნებ არ დაგვეკარგა მიწები!“, „ნატოში არ მიგვიღებენ!“, „გაიხსეთ, ჩეჩნებს რა უქნეს და, აბა, ვინ გამოესარჩლათ?!“, „საქართველო აღარ არსებობს!“...

ცნობისთვის: აშშ-ის სახელმწიფო მინისტრის ზემოაღნიშნულ სიტყვებს პუტინის უმადური განაწყენება მოჰყვა. რუსეთის პრემიერ-მინისტრმა აშშ თანამემამულე სპეციალისტებისთვის გამოყოფილი სასწავლო გრანტებით რუსი ხალხის მოსყიდვის მცდელობაში დაადანაშაულა...

ჩვეულებრივი ქართველი მოკვდავისთვის ევროსაბჭოში, გაეროში მიმდინარე პროცესებისა და წევრი სახელმწიფოების ურთიერთობების ნიუანსები კი არა, მსხვილმანი ამბებიც მიუწვდომელია. ამ მეგასტრუქტურებში ის უამრავი კანონპროექტი განიხილება, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად კავკასიაზე, დასავლეთ-აღმოსავლეთზე მოქმედებს, საქართველოსა და მის პოლიტიკურ-ეკონომიკურ მომავალს ეხება. მიმდინარეობს მსჯელობა და კენჭისყრა ამა თუ იმ ლოკალურ და გლობალურ საკითხზე, რომელთა მიმართ წევრი სახელმწიფოების პოზიცია-ოპოზიცია მხოლოდ ამ ორგანიზაციებში მოღვაწე ქართული მისიის თანამშრომლების საქაღალდესა და შიგადაშიგ ინგლისურენოვან ვებ-გვერდზეა დაფიქსირებული. რიგითი ქართველი გადასახადების გადამხდელი კი სწორედ საკუთარი ჯიბიდან იხდის იმ ვალუტას, ურომლისოდაც „ვარდების რევოლუციის“ თუ რუსეთის აგრესიის მსხვერპლების მიუხედავად, წევრობას აუცილებლად შეგვიჩერებდნენ. ამ მხრივ რუსული სამსახურები უფრო ორგანიზებულნი და სისტემურნი არიან. ლამის ერთი კვირით ადრე გაეროში რუსული მისიის პრესსამსახური თავისი ღონისძიებების ანონსს ინტერნეტის საშუალებით ამ ორგანიზაციაში აკრედიტებულ თუ არააკრედიტებულ ჟურნალისტებს მშობლიურსა და ინგლისურ ენაზე უგზავნის. სამწუხაროდ, ქართული წარმომადგენლობა ამგვარი მუშაობის სტილით ვერ დაიკვეხნის. არადა ქვეყნისათვის ექსტრემალურ სიტუაციაში, მით უმეტეს ომის დროს, საქმიანობის ასეთნაირად პიარდაგეგმვა რეკომენდირებული კი არა, აუცილებელიცაა. თანაც ინფორმაცია არა მხოლოდ საერთაშორისო ენაზე, არამედ ქართულად და რუსულადაც უნდა ვრცელდებოდეს.

**სამწუხაროა, რომ რუსეთის საქართველოში შემოჭრის დროს და უშუალოდ მთელი აგვისტოს განმავლობაში, როცა „ვარდების რევოლუციის“ სამშობლოსადმი მართლაც იყო ცხოველი ინტერესი, ინგლისურენოვან პრესაში არსად ჩანდა ქართველი პოლიტიკოსების, ცნობილი ოპოზიციონერებისა და ექსპერტების ანალიტიკური სტატიები. თუ არ ჩავთვლით ამერიკულ CNN-სა და FOX NEWS, სადაც პრეზიდენტი მ. სააკაშვილი ლამის ყოველდღე პირდაპირ ეთერში იჯდა, აგვისტოს ამერიკულ პრესას რომ გადახედოთ, ქართველი ავტორების მინიმალურზე მინიმალური რაოდენობის სტატიებს იპოვით...**

2007 წელს გაერომ მიიღო დეკლარაცია მკვიდრი ერების შესახებ. იგი აღიარებს აბორიგენების უფლებას წინაპართა მიწებსა და თვითგამორკვევაზე. ამგვარი დოკუმენტის მიღებას მხარი არ დაუჭირა: კანადამ, აშშ-მ, ავსტრალიამ და ახალმა ზელანდიამ. თავი შეიკავა: რუსეთმა, საქართველომ, ნიგერიამ და ბუტანმა. თუმცა ამ დეკლარაციის პუნქტ-ქვეპუნქტობრივი განხილვის ამბავი კი არა, მისი არსებობის შესახებ, ვეჭვობ, ერთ ათეულზე მეტმა ადამიანმა მაინც იცოდეს.

რამდენიმე დღის წინათ ბრიტანეთი და შვედეთი რუსეთ-ევროკავშირის დიალოგის განახლების ინიციატივით გამოვიდნენ. სასაუბრო თემა ტრადიციულია — ენერგეტიკა. ეს, ალბათ, ერთადერთი სუპერსაკითხია, რომლის ხათრით „ნამდვილად„ ღირს ევროპის ძლივს მიღწეული ერთიანობის დარღვევა. შეგახსენებთ, რომ ევროკავშირ-კრემლის ურთიერთობა აგვისტოს მოვლენების გამო გაიყინა. ცხადია, დასავლეთი არ აპირებს საქართველოდან ოკუპაციური ჯარის გამოყვანამდე ლოდინს, რომელიც თავად „კომუნიზმის გამარჯვებასავით“ ეფემერულად ეჩვენება და ამიტომაც თავის პოლიტიკურ მოღვაწეობას ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს.

თვენახევრის წინათ სტრასბურგში ევროსაბჭოს საქართველოს საკითხის განმხილველი სესია გაიმართა. ინფორაცია ამ ღონისძიების შესახებ საკმაოდ მწირი იყო. იგი შემოიფარგლა ქართული სატელევიზიო არხებისა და რადიო „თავისუფლების“ ცნობებით. საქართველოს ბეჭდვით მედიას თვისი წარმომადგენლები მსხვილ საერთაშორისო სტრუქტურებში არა ჰყავს, არადა მუდმივად „ონლაინ“ ყოფნა ქართველ გადასახადის გადამხდელთ დაეხმარებოდა ამ ორგანიზაციების სარგებლიანობისა და ნაკლოვანებების შეძლებისდაგვარ გარკვევაში. ადამიანი ღირსია, მისი სრულფასოვანი უფლება-მოვალეობა იცოდეს (ეს ცოდნა, ამ შემთხვევაში, მედიის საშუალებით მოიპოვება) კონკრეტულად რა სახის გადაწყვეტილებების მიღებაში იხდის იგი თავის ფულს, ანუ როგორ პროდუქტს ყიდულობს, თუ ეს, რასაკვირველია, კანონით გასაზღვრული სახელმწიფო საიდუმლო არაა.

რა ხდებოდა საქართველოს საკითხის განხილვისას სტრასბურგში სხდომათა დარბაზის გარეთა და შიგნით, იმის გახსენება ჩეჩენ უფლებადამცველსა და საერთაშორისო ასოციაციის „მშვიდობა და ადამიანის უფლებები„ ხელმძღვანელს, ჩეჩნეთის კავშირგაბმულობის ყოფილ მინისტრს **საიდ — ემინ იბრაგიმოვს** ვთხოვე. მან ოთხჯერ შიმშილობის საპროტესტო აქცია (ბოლო ორი, ლამის, მისი სიკვდილით დასრულდაძ, მათ შორის სტრასბურგში ევროპარლამენტის შენობის წინ გამართა. მისმა „სიჯიუტემ“ შედეგი გამოიღო. იბრაგიმოვის მიერ ჩეჩნეთში განხორციელებული რუსული აგრესიის თაობაზე ევროპარლამენტისთვის მიწოდებული მასალები მხედველობაში მიიღეთ, ამავე დროს მან ევროსაბჭოს სხომათა დარბაზებსა და კაბინეტებში გამართულ შეხვედრებზე დასწრების უფლებაც მოიპოვა. თუმცა საფრანგეთშიც კი რუსული სპეცსამსახურები მას ახლაც არაერთ „სიურპრიზს“ უწყობენ.

ევროსაბჭოს სხდომის მიმდინარეობის პარალელურად ქუჩაში ორი საპროტესტო მიტინგი მიმდინარეობდა: ქართველებისა და ერთობლივი- რუსებისა და ოსების. საიდ-ემინი იმ დღეებში ძლიერ ავად იყო, მაგრამ მეგობარ ჩეჩნებთან ერთად ქართველ მომიტინგეებთან მაინც ბოლომდე დარჩა. აი, როგორ იხსენებს იგი პარლამენტის წინ გამართულ აქციას.

— შენობასთან 20-მდე ოსი მოვიდა. ყოველდღე ერთი და იგივე ხალხი დადიოდა. ქართველებიც იქვე იდგნენ. ქართველებსა და ოსებს მხოლოდ 10-15 მეტრი აშორებდათ. ოსებმა ქართველების პროვოცირება დაიწყეს. ერთმა ქართველმა ვერ მოითმინა და მათკენ გაემართა. ამის დანახვაზე ოსი პოლიციის მანქანისკენ გავარდა. მოვარდა პოლიცია და ორი მიტინგის მონაწილეები დააშორიშორა. მე პოლიციელთან მივედი და შევთავაზე ორ მიტინგს შორის ორი საპოლიციო მანქანა ჩაეყენებინა. მათ მართლაც ასე გააკეთეს. სესიის პირველ დღეს მიტინგზე უფრო მეტი რუსი იყო, მერე მათ ოსებიც შეემატნენ. ოსები ყვებოდნენ, რომ საქართველო მათ თავს დაესხა, რომ მათი უფლებაა აირჩიონ ვისთან იცხოვრონ, რომ მათ არ უნდათ ქართველებთან ყოფნა. მე ერთ ოსს ვუთხარი: „რუსეთი ყველას ესხმის თავს. რა გარანტია გაქვთ, რომ თქვენც არ დაგესხმებათ თავს?“. „მერე რა იქნება, სამერმისოდ იყოს. ახლა კი არ გვინდა საქართველოში“ — ასე მიპასუხა. მე ვუთხარი, რომ ისინი სათაგურში შეიტყუეს, რომ ყველი სათაგურში უფასო არასოდეს არაა... „ჩვენ პოლიტიკა არ გვესმის“ — მომიგო. ვუთხარი: „პოლიტიკის თუ არაფერი გაგეგებათ, აბა, რაღას აპროტესტებთ? მან პირდაპირ მიპასუხა: „ჩვენ რუსეთში შესვლა გვინდა, იგი ჩვენ უზრუნველგვყოფს. საქართველო პატარაა, მას ფული არ აქვს. რუსეთი დიდია, მას ბევრი ფული აქვს!“. ოსები არც მალავდნენ, რომ არანაირი დამოუკიდებლობა არ უნდათ. რუსეთის ხელისუფლება სწორედ ასეთ ადამიანებს ეყრდნობა. ვეუბნებოდი: ხალხო, ბესლანის მერე რუსეთის როგორღა გჯერათ-მეთქი?!“. არაო, ბავშვები ჩეჩნებმა დაგვიხოცესო...



**ია მერკვილაძე,**
**ნიუ-იორკი-სტრასბურგი**

**(გაგრძელება იქნება)**

## ეს ყველამ უნდა წაიკითხოს!

ზურაბ ავალიშვილი

# საქართველოს შეერთება რუსეთთან

IV.

ეკატერინე დიდის სიცოცხლისა და მეფობის მიწურულს რუსეთის მთავრობა კვლავ დაუბრუნდა იმ აზრს, რომ განეხორციელებინა პოტიომკინის გრანდიოზული გეგმა სპარსეთთან დაკავშირებით. აღა-მაჰმად-ხანის საქართველოში შეჭრა რუსეთს აძლევდა კანონიერ საფუძველს, იარაღასხმული შესულიყო სპარსეთის ფარგლებში. უკვე 1796 წლიდან **ხაზზე** დაიწყეს მზადება, პეტერბურგის ბრძანებით, ლაშქრობისათვის.

საქმის სულისჩამდგმელები იყვნენ ძმები ზუბოვები; ექსპედიციის მთავარი სარდლობა ეკისრებოდა გრაფ ვალერიან ალექსანდროვიჩს, და რესკრიპტში, მას რომ მიეცა 18 თებერვალს, ჩამოყალიბდა მთელი საპოლიტიკო პროგრამა, პეტრეს გეგმებისა და პოტიომკინის ჩანაფიქრთა გზას რომ მისდევს. ისევ გამობრწყინდა კასპიის ზღვის ნაპირებთან და შიგ სპარსეთში „მდიდრული ვაჭრობის“ იმედი; ისევ დალანდეს შორეთში ინდოეთი და მისი სიმდიდრენი. საზეიმოა გეგმები — საზეიმოა საშუალებებიც, ისევე როგორც 1722 წელს, როგორც 1783-1784 წ.წ., ისე ახლაც აპირებენ შეუტიონ ორი მხრიდან; დადგინდა, იმოქმედოს ორმა კორპუსმა კავკასიის ზღვის გაყოლებით, კავკასიისამ კი საქართველოდან დაიწყოს მტკვარსა და არეზს შუა მდებარე ქვეყნების დაპყრობით. როგორც ჩანს, ეკატერინეს იმედი ჰქონდა, რომ თავისი მეფობის მიწურულს დააგვირგვინებდა აზიის სამფლობელოების მოულოდნელი და ბრწყინვალე გაფართოებით. რაც ვერ მოახერხა პოტიომკინმა, შეიძლება, მოახერხონ ზუბოვებმა.

1795 წლის მარტში გამოიცა მანიფესტი „სპარსეთის ფარგლებში შვიდი სახელმწიფოს ხელისუფლების მიმტაცებლის წინაალმდეგ რუსეთის ჯარების შესვლის შესახებ“. ოდესღაც პეტრემ, საომარ მოქმედებას რომ იწყებდა სპარსეთის წინაალმდეგ, განაცხადა, მე სპარსელების წინაალმდეგ საომრად კი არ მივდივარ, არამედ მხოლოდ მოჯანყენი უნდა დავსაჯოო; ახლა იმპერატრიცაც, რომელიც აღა-მაჰმად-ხანს შაჰად არ სცნობს და ერთგვარი, დიდი მასშტაბის „მოჯანყედ“ მიიჩნევს, იწყებს იმით, რომ „წყალობას და კეთილნებობას“ უცხადებს ყველასა და თითოეულს, მეტადრე კი „განთქმულ სიფეხისალარებს, (სპასალარებს — **რედ.**) ვალებს“ და ა.შ. „პატიოსან ყადებს“, საერთოდ, ყველა წოდების ადამიანებს.

მანიფესტში ნათქვამია, რომ რუსეთი სპარსეთში აწყდება წინაალმდეგობას მშვიდობიანი სავაჭრო ურთიერთობისადმი, იხსენებს შეურაცხყოფას, გრაფ ვოინოვიჩს რომ მიაყენეს, მაგრამ ყოველივე ეს მაინც არ აავსებდა მშვიდობისმოყვარეთა მოთმინების ფიალას, „ხსენებული მტაცებელი აღა-მაჰმად-ხანი... რომ არ ავრცელებდეს ძალადობას და მძვინვარებას ჩვენი იმპერიის უფლებებისა და ღირსების შესაგინებლად იქამდეც კი, სანამ საქართველოს შეესეოდა“, რასაც თან სდევდა რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფი მეფის სატახტო ქალაქის დაპყრობა, ეკლესიების გაძარცვა და ა.შ.

ამრიგად, ომის ფორმალური საბაბი გახდა იმპერიის პროტექტორატის ქვეშ მყოფი საქართველოს ტერიტორიის ხელყოფა.

მუდამ-ჟამს, როცა კი საქართველო რუსეთის ყურადღებას იპყრობდა, სპარსეთის საქმეებში პოლიტიკის იარაღად გამოყენების მიზნით, ბუნებრივია, რომ იგი ამჯობინებდა ძლიერ, ქმედითს იარაღს — სუსტ იარაღთან შედარებით. ამიტომ, არ არის გასაკვირი, რომ 1783—1784 წლებში განზრახული ჰქონდათ საქართველოს გაძლიერება არა მარტო სამხედრო დახმარებით და საჩუქრად ზარბაზნების მირთმევით (რომელთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ვერ ჩამოაღწია დანიშნულების ადგილამდე. ნაბოძები, მაგრამ გზაზე გაჩხირული არტილერიის მიღებას ქართველები ჯერ კიდევ თვით შეერთების წინ ითხოვდნენძ, არამედ ახალი მიწა-წყლის შემოერთებითაც — მართალია, მას შემდეგ, რაც დაიპყრობდნენ.

ასევე იყო ზუბოვის ექსპედიციის დროსაც — საქართველოს გაძლიერება უშუალოდ შედიოდა რუსეთის პოლიტიკის შემადგენლობაში (გარდა ამისა, გათვალისწინებული ჰქონდათ, ისევე როგორც პოტიომკინის დროს, სომხეთის აღდგენაძ. ფიქრობდნენ, საბოლოოდ შემოეერთებინათ საქართველოსთვის სახანოები, რომლებიც მას ხარკს უხდიდნენ — განჯის და ერევნისა. ქვეყნის დასუსტების თავიდან ასაცილებლად, რომელიც შეიძლებოდა გამოეწვია მრავალრიცხოვან ბატონიშვილთა დავას და ამასთან დაკავშირებულ პარტიულ უთანხმოებებს, განზრახული ჰქონდათ, ბატონიშვილთა ყურადღება სამსახურზე გადაეტანათ და ა.შ.

სხვათა შორის, 1796 წლის აპრილის წერილში თავ. პლატონ ზუბოვი ერეკლეს სთავაზობს, ხელი შეუწყოს რუსული იარაღის წარმატებებს, რომლებიც საქართველოს უსაფრთხოებას მოუტანენ, და ურჩევს, ყოველნაირად იზრუნოს ძალაუფლების განუყოფლობისათვის, ერიდოს ქვეყნის საუფლისწულოებად დაყოფას, რაც დამღუპველი იქნება სამეფოსათვის.

მაგრამ ეს პლატონური სურვილები, ეხილათ საქართველო ძლიერი, ბევრს არაფერს ნიშნავდა, როდესაც მათ გამოთქვამდა ისეთი „გააზნაურებული მდაბიო“, როგორიც იყო თავ. ზუბოვი (1801 წელს სწორედ ზუბოვები გამოდიოდნენ იმის წინაალმდეგ, რომ საქართველოსთვის შეენარჩუნებინათ დამოუკიდებლობა რუსეთის პროტექტორატის სახითძ.

ექვს ნოემბერს გარდაიცვალა ეკატერინე, და მისმა სიკვდილმა თან წაიღო ზუბოვების ჭირიც, სპარსეთის ლაშქრობისაც და ბევრი სხვა რამისაც.

„ჰინდოთპერსპექტივებიანი“ ექსპედიცია გაუქმდა, იმ არცთუ შორეულ დღემდე, როცა იმპერატორი პავლე თავისი უეცარი გადაწყვეტილებით დონელ ყაზახებს გაგზავნის იგივე ინდური თვალ-მარგალიტის საძებნელად — და გასწირავს უწყლო უდაბნოებში დასახოცად.

დაკავებული სახანოების მოულოდნელი დაცლა და სპარსეთის სამფლობელოებიდან და საქართველოდან რუსეთის ჯარების წასვლა (იქ ისინი უკვე 1797 წლის ზაფხულში აღარ იყვნენ; სპარსელებს ისე მოეწონა გულს, თითქოს გამარჯვება მოიპოვესო. აღა-მაჰმად-ხანმა არც აცია, არც აცხელა, და ყველგან გამოაცხადა როგორც ხორასანში მოპოვებული წარმატებანი, სადაც იმხანად იმყოფებოდა (ხორასანი (ეს პროვინცია ამჟამად ესაზღვრება კასპიისპირა ოლქს და ავღანეთსძ და მისი სატახტო ქალაქი, წმიდა ქალაქი მეშედი, მთელი იმ დროის მანძილზე, რაც სპარსეთს შაჰი არ ჰყავდა, ე.ი. 1747 წლიდან, შედიოდა ნადირის შვილიშვილის, უსინათლო შაჰ-როხის მფლობელობაში. ქერიმ-ხანი მას არას ერჩოდა, და მხოლოდ სპარსეთის ყაჯარმა გამაერთიანებელმა კვლავ განავრცო თავისი ძალაუფლება ამ მხარეზეძ, ისე რუსის ჯარის უკუქცევის ამბავი: ამ უკანდახევას პირდაპირ მიაწერდნენ მათს ლაჩრობას, ერეკლეს კი მაშინვე გაუგზავნა ფირმანი და მოსთხოვა, დაჰმორჩილებოდა, წინაალმდეგ შემთხვევაში, შურისგება არ აგცდებაო; და მხოლოდ რუსი ოფიცრების ჩარევამ იხსნა შაჰის შიკრიკი გაავებული ხალხის მძვინვარებისაგან (ბუტკოვი, ტ.II. გვ. 426. იხ. ამ ფირმანის ქართული თარგმანი ცაგარელთან, ტ.II.N 117. იგი იწყება სიტყვებით: „ჩვენის დიდებულების ბრძანება არის: უმაღლესი საქართველოს ვალი ერეკლე-ხან“ და ა.შ. სხვათა შორის, შაჰის აზრით, „რუსეთის საქმე და ცხოვრება ყოველ ჟამს აღებმიცემა, ვაჭრობა ბაგრასტისა და მაუდის სყიდვა არის, „არას დროს იმათგან ხრმლისა, შუბისა და ომის იარაღის მოხმარება არას კაცს არ უნახავს“(!ძ. და „იმ რუსებმა რომ ჩვენის ბედნიერის დროშების ამ მხარეს წამომართვა გაიგონეს, თავიანთის საძაგელის ადგილებისაკენვე დაბრუნდნენ“. შემდეგ ლაპარაკია იმ საპატიო მდგომარეობაზე, რომელიც ერეკლეს უკავია ირანში, და რომ „წყალობისა და სიკეთის გარდა ჩვენს გულში შენთვის არა იყო რა. ის საქმე, რომ მაშინ მოხდა, (თბილისის აოხრებაძ — ის შენგან დაიბადა“-ო და ა.შ. ბოლოს კი სთავაზობს, „სამსახურის გზაზედ უნდა დასდგე, — ან შენ ან ერთი შენი შვილებიდამ, დიაღ იმედიანად და ხათრიჯამობით, და ჩვენის ხელმწიფობის კარზედ მოხვიდეთ, და ჩვენგან წყალობა მიიღოთ, და თუ რაც გვიბრძანებია, იმას გარდახდი, და რომელიც გვიბრძანებია ასე არა ჰქმენ,— შენ იცი“ძ..

ძნელი სათქმელია, რა ბედი ეწეოდა საქართველოს, კვლავ პირისპირ რომ შეატოვეს გაბოროტებულ და გამძვინვარებულ აღა-მაჰმად-ხანს, მკვლელის ხანჯალს 1797 წლის 4 ივნისს რომ არ გადაეჭრა სიცოცხლის ძაფი ირანს მხსნელად მოვლენილი ამ კაცისათვის, ამდენი ბოროტება რომ მოიტანა სპარსეთის „საისტორიო ამოცანების“ განხორციელებისას.

ახლა გაკვრით, მხოლოდ ზოგადად მიმოვიხილოთ, როგორ იფარავდა რუსეთის პროტექტორატი საქართველოს ოსმალეთისა და დაღისტნისაგან.

ტრაქტატის დადებიდან უკვე მეორე დღეს რუსეთის რწმუნებულმა მინისტრმა ოსმალეთის კარზე, ბულგაკოვმა, შეიტანა წარდგინება ქართლისა და იმერეთის მიმართ თარეშის აღკვეთის თაობაზე. იმერეთის შესახებ იგი არ იყო არც ვალდებული და არც უფლებამოსილი, შეეტანა წარდგინება (1783 წლის ტრაქტატით და ქუჩუქ-კაინარჯის 1774 წლის საზავო ხელშეკრულებითძ; ხოლო ქართლ-კახეთს ეს წარდგინებანი ვერ დაიფარავდნენ, ვინაიდან რუსეთის პროტექტორატი მეზობელ ახალციხის ფაშას უქადდა საფრთხეს, წაერთმიათ მისთვის სამფლობელოები (რომლის დაპყრობასაც, რუსეთის დახმარებით აპირებდა ერეკლეძ.






ამიტომ, როგორც აღვნიშნეთ კიდეც, მხოლოდ რუსეთის ჯარის წასვლის შემდეგ, ე.ი. 1787 წლიდან, როდესაც ერეკლემ განაახლა მასთან კავშირი, ფაშა დამშვიდდა და მეფე აღარ შეუწუხებია. ამავე მიზეზით, რაოდენ უცნაურადაც უნდა გეჩვენოთ, ოსმალეთთან მეორე ომის დროს, მიუხედავად იმისა, რომ საკუთრივ საქართველოც, როგორც იმპერიაზე დამოკიდებული სახელმწიფო, ომის მდგომარეობაში იყო ოსმალეთთან, ამ უკანასკნელს არავითარი მტრული მოქმედება არ განუხორციელებია ერეკლეს მიმართ. ერთი სიტყვით, ოსმალეთთან ზავის დროს, რუსეთის პროტექტორატი არ იფარავდა საქართველოს; ხოლო ომის დროს იგი ზედმეტი აღმოჩნდა! საიდუმლო გასაღები იყო სულეიმანის, ახალციხის ფაშის დამოუკიდებელი პოლიტიკა; თავდაპირველად მას აშინებდა ერეკლეს პრეტენზია საათაბაგოზე, ახლა კი, არ ითყოდა უარს, რუსეთის კალთას შეფარებული, საქართველოს მეფის მეშვეობით, დამოუკიდებელი მფლობელი გამხდარიყო.

ზუსტად ასევე, ომარ-ხან ავარიელსაც არაერთგზის მოუწოდებდნენ „ლინიიდან“, არ შეჭრილიყო საქართველოში, ზოგჯერ ემუქრებოდნენ, წამახალისებელ საჩუქრებსაც უგზავნიდნენ ფულად, მაგრამ იგი თარეშისაგან თავს იკავებდა არა ზემოქმედების ამ საშუალებების გამო, არამედ იმ „ჯამაგირის“ გამო, რომელიც ერეკლე, იძულებული იყო ეხადა მისთვის, 1785 წლის ავადსახსენებელი შემოჭრის დროიდან (ოსმალეთთან იასის საზავო ტრაქტატის დადებისას (1791 წლის 29 დეკემბერიძ, რუსეთის რწმუნებულნი მოითხოვდნენ, რომ პორტას თვითონ ეკისრა პასუხისმგებლობა ძარცვა-გლეჯაზე, ლეკები რომ სჩადიოდნენ საქართველოში. მიღწევით ამას ვერ მიაღწიეს, მაგრამ ამჯერად ქართველები „შეიტანეს“ ტრაქტატში. სახელდობრ, V მუხლით დადგენილია: ოსმალეთის მთავრობა პირობას დებს, რომ საგანგებო ფირმანით აუკრძალავს ახალციხის ფაშას და მენაპირე მმართველებს ქართლ-კახეთის სამეფოზე თავდასხმას, რომ არც აშკარად და არც ფარულად არ შეავიწროვებენ ქართლის მეფის მიწებს და მცხოვრებთ, რის შესახებაც გაგზავნიან, უმკაცრესი აკრძალვითა და დასტურით, ბრძანებულებებს. П. С. З. N 17,008. იხ. ერეკლეს სამადლობელი წერილი ცაგარელის „სიგელების“ II ტომში N 83ძ.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა, გვეფიქრა, რომ რუსეთს ოდესმე დავიწყებია 1783 წლის ტრაქტატის არსებობა. მის პროტექტორატს დიდი ვერაფერი სარგებლობა მოჰქონდა საქართველოსათვის, მაგრამ რუსეთი, ბუნებრივია, მას სხვას არავის დაუთმობდა.

1787 წლის 7 სექტემბრის მანიფესტში ოტომანთა პორტასათვის ომის გამოცხადების შესახებ საქართველოს მიმართ არსებული სიუზერენული უფლებების სფეროში შეჭრა ომის ერთ-ერთ საბაბად არის გამოყვანილი. ერეკლეს დადებული ქვეშევრდომობის ტრაქტატი არ ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ვალდებულებებს პორტას მიმართ. „ოსმალეთი, რომელმაც იცოდა ჩვენი ტრაქტატის შესახებ, არ ხდიდა მას საცილოდ; მაგრამ სადაც არ ჰქონდა უფლება, ჩარეულიყო, იქ ეროდა საქმეებში, რომლებიც მისთვის უცხო იყო, და მზაკვრულად მოქმედებდა“. სწორედ პორტა აქეზებდა ლეკებს, ეთარეშათ საქართველოს მიწა-წყალზე, გაეპარტახებინათ სოფლები, წაესხათ ტყვედ ქრისტიანეები (თუმცა როგორც სახელმწიფო საბჭოში აღმოჩნდა 1801 წელს, იმპერატრიცა ეკატერინე „ჩვენს საზღვრებზე მთიელთა არცთუ იშვიათი თავდასხმების შემთხვევაში ზოგჯერ უმკაცრეს პასუხს სთხოვდა პორტას, ხოლო ლეკებისა და ოსმალების თარეშს საქართველოში მეტწილად არავითარ ყურადღებას არ აქცევდა“. სახელმწიფო საბჭოს არქივი, ტ.III, ნაწ.მე-2, გვ. 1203, შენძ. გარდა ამისა, ახალციხის ფაშას პირით უთვლიდნენ ერეკლეს, ეცნო სულთანის ძალაუფლება.

ზემოხსენებული ფაქტები საკმარისია, რომ ჩამოგვიყალიბდეს აზრი იმის შესახებ, თუ რამდენად წარმატებით ახორციელებდა რუსეთი თავის პროტექტორატს საქართველოს მიმართ; რამდენად აძლევდნენ შესაძლებლობას გარემოებანი იმპერიის „ძლიერ მარჯვენას“, მოეგერიებინა მტრის დარტყმები მას შემომატებული ქართლის სამეფოსაგან. ის კი არ უნდა გვიკვირდეს, თუ რატომ უჩნდებოდათ ზოგჯერ ქართველებს აზრი, დაედოთ საპოლიტიკო გარიგება სპარსეთთან ან ოსმალეთთან, არამედ ის, თუ როგორ არ გაუქრათ საბოლოოდ რუსეთის რწმენა. მაგრამ დიდი იყო ეს რწმენა, ხელმძღვანელი ელემენტები რუსეთისაკენ იყვნენ მიდრეკილნი, იმიტომ, რომ უკვე მეტისმეტად ბევრი ნაბიჯი იყო გადადგმული ამ გზით. და შეუძლებლად მიაჩნდათ, ნდობოდნენ ან სპარსეთს, ან ოსმალეთს. რაც შეეხება ევროპის უყურადღებობას, იგი ნათლად აიხსნება საფრანგეთის რევოლუციის მღელვარებით.

თუმცა, იყო წუთი — უკვე ერეკლეს სიკვდილის წინ, როდესაც თავ.გარსევან ჭავჭავაძემ ჯიქურ დააყენა საკითხი პეტერბურგში: სახელდობრ, მან განაცხადა, რომ თუ ტრაქტატი ინარჩუნებს ძალას, მაშინ გამოგზავნონ მაშველი ძალა; წინაალმდეგ შემთხვევაში, ერეკლეს დასჭირდება, განაახლოს კავშირები სპარსელ ყაენებთან და დაღისტანთან ( იხ. გარსევან ჭავჭავაძის 1797 წლის 31 დეკემბრის წარდგინება იმპ. პავლესადმი, ცაგარელთან, II, ქართ. ტექსტები, N 126. ეს „წარდგინება“ დაწერილია ერეკლეს მოახლოვებული გარდაუვალი გარდაცვალების შთაბეჭდილებით. მართლაც, უკვე 12 დღის შემდეგ, მთელი საქართველო, როგორც ერთი კაცი, გლოვობდა მამულიშვილი მეფის გარდაცვალებას.

თარგმნა
**არჩილ მანჯგალაძემ**

(გაგრძელება იქნება)

**იბეჭდება შემოკლებით**

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ“ № 203-219.

ექსკლუზივი

# „ზოგადად კიდევ ბევრი რამ ვიცი ხელისუფლების ბნელი საქმეების შესახებ“...

(მესამე გვერდიდან)

**— თქვენი სკანდალური განცხადებების შემდეგ საზოგადოებაში გაჩნდა კითხვა.: სულ ეს არის, რაც ეროსი კიწმარიშვილმა ხელისუფლების დღემდე ბნელით მოცულ „საქმეებზე“ იცის? კიდევ ხომ არ გაგაჩნიათ რამე მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რაზეც საუბარი ამ ეტაპზე მიზანშეწონილად არ მიგაჩნიათ?**

—რაც საზოგადოებისთვის ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნდა, იმაზე უკვე გავაკეთე საჯარო განცხადებები, რაც შეეხება სხვა ინფორმაციას, რევოლუციის შემდეგ მალევე მოვიხდა საქართველოს დატოვება და ხელისუფლების ბნელ „საქმეებთან“ ახლო კონტაქტი არ მქონია. ზოგადად, რა თქმა უნდა, ბევრი რამ ვიცი და ვაპირებ, გამოვცე წიგნი, სადაც ყველაფერი დეტალურად იქნება მოცემული.

**— ეს იმიტომ გკითხეთ, რომ არის უამრავი საკითხი, რომელიც დღემდე ბურუსითაა მოცული — იგივე 7 ნოემბრის მოვლენა, მერე განვითარებული პროცესები, ტელეიმედის და მისი პირველი მფლობელის ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებისა თუ მკვლელობის საკითხი...**

— როგორც გითხარით, ვთვლი, რომ ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანია ის საკითხები, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ. სხვა დანარჩენი საკითხების დროც, ალბათ, მალე მოვა...

**— ამ რამდენიმე დღის წინათ დავით უსუფაშვილმა ინტერვიუში განმიცხადა: 2010 წლის დადგომამდე საქართველოს ახალი ხელისუფლება ეყოლებაო. როგორ ფიქრობთ, მიდის პროცესები აქეთკენ?**

— ასეთი პროგნოზის გაკეთება ნამდვილად გამიჭირდება, თუმცა დავით უსუფაშვილი არ არის ის პიროვნება, რომლის განცხადება საყურადღებოდ არ ჩავთვალოთ... ბევრი რამ არის დამოკიდებული უშუალოდ მიხეილ სააკაშვილზე, რომლის ქმედებებმა შეიძლება პროცესები სხვა მიმართულებით წარმართოს...

რაც შეეხება ხელისუფლების შეცვლას, ამ საკითხს ძალიან ფრთხილად უნდა შევხედოთ, ვინაიდან დღეს ჩვენ ურთულესი პოლიტიკური ამოცანების წინაშე ვდგავართ და ერთმა, თუნდაც ყველაზე უმნიშვნელო არასწორმა ნაბიჯმაც კი შეიძლება ბევრად უფრო მძიმე, კატასტროფულ შედეგებამდე მიგვიყვანოს.



**ჯაბა ჟვანია**

# ხუთასამდე ქართველი ჟურნალისტია გახიზნული უცხოეთში, დამლაგებლებად, ჭურჭლის მრეცხავებად მუშაობენ

**ჩვენი კოლეგა ნინო ცხოიძე ჟურნალისტიკაში წლების განმავლობაში მოღვაწეობს, თუმცა დღეს მიიჩნევს, რომ მას თავისი თავის რეალიზების საშუალებას ხელისუფლება არ აძლევს. ის ჟურნალ „ემიგრანტის“ რედაქტორია, თუმცა ფინანსების უქონლობის გამო გამოცემა უჭირს. ჟურნალისტი ამბობს, რომ თავისუფალ მასმედიასა და ჟურნალისტთა დამოუკიდებლობას ბრძოლა ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციამდე“ გამოუცხადეს და გამოუცხადა სწორედ მიხეილ სააკაშვილმა.**

— როცა ეს ხელისუფლება მოვიდა, „გამოუცხადებელ ომში“ აღმოვჩნდი. მაშინ რადიო „აჭარაში“ ვმუშაობდი, საზოგადოებრივი რადიოდან, კერძოდ კი „პიკის საათიდან“ სულ ერთი თვის გადასული ვიყავი. თუმცა ასლან აბაშიძესთან შეხება არ მქონია, სწორედ „აჭარაში“ მუშაობა წამომაძახეს: შენ ვერ მიხვდი, ბოლოს სად უნდა ყოფილიყავი, კრიტიკულ მომენტში ასლანის გუნდში აღმოჩნდიო.

**— ამიტომაც გერჩიან?**

— „სივით“ არ დავრბივარ, მაგრამ სადაც კი მივიტანე ჩემი გადაცემები ემიგრანტებზე, მეუბნებიან, კარგიაო, თუმცა დაფინანსებაზე ყველა თავს იკავებს, უარით მისტუმრებენ.

**— ნინო, რატომ არიან ჩვენი ემიგრანტები ასე თავგამოდებული „მიშისტები“?**

— არა, რატომ, იქაც აქვს ბევრს განსხვავებული აზრი, თუმცა ბევრი მომხრეა. ვინც კარგად მოეწყო უცხოეთში, ვისაც კარგი პირობები აქვს, თითქმის არ უყურებს ჩვენს არხებს და მხოლოდ ინტერნეტით თუ მიადევნებს თვალს. აქ ჩამოდიან, ახალი აეროპორტი ხვდებათ, მოასფალტებული გზები, განათებული თბილისი და ჰგონიათ, დემოკრატიაც ასეთი ჩახჩახაა. მათთვის ფასადური ცვლილება საკმარისია. თუმცა აგვისტოს მოვლენების შემდეგ ძალიან ბევრ ემიგრანტს წარმოდგენა შეეცვალა.

როცა ქართულ ტელეარხებს ვუყურებ, სულ შალვა ნათელაშვილის სიტყვები მაგონდება, ჰიტლერს რომ „რუსთავი-2“ ჰყოლოდა, გერმანელ ხალხს დღემდე არ ეცოდინებოდა, ომი რომ წააგოო. ეს ფრაზა ევროპაშიც ხშირად ტრიალებს.

**— ნინო, თქვენ აქტიური ჟურნალისტი იყავით სახელმწიფო რადიოსი, დემოკრატიის ხარისხით რომელი დროება სჯობდა, შევარდნაძისა თუ სააკაშვილის?**

— „პიკის საათში“ მუშაობის დროს, კრიტიკულ რამეს რომ ვამბობდი, ხელმძღვანელობა მსაყვედურობდა ხოლმე, მაგრამ სამსახურიდან არ მითხოვდნენ. შემზოჭველი განცდა არ მქონდა, ხელისუფლებასთან ურთიერთობის გამო, კრიტიკას არ ვერიდებოდი.

შევარდნაძის ბრიფინგზე 60, 70 ჟურნალისტი ვიყავით ხოლმე, სააკაშვილის ბრიფინგზე მიკროფონებს ვითვლი და 4-დან 9-ს არ სცილდება, პრესა კი თითქმის არ არის.

**— თქვენ თქვით, „ვარდების რევოლუციამდე“ დაიწყო ჟურნალისტების დისკრედიტაციაო...**

— დიახ, ჯერ კიდევ სააკაშვილის მინისტრობის დროს. რადიოდან დამირეკეს და მითხრეს, იუსტიციის მინისტრი თურმე გადადგომას აპირებს და გაიგე რა ხდებაო. სამინისტროში მისულს მეუბნებიან, არაფერი არ ხდებაო. ვეხვეწებოდი, არ დამიმალოთ და სანამ ოფიციალურ განცხადებას არ გააკეთებს, არ გავავრცელებ-მეთქი. მაინც დავრჩი, იმიტომ, რომ სააკაშვილის კაბინეტის ღია კარში თვალი მოვკარი „თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრებს: თარგამაძეს, ბოკერიას, რამიშვილს და მივხვდი, რაღაც ხდებოდა. რვა ჟურნალისტი იმ დღეს მაინც დავრჩით, ღამის ცხრა საათამდე იქ ვიყავით და უცებ 9 საათიან „კურიერში“ აცხადებენ, რომ მინისტრი გადადგა და განცხადებას გააკეთებს. მაშინ კოლეგებს ვუთხარი, ეს ჟურნალისტთა შეურაცხყოფაა-მეთქი და წამოვედი.

ამის შემდეგ სააკაშვილს, როგორც საკრებულოს თავმჯდომარეს შევხვდი და ვუსაყვედურე. ის ხელისუფლების წარმომადგენელი იყო, მაგრამ ეს არ მიშლიდა ხელს, მისთვის კრიტიკული აზრი მეთქვა. ახლა რა ხდება, ვინმე იტყვის მასზე ცუდს ელექტრონულ მედიაში?!

როცა ინგა გრიგოლიას გადაცემა „რეაქციაში“ ეს მოვყევი, მეორე დღეს ერთმა ახლობელმა ჟურნალისტმა დამირეკა და მითხრა, ენას კბილი მაგრად დააჭირე, თორემ ცუდად დაგიბრუნდებაო.

ის დღე იყო და ჩაკეტილ წრეში ვტრიალებ, ყველგან კარებს მიხურავენ და არ ვიცი, როგორ დავაღწიო თავი.

**— პრეზიდენტ სააკაშვილთან შეხვედრამ არ მოგიწიათ?**

— ერთადერთხელ მოვხვდი მის ბრიფინგზე, ისიც შემთხვევით, აკრედიტაციას ვაკეთებდი და ყური მოვკარი გაგლოევას ნათქვამს, პრეზიდენტი რა საკითხზე ატარებს პრესკონფერენციასო? თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ის საქმის კურსში არ იყო. მაშინ ვკითხე პრეზიდენტს: თქვენი ხელისუფლების პირობებში ემიგრანტები სტატუსს ვერ იღებენ, ეუბნებიან, პრეზიდენტი სამშობლოში გიხმობთო, ხოლო სამშობლოდან წასულების ტალღა ორჯერ გაიზარდა-მეთქი. ვერ დაგეთანხმებიო, სიტყვა გამაწყვეტინა და მოყვა, როგორ ბრუნდებიან ემიგრანტები სამშობლოში და აქ რა არაჩვეულებრივი ქვეყანა ხვდებათ. გაკვირვებული დავრჩი, მივხვდი, წარმოდგენა არ ჰქონდა ჩვენს ემიგრანტებზე.

დღეს არათუ უმუშევარი მიდის, არამედ ისიც, ვისაც სამსახური აქვს, ზოგი — ლეგალურად, ზოგიც — არალეგალურად. რომ იცოდეთ, 500-მდე ქართველი ჟურნალისტია უცხოეთში, რომლებიც დამლაგებლებად, ჭურჭლის მრეცხავებად მუშაობენ, ევროპაში დამლაგებლის ხელფასი, რამდენჯერმე აღემატება საქართველოს გამგებლის ხელფასს. სანამ ეს ასე იქნება, ემიგრანტების ტალღა ყოველთვის დიდი იქნება. დემოკრატიის მხრივ კი შედარებები შორს წაგვიყვანს...

**ესაუბრა**
**თეა მოსია**

მრგვალი მაგიდა

# რატომ გაუჩნდა კითხვები ევროპას, უარესი ომის მოლოდინში ვართ?

## საქართველოს ქალები ქვეყნის ბედზე მსჯელობენ

**საერთაშორისო ორგანიზაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ოფისში თავი მოიყარეს ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის წარმომადგენლებმა და მოაწყვეს მრგვალი მაგიდა თემაზე: „ქალთა ორგანიზაციების როლი რუსული ინტერვენციის შედეგად საქართველოში შექმნილი კრიზისული მდგომარეობისა და მისი დაძლევის შესახებ“.**

მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა: ნელი გურგენიძემ, მაია კვეზერელი-კოპაძემ, მანანა მებუკემ, ლია ჩლაჩიძემ, მადონა ოქროპირიძემ, ლიანა ბერაიამ, იზოლდა ტიგიევამ და სხვებმა აღნიშნეს, რომ ქალების როლი საზოგადოებაში მნიშვნელოვანია, მათ პოლიტიკის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვით. რუსეთმა არნახული აგრესია განახორციელა ჩვენს წინააღმდეგ. მართალია, ჩვენმა გაერთიანებებმა ჰუმანიტარული დახმარება გაუწიეს დევნილებს, მაგრამ მხოლოდ ეს არ კმარა. გვეუბნებოდნენ, ინფორმაციული ომი მოვიგეთო. მაშ, რატომ გაუჩნდა ახლა კითხვები ევროპას? უარესი ომის მოლოდინში ვართ? საზოგადოება ინდიფერენტულია, გულჩათხრობილია, თითქოს უიმედობა სუფევს. ჩვენ, ქალებს არ შეიძლება, არ გვაღელვებდეს ათასობით დევნილის მდგომარეობა, რომელთაც მოეშალათ ოჯახური გარემო და სოციალური პრობლემები გაუჩნდათ. ასევე გვაღელვებს ომში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულ ჯარისკაცთა ოჯახების ბედი. როგორ გავიაზროთ ეს მდგომარეობა, რა ვქნათ? — ასეთი იყო ზოგადად იქ შეკრებილ ქალთა პოზიცია. ქალბატონებმა გულისტკივილით ისაუბრეს იმაზე, რომ ომამდე ქართველებს, ოსებს, აფხაზებსა და რუსებს შორის საერთო ენის გამონახვის შესაძლებლობა იყო, ახლა კი დიალოგი შეწყდა.

ოს ქალთა საერთაშორისო ასოციაციის „ალანელის“ ხელმძღვანელმა იზოლდა ტიგიევამ აღნიშნა, რომ ომის შემდეგ ერთი და იგივე მიმართვის ტექსტი გაუგზავნა საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტებს, ჩრდილო ოსეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელებს, სადაც ომის მიუხედავად, თანაცხოვრება და ურთიერთობის აღდგენა შესთავაზა. მხოლოდ ჩრდილო ოსეთიდან მიიღო პასუხი, რომ ქართველებმა გენოციდი მოუწყვეს ოსებს და ეს თუ არ გესმით და არ იცით, ახლა მაინც გაიგეთო.

თემის განხილვას უძღვებოდნენ მოწვეული სტუმრები: პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე და ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე. მათ კიდევ ერთხელ ისაუბრეს საქართველოში არსებულ უმძიმეს მდგომარეობაზე და ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებს ურჩიეს, თავად გამონახონ საერთო ენა როგორც რეგიონალურ, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მოიპოვონ მათი კეთილგანწყობა.

შეხვედრაზე მონაწილეებმა მიიღეს მიმართვის ტექსტი პრეზიდენტის, პარლამენტის და მთავრობის მისამართით, სადაც გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება მიმდინარე პროცესების შესახებ და მოითხოვეს, არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა და ჩართვა ქვეყნის კრიზისიდან გამოსაყვანად.

**ნია ფიფია**

ინფორმაცია

## გაიხსნა თეიმურაზ ბაგრატიონი-მუხრანელის საარქივო ფონდი

**ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ახალი საარქივო ფონდი გაიხსნა.**

ბიბლიოთეკის მეცნიერ თანამშრომლებმა თეიმურაზ ბაგრატიონ-მუხრანელის პირადი ფონდი დაამუშავეს. ეროვნულ ბიბლიოთეკას დოკუმენტები გადასცა თეიმურაზ ბაგრატიონ-მუხრანელის ქვრივმა ირინა ჩერნიშევა-ბეზობრაზოვამ.

დოკუმენტები ძირითადად რუსულენოვანია. აგრეთვე უხვადაა მასალა ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, ბერძნულ, სერბულ ენებზე. თეიმურაზ ბაგრატიონ-მუხრანელის ფონდი შეიცავს ბიოგრაფიული და სამსახურებრივი მოღვაწეობის ამსახველ დოკუმენტებს.

დოკუმენტებში ასახულია თეიმურაზ ბაგრატიონ-მუხრანელის ცხოვრება ოქტომბრის რევოლუციის (1917წ.) შემდეგ და მისი მოღვაწეობა ლევ ტოლსტოის საქველმოქმედო ფონდში. პირადი ფონდი შეიცავს საინტერესო ფოტომასალას. ფოტოებში დაცულია თეიმურაზ ბაგრატიონ-მუხრანელის პირადი და საოჯახო სურათები. დოკუმენტები განეკუთვნება 1889-2008 წლებს.

**ინტერპრესნიუსი**

„პრივატიზაცია“

# დღემდე ამოუხსნელი ამოცანა-გამოცანა,

## ანუ თუ ქარხნის ნახევარი 200 დოლარი ღირს, რა ეღირება მისი მთელი ქონება?

**1991 წლის იანვარში თბილისის ჩუღურეთის რაიონის ალმასკომმა, თბილისის სამსხმელო მოწყობილობათა ქარხნის კოლექტივის საერთო კრების ოქმზე დაყრდნობით, რეგისტრაციაში გაატარა „მცირე საიჯარო საწარმო“. თუ რა ქონების პატრონი გახდა „მცირე საიჯარო საწარმო“, ამის თაობაზე კონტროლის პალატის შემოწმების აქტშია ნათქვამი: მას გადაეცა თბილისის სამსხმელო მოწყობილობათა ქარხნის ბალანსზე რიცხული მთელი ქონება, თუმცა სსგ „ვნიილიტმაშის“ (მის დაქვემდებარებაში იყო მანამდე ქარხანა) გენერალური დირექტორის შესაბამისი ბრძანება ასეთ მითითებას არ შეიცავდა და, ამდენად, არც ქონების გადაცემა მომხდარა.**

„მცირე საიჯარო საწარმოს“ შემადგენლობაში უნდა შესულიყო ძველი ქარხნის სათავო საწარმო და № 2 საამქრო, ხოლო თუ ვის რჩებოდა ორხევში აშენებული რობოტებისა და მანიპულატორების სტრატეგიული დანიშნულების ქარხნის ქონება, სადღეისოდაც გაურკვეველია. ასევე სსგ „ვნიილიტმაშის“ გენდირექტორის ბრძანებით უნდა გადაფასებულიყო „მცირე საიჯარო საწარმოზე“ გადასაცემი ქონება, რაც არ განხორციელებულა, თუმცა ეს რომ გაეკეთებინათ, მაშინ ძირითადი ფონდების ღირებულება 346,9 ათასი მანეთით გაიზრდებოდა.

აღნიშნული ბრძანებით მოიჯარე უნდა ყოფილიყო „მცირე საიჯარო საწარმო“, თუმცა ის საერთოდ არ ამუშავებულა. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მაშინდელ სამინისტროში არის მხოლოდ 1991 წლის 1 ივნისისთვის არსებული მდგომარეობით შედგენილი საარენდოდ გადასაცემი ფიქციური ქონებრივი ჩამონათვალი. აღნიშნული დოკუმენტის სიყალბეს ადასტურებს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ცნობა, რომლის თანახმად მეიჯარისა და მოიჯარის მიერ დასმული ბეჭედი ორივე მხარეს ერთი და იგივეა.

1992 წელს სამსხმელო მოწყობილობათა ქარხნის დირექტორმა ზ.რეხვიაშვილმა (და არა „მცირე საიჯარო საწარმოს“ მმართველმა, როგორც ეს წესით უნდა ყოფილიყოძ წერილით მიმართა ქონების მართვის სამინისტროს, რომლითაც აცნობა, თითქოს ქარხანა 1990 წლიდან მოყოლებული საიჯარო წესით მუშაობდა, ვითომდა საიჯარო გადასახადებსაც იხდიდა და საიჯაროდ გადასაცემი ქონების გამოსყიდვა დაასრულა.

რედაქციის ხელთ არსებული მასალებიდან სავსებით ნათლად ჩანს, რომ თბილისის სამსხმელო მოწყობილობათა ქარხნის ქონების პრივატიზების პროცესში უამრავი კანონდარღვევაა დაშვებული, ხოლო აუარება საბუთი გაყალბებულია. ეს ეხება, კერძოდ, რეგისტრაციის მოწმობას, ძირითადი ფონდების აუდიტორული ჩამოფასების აქტს, ზოგი აუცილებელი საბუთი კი საერთოდ არ არსებობს. მეტად მნიშვნელოვანია, ჩვენი აზრით, ასევე სახელმწიფო ქონების პრივატიზებისთვის გადასახდელი თანხების საკითხიც, რომლის წარმართვის პროცესში სახელმწიფო ბიუჯეტს დიდი ოდენობით ზარალი მიადგა — მარტო ის რად ღირს, რომ არარსებულმა ფირმამ „ქიორამ“ სამსხმელო ქარხნის მთლიანი ქონების ნახევარი იმდროინდელი კურსით სულ... 200 დოლარად ჩაიგდო ხელში და მისი მეწილე გახდა. ამასთან დაკავშირებით კონტროლის პალატის აქტში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ **„... მიზანშეწონილი იქნება აღნიშნული ოპერაციის კანონიერება დადგენილ იქნას გამოძიებით“.** და კიდევ ერთი: იმავე აქტში ასევე აღნიშნულია, რომ **„მასალების შესწავლის საფუძველზე, რომელიც საბოლოოდ უნდა დადასტურდეს გამოძიებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ თბილისის სამსხმელო მოწყობილობათა ქარხნის პრივატიზება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ განხორციელებულია ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევითა და მთავრობის მიერ მიღებული მთელი რიგი დადგენილებების უგულებელყოფით, რის გამოც წინასწარი გაანგარიშებით, სახელმწიფო ბიუჯეტს დააკლდა 404 მილიონ 527 ათასი მანეთი, ანუ 410.320 დოლარი“.**

ყველაფერს ნათელს, ალბათ, პროკურატურის გამოძიება მოჰფენს, რადგან ამ საკითხზე სისხლის სამართლის საქმე ჯერ კიდევ 2001 წელს არის აღძრული. აქვე თქვენი ყურადღება, ბატონებო, ერთობ უცნაურ გარემოებაზეც გვინდა გავამახვილოთ: საქმე ამჟამად გორის სამხარეო პროკურატურაშია (?!ძ. ისმება კითხვა: რა უნდა საქმეს გამოსაძიებლად გორში, როცა დანაშაული თბილისშია ჩადენილი და მისი „გმირებიც“ ყველანი თბილისელები არიან? იმედს გამოვთქვამთ, რომ ყოველივე ამას სათანადო ყურადღებას იუსტიციის სამინისტრო მიაქცევს.

**ოთარ ტურაბელიძე**






*ამ ყალბი საბუთების საშუალებით 200 დოლარად ჩაიგდეს ხელში ქარხანა.*








# შპს „საქართველოს რკინიგზა“
## აცხადებს აუქციონს სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენების რეალიზაციის მიზნით

**1. ინფორმაცია სარეალიზაციო ქონების შესახებ**

○ **სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენები – 1135 ტონა;**
○ **მდებარეობა – სადგური ველი;**
○ **საწყისი სარეალიზაციო ფასი – 23 000** აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში (დღგ-ს ჩათვლით).
○ **“ბე“-ს თანხა – 10 000** აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში;
○ **ბიჯი – 1000** აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში
○ **ბილეთის ფასი – 200** ლარი;

• **აუქციონში მონაწილეობა შეუძლია** ყველა რეზიდენტ ან არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.
• **განაცხადების მიღების ადგილი** – ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციული შენობა, მე-4 სართული, ტელ.: 56-33-48, 56-53-20.
• **განაცხადების მიღების ვადა** – 2008 წლის 1 დეკემბრიდან 2008 წლის 17 დეკემბრის ჩათვლით. აუქციონის ჩატარების დღემდე 10.00 საათიდან 17.00 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10.00 საათიდან 12.00 საათამდე.
• აუქციონი ჩატარდება 2008 წლის 17 დეკემბერს 14.00 საათზე – ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციულ შენობაში.
• **შპს „საქართველოს რკინიგზის“ საბანკო რეკვიზიტები** – „ბანკი რესპუბლიკა“, ცენტრალური ფილიალი, ა/ა№3407003205, ბანკის კოდი №220101757, საიდენტიფიკაციო კოდი №202886010.

**2. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმი**

• სარეალიზაციო ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის გადახდა, არანაკლებ საწყისი ღირებულებისა.

**3. აუქციონის შედეგების ოქმის შედგენა და გამოსასყიდი თანხის გადახდის ვადა**

• აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელიც წარმოადგენს წერილობით ხელშეკრულებას მყიდველსა და გამყიდველს შორის.
• აუქციონის შედეგების ოქმი მტკიცდება შპს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორის ბრძანებით, აუქციონის ჩატარების მომენტიდან 10 დღის ვადაში.
• ოქმის ხელმოწერიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში მყიდველი ვალდებულია გადაიხადოს ქონების ნასყიდობის თანხა შპს „საქართველოს რკინიგზის“ მომსახურე ბანკში (საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით), რომელიც შეესაბამება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს.
• მონაწილეს გადახდილი „ბე“ ჩაეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.
• ქონებაზე საკუთრების უფლება გამყიდველის მიერ მყიდველს გადაეცემა საბოლოო ნასყიდობის ფასის სრულად დაფარვის შემდეგ.
• თუ გამარჯვებული პირი დათქმულ ვადაში არ გადაიხდის საბოლოო თანხას ან უარს იტყვის აუქციონის შედეგების ოქმზე ხელის მოწერაზე, აუქციონის შედეგები უქმდება და გამარჯვებულ პირს გადახდილი „ბე“ არ უბრუნდება.
• მყიდველმა უნდა უზრუნველყოს შეძენილი ქონების აწონვა და გატანა საკუთარი ხარჯებით დათქმულ ვადაში.

**4. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები**

• დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, სარეალიზაციო ქონების დასახელებას, რომლის შეძენაც სურს მას, საწყის გასაყიდ ფასს და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა მონაცემებს.
• „ბე“-ს და „მონაწილის ბილეთის“ ფასის გადახდის ქვითარი (გადაიხდება შპს „საქართველოს რკინიგზის“ ანგარიშსწორების ანგარიშზე, საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით).
• აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.
• იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს.
• საუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციისა და „მონაწილის ბილეთის“ შეძენის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს.
• აუქციონში მონაწილეს „ბე“-ს დაუკავებლად უფლება აქვს, მხოლოდ განაცხადების მიღების პერიოდში განაცხადოს წერილობითი უარი აუქციონში მონაწილეობაზე.
• საბოლოო ანგარიშსწორება მყიდველსა და შპს “საქართველოს რკინიგზას” შორის განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული პროდუქციის შესაბამისად.
• სარეალიზაციო ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შპს „საქართველოს რკინიგზაში“

**საკონტაქტო ტელ: 56-33-48, 56-65-10**


ტელევიზია

## პირველი არხი სახელს იბრუნებს

**საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურმა დირექტორმა ლევან ყუბანეიშვილმა არხის ახალი კონცეფციის და პროექტების თაობაზე საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. მისი თქმით, 28 ნოემბერს, არხზე მიმდინარე ცვლილებების გამო, ეთერი გაითიშება, ხოლო 4 დეკემბრიდან მაყურებელს საშუალება ექნება იხილოს შემდეგი გადაცემები: „დიდი ათეული“ (წამყვანები: ეკა ხოფერია, დაჩი გრძელიშვილი), თოქ-შოუ „ცხოვრება მშვენიერია“, წამყვანი ნინო ქაჯაია, გასართობი შოუ „სამოთხის ვაშლები“, ნაციონალური მოამბე — აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე, დილის პროგრამა „ალიონი“, შემეცნებითი გასართობი პროექტი „მე მიყვარს საქართველო“, მუსიკალური შოუ „კაბარე 5 ვარსკვლავი“, გასართობი პროგრამა „ნაცნობი“, ახალგაზრდული თოქ-შოუ „მოკლე ჩართვა“, ახალგაზრდული სერიალი „3G“, პოლიტიკური თოქ-შოუ „პირველი თემა“, დოკუმენტური პუბლიცისტური ფილმების ციკლი და სხვ.**

**ალსანიშნავია, რომ რებრენგინდის შედეგად საზოგადოებრივ მაუწყებელს დაუბრუნდება სახელი „პირველი არხი“ და შეეცვლება სლოგანი.**

**ჯაბა ჟვანია**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №136

ისტორიული პარალელები

# დიპლომატია თუ ამბოხი?

***რუსეთის საიმპერატორო კარის დახმარებით, რუსული იარაღით, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობით დედოფალმა ნინომ სამეგრელოს გაძლიერება და აფხაზეთის ოსმალოთაგან განთავისუფლება გადაწყვიტა. მტერი მტრის წინააღმდეგ — ასეთი იყო ნინო ბატონიშვილის სტრატეგია.***

სამეგრელოში, სოფელ ბირკნალში, ერისთავთა ოჯახში, ისტორიკოს **დიმიტრი ბაქრაძეს** სიძველისაგან დაზიანებული ფერწერული ტილო უნახავს, რომელზეც ბატალური სცენაა აღბეჭდილი — ფოთის ციხის აღება. ეს ილუსტრაციაა ცნობილი ომისა, როდესაც **ერეკლე მეორის შვილიშვილის, სამეგრელოს დედოფლის (მთავრის გრიგოლ დადიანის მეუღლის) ნინო ბატონიშვილის დასახმარებლად კავკასიის მთავარმართებულმა ტორმასოვმა ფოთში რუსული ჯარი გააგზავნა,** გენერალ-მაიორი გრიგოლ ორბელიანის მეთაურობით: ფერწერულ ტილოებზე ასახული დასავლეთ საქართველოს მეომრები რუს ჯარისკაცებთან ერთად თურქებს ებრძვიან. ქართულ ჯარს ხმალამოწვდილი მიუძღვის სამეგრელოს დედოფალი ნინო. ალყაშემორტყმული ციხე ცეცხლის ალშია გახვეული. ქრონოლოგიურად 1809 წელია, როცა ოსმალებმა ფოთის ციხეს ალყა შემოარტყეს. სისხლისმღვრელი, სასტიკი ბრძოლა გაიმართა, მაგრამ სანამ ჩვენი მებრძოლები სისხლისგან დაიცლებოდნენ, **მამია გურულმა** ოდიშის სამთავროს თავისი რაზმი მიაშველა. სამი ჯარის მეომრებმა (სამეგრელოს, გურიის და რუსეთის) ოსმალები ციხიდან განდევნეს.

მოგვიანებით მწერალი ბაგრატ ბატონიშვილი ამ საბრძოლო ქმედებათა მთელ პერიპეტიებს აღწერს და იქვე დასძენს: „**მთავრინა ნინო იყო ფრიად მხნე დედათაგანი და უშიშრად დაჰყვებოდა მხედართა თვისთა სარდლად ომთა შინა**“...

ფოთის ციხის აღების შემდეგ ნინო ბატონიშვილი **„რაინდი ქალის“** ეპითეტით შეამკეს და მისი ავტორიტეტი არნახულად გაიზარდა, მაგრამ ამ ბრძოლის შინაარსს და პოტენციურ მნიშვნელობას დედოფალი არაერთმნიშვნელოვნად აფასებდა. იმ პერიოდში მისი მემკვიდრე — უფროსი ვაჟი ლევანი ოსმალეთის ვასალს ქელაიმ-ახმედ-ბეგ შარვაშიძეს დატყვევებული ჰყავდა აფხაზეთში.

ბაგრატოვანთა ოჯახს პირადი ინტერესების პარალელურად დედოფალი შორს იყურებოდა: სტრატეგიული თვალსაზრისით, აუცილებელიც იყო ოსმალთა დასაყრდენის — ფოთის ციხის აღება, რომელშიც თურქები გამაგრებულიყვნენ. დედოფალმა აგრეთვე იცოდა, რომ ისლამური სამყაროს განდევნა რუსეთის ინტერესებშიც შედიოდა და სწორედ ამიტომ ითხოვა დახმარება კავკასიის მთავარმართლისგან, ვრცელი და არგუმენტირებული წერილით.

**ეს იყო ცდა რუსეთთან დიპლომატიით და რუსული იარაღით აფხაზეთზე შეტევისა.** ოდიშ-ლეჩხუმის ჯარი რუსეთის გენერლის რაზმს შეუერთდა და ერთად აიღეს ანაკლია.

დედოფლის მრჩეველთა საბჭო, ისტორიკოს **ნიკოლოზ დადიანის, ჭყონდიდელი მიტროპოლიტის ბესარიონის, სახლთუხუცესის გიორგი ჩიქოვანის და ლეჩხუმის მოურავის გელოვანის** შემადგენლობით, ვარაუდობდნენ, რომ ამ გაბრძოლების, ოსმალთა განდევნის შემდეგ, აფხაზეთის ოდიშთან შეერთება მოჰყვებოდა, მაგრამ მალე ქელაიშ-აჰმედ-ბეგმა ბაგრატოვანთა მემკვიდრე ლევანი გაანთავისუფლა. პეტერბურგსა და სპარსეთს შორის ვითარება ძალიან გამწვავდა და კონფრონტაცია ოსმალეთთან ახალ პრობლემებს შექმნიდა.

დედოფალ ნინოს უმთავრეს მიზნად კი აფხაზეთის ოსმალთაგან გამოხსნა და დასავლეთ საქართველოსთან შეერთება რჩებოდა.

* * *

*„საქართველოს ეს უძველესი კუთხე, საიდანაც ჯერ კიდევ დიდებულ დავით კურაპალატის დროს საქართველოს სახელმწიფოს გამაერთიანებელი ძლიერი ნაკადი წამოვიდა, დედოფალ ნინოსთვის იგივე მნიშვნელობას ატარებდა, რაც ერეკლესთვის სამცხე-საათაბაგო, მაგრამ ახლა ერეკლეს სახელოვანი და დიდი საქართველო აღარ ლაპარაკობდა და ამიტომ დედოფალი ნინოს არგუმენტებიც სულ სხვაგვარი იყო“* (**თ. პაპავა** „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“).

ნინო ბატონიშვილს რუსეთთან იძულებითი დიპლომატიის გარდა სხვა გამოსავალი არც ჰქონდა. თუკი მეფე ერეკლე აფხაზეთსაც საქართველოს განუყოფელ ნაწილად თვლიდა და ამ მიწის ქართულ იურისდიქციაში არსებობას ახმოვანებდა, დედოფალი ნინო დიპლომატიური წერილებში აფხაზეთის დაბრუნებას ქრისტიანულ სამყაროში რუსეთის იმპერიის ეკონომიკურ-პოლიტიკურ ინტერესად წარმოადგენდა. იგი პეტერბურგს აფხაზეთის ზღვის განსაკუთრებულ ხიბლზე მიანიშნებდა და რუსეთის დახმარებით თავის საკრალურ მიზანთან მისვლა სურდა — აფხაზეთის შეერთება ოდიშთან.

* * *

**1783 წელს გეორგიევსკში დადებული ტრაქტატი და ნინო ბატონიშვილის საყვარელი ბაბუის — ერეკლე მეორის მოლოდინით სავსე მზერა ჩრდილოეთისკენ შთამომავლებზეც ახდენდა გავლენას.**

**ბაბუას განსაკუთრებით ჰყვარებია ნინო, მაგრამ იგი როგორც საკუთარ სიცოცხლეს, ოჯახის წევრების პირად ცხოვრებასაც ქვეყნის ინტერესებს უქვემდებარებდა.**

მეფე ერეკლემ ვერაფრით მოარიგა იმერეთის მეფე სოლომონი და სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი. მათ შორის ომებმა საქართველო დააუძლურა. ერეკლემ დიდხანს იფიქრა და ხანგრძლივი ზავის ჩამოსაგდებად ერთადერთი დიპლომატიური გზა გამონახა: შვილიშვილი ნინო ცოლად შერთო გრიგოლ დადიანს, ხოლო სოლომონ მეფეს — გრიგოლის და მარიამი. ასე შეიკრა ქართული ოჯახი, ტრადიციებით და საერთო ინტერესებით. ეს იყო ტიპიური დიპლომატიური ქორწინებანი, რისი ანალოგიებიც ბევრია მსოფლიო ისტორიაში, როცა პიროვნებათა საოჯახო ცხოვრება ქვეყნის ბედში მონაწილეობს.

იოსებ გრიშაშვილს წიგნში „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა“ აღწერილი აქვს მზითევი, რომელიც გაატანეს ერეკლეს შვილიშვილს, გიორგი მეფის ქალიშვილს — ნინოს: *ულამაზესი კაბა, 1260-მარგალიტიანი; საოჯახო ნივთები, სამკაულები...* ვრცელი სია სასულიერო თუ საერო წიგნებისა ბაგრატოვანთა საგვარეულოს ლიტერატურულ, მეცნიერულ და სულიერ ინტერესებზე მიგვანიშნებს. მათ შორისაა: „ქართლის ცხოვრება“, „სიტყვის კონა“, „ქილილა და დამანა“, „ვარდ-ბულბულიანი“, „ანბანთ-ქება“, „სიბრძნე-სიცრუისა“, ღრამატიკა, დიალექტიკა...

სანამ ამგვარი მზითევით პატარძალს სამეგრელოში გაისტუმრებდნენ, ნეფე-დედოფალმა თბილისში, სასახლის ეკლესიაში დაიწერა ჯვარი.

გრიგოლ დადიანი 50 თავადით, აზნაურებით და გლეხებით ჩავიდა საქართველოს დედაქალაქში ნინოს წასაყვანად. „ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს: „წელსა 1791 აქორწინა დადიანი გრიგოლ, მეფის ირაკლის პირმშო ძემან გიორგიმ, ასულსსა თვისსა ზედა ნინოს და წაიყვანა იგი დილითა მზითვითა ოდიშს“...

ოდიშის დედოფალი პირველივე დღეებიდან იწყებს ზრუნვას დაკარგული მიწების დაბრუნებაზე, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შინაური თუ გარეშე ურთიერთობების მოგვარებაზე.

ბაგრატოვანთა მშვენიერი ბატონიშვილი ნინო ექვსი შვილის დედა ხდება და გასაოცარი ენერგიითა და გონიერებით ახერხებს შეუთავსოს ერთმანეთს მზრუნველი დედისა და პოლიტიკური მოღვაწის როლი.

1804 წელს, მას შემდეგ, რაც მეუღლე გრიგოლ დადიანი გარდაიცვალა, იგი სამეგრელოს ფაქტიური მმართველი ხდება...

* * *

ქართლ-კახეთში რუსეთის საიმპერატორო ჯარები იყო განლაგებული. ნინომ ამ ფონზე დაინახა დასავლეთ საქართველოს წინააღმდეგობათა განწირულება. მიხვდა, რომ რუსეთს ბრძოლით ვერ მოერეოდა და რაციონალური გამოსავლის ძიება დაიწყო, რაც მხოლოდ დიპლომატიით მიიღწეოდა.

სწორედ ამგვარ სტრატეგიას მოჰყვა ერთობლივი ომი თურქეთთან, ფოთის ციხის აღება, მაგრამ აქ დედოფალ ნინოს იმედები გაუცრუვდა. რუსები ფოთის აღებაში დაეხმარნენ, მაგრამ ეს საზღვაო ქალაქი დედოფლის განმგებლობაში არ გადავიდა.

დედოფალი ამაოდ ცდილობდა ყოველი ნაბიჯი მოფიქრებული და აწონილ-დაწონილი ჰქონოდა. როდესაც თავის ამალით აფხაზეთში გაემგზავრა, იქ სამეგრელოს სამთავროს უზენაესი უფლებების დემონსტრირება დაიწყო. მას მუდამ თვალს ადევნებდნენ იმპერატორის ტახტიდან. დედოფალი რუსეთის იმპერიას ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებდა თავის ისტორიულ უფლებებსა და ტრადიციებზე.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში დედოფალ ნინოს დიდი გავლენა ჰქონდა. ცდილობდა გამაჰმადიანებული აჭარის საქართველოსთან მიერთებას. **ამ მიზნისთვის რუსულ ფლოტს ითხოვდა და მართლმადიდებელ რუსეთს აჭარის მოსახლეობის ქრისტიანობის წიაღში მოქცევისკენ მოუწოდებდა.**

ნინომ თავის ვაჟს ლევანს გაფართოებული, მძლავრი სამთავრო დაუტოვა, მაგრამ იმედი ცოტა რჩებოდა: რუსეთი მფარველობის ნიღბით ერეოდა სამთავროების შინაურ საქმეებში. იმერეთი რუსეთის ფაქტიურ პროვინციად აქციეს და გეზი აფხაზეთისკენ აიღეს.

ნინო ბატონიშვილი აფხაზეთის მთავარს ქვეტექსტებით წერდა: *„ჩემამდე მოღწეული ცნობებიდან ჩანს, რომ აფხაზეთის სამფლობელოში, რომლის მართვა თქვენ უმაღლესი ნებით დაგევალათ, აქამდე არაა შემოღებული შესაფერისი წყობილება, არ არის დამყარებული წესრიგი, რომელიც განამტკიცებდა მაგ მხარეში ძალაუფლებას“...* დედოფალი აფხაზეთის მთავრის ოდენ ფიქტიურ უფლებებზე მიანიშნებდა. წერდა, რომ სამეგრელო-აფხაზეთის ძლივს მიღწეული კავშირი გაუქმებულ იქნა.

კავკასიის მმართველები დაპირებებს და ფიცს იოლად ივიწყებდნენ.... და დედოფალმა ნინომ ახალი, ჯერ გაუკვალავი გზა აირჩია: გაემგზავრა პეტერბურგს, რადგან იქიდან, იქაური კავშირებით მაინც დახმარებოდა თავის ვაჟს ლევანს, რომელსაც სამთავროს მართვაში წინააღმდეგობები ხვდებოდა.

დედოფალი ნინო პეტერბურგის მოხელეებს პირადად ესაუბრებოდა და წერილობით დოკუმენტებსაც ჰქმნიდა. პეტერბურგის სიძველეთა არქივში დღესაც ინახება კანცელარიაში გაგზავნილი წერილები, რომელსაც ნინო ბატონიშვილი აწერს ხელს.



* * *

**დრო გადიოდა და რუსეთთან ლოიალურ პოლიტიკას შედეგები არ მოჰქონდა. როდესაც დედოფალი დროის და მანძილის დისტანციიდან აკვირდებოდა უკვე ჩავლილ ამბებს, უამრავ პასუხგაუცემელ კითხვას აწყდებოდა. მათ შორის, ფიქრობდა იმ ცალმხრივ ერთგულებაზეც, რომელიც მეფე ერეკლემ და მისმა შთამომავლებმა, ბრძოლაში თუ მშვიდობიანობის დროს, გაუწიეს რუსეთის იმპერიას...** ნინოს ყურამდე აღწევდა ხმები, რომ იმ პერიოდში იმპერიაში შეთქმულება მზადდებოდა და სამეგრელოს და გურიის მთავრები ახალციხის ფაშას დაუკავშირდნენ. დაიძაბა ურთიერთობა და დრო...

ნინოს უმცროსმა შვილმა **გიორგიმ** პეტერბურგის ვაჟთა კორპუსი დაამთავრა და 20 წლისამ გვარდიის ოფიცრობა მიიღო, მაგრამ მის სულს აფორიაქებდა გენეტიკური სიყვარული თავისი დაჩაგრული სამშობლოსადმი... გიორგიმ პრეობრაჟენსკის პოლკიდან შვებულება აიღო და ვითომდა „დასასვენებლად“ წამოსული, სამეგრელოში „ანტირუსულ“ ფრთას შეუერთდა. დედოფალი ნინო კი ავადმყოფობის მომიზეზებით გეორგიევსკში გაემგზავრა... იმერეთის აჯანყების ჟამი ახლოვდებოდა. რუსეთის დაზვერვას დედოფალ ნინოს და მისი უმცროსი ვაჟის საეჭვო სვლები არ

გამორჩენია. 1830 წელს, 4 მარტს ყველასგან მოულოდნელად დააპატიმრეს აჯანყების ერთ-ერთ მეთაურად შერაცხული ნინო ბატონიშვილი, მიტროპოლიტები წულუკიძე და მიქელაძე...

ამ დაპატიმრებებს საერთო სახალხო აჯანყება მოჰყვა, **ივანე აბაშიძის** მეთაურობით. იმერეთის ამბოხებულთა ლაშქარი იერიშით შევიდა ჩალაუბანში განლაგებულ ყაზახთა ნაწილებში. გურულებმა ჭალადიდი დაიპყრეს. რუსეთის რაზმებმა უკან დაიხიეს მდინარე რიონის შესართავამდე... მაგრამ იქ გაუთვალისწინებელი რამ მოხდა – ღალატი. **სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი რუსებს შეეკრა და საკუთარ ძმას დაუპირისპირდა...** მაშინ, როცა სამეგრელოს ჯარი იმერეთს ებრძოდა, რუსეთმა პოზიცია გაიმყარა მთელ საქართველოში.

დედასა და შვილებს შორის კავშირის დამყარება შეუძლებელი იყო. ლევან დადიანს დედასთან თავის მართლება სურდა, საკუთარი არგუმენტები გააჩნდა, რის გამოც რუსეთთან დაზავება და აჯანყების ჩახშობა არჩია. თვლიდა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, საბოლოოდ რუსეთი საქართველოს მთლიანად გადათელავდა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩებოდა: ლევან დადიანი მტრის მხარეს იდგა.

ტყვეობაში მყოფი დედოფალი ნინო ღელავდა, გზებს ეძებდა. ცდილობდა ჩრდილო კავკასიის ანტირუსული განწყობილებები საქართველოს აჯანყებისთვის გამოეყენებინა. მან გადაწყვიტა, რომ **კავკასიური ერთობის იდეა გამარჯვების საწყისი ეტაპი იქნებოდა.**

დედოფალ ნინოს საგანგებო მზვერავები და ბოქაული ჰყავდა მიჩენილი, მაგრამ როგორც ის ჩინოვნიკები წერდნენ, „საეჭვო პირებთან" ურთიერთობას მაინც ახერხებდა. რუსეთის მოხელეთა წარმოებულმა საგამოძიებო საქმეებმა იმპერატორის კარს შემდგომი დასკვნა ამცნო: გიორგი დადიანი დედის საგანგებო დავალებით გაემგზავრა საქართველოში (მთავარმართებელი ერმოლოვი წერდა, რომ განსაკუთრებულად აღაშფოთა ამ ვაჟის საქციელმა, რომელიც გადაუდგა კეთილისმყოფელ რუსეთს, სადაც უსასყიდლოდ სწავლობდა და იღებდა სამხედრო განათლებას). მზვერავთა აზრით, გიორგის სვლებს დედამისი, დედოფალი ნინო წარმართავდა. ერმოლოვი ასკვნის: **„ყოველივე ამის შემდეგ, რაც ამ ქალმა ჩაიდინა, შეუძლებლად მიმაჩნდა, რომ მას პეტერბურგში, ხელმწიფის მახლობლად ცხოვრების უფლება მივცეთ. უნდა აღვუკვეთოთ მას ცხოვრების უფლება როგორც პეტერბურგში, ისე მოსკოვში. მოთავსებულ იქნას სადმე სხვა ქალაქში, რათა ნაკლები საშუალება მიეცეს თავისი მავნე კავშირები დაამყაროს...."**

დედოფალი ქ. რიაზანში გადაასახლეს, ხოლო გიორგი დადიანი ციმბირის გზას გაუყენეს, სადაც სიკვდილამდე რიგით ჯარისკაცად მსახურობდა.

* * *

1832 წლის შეთქმულების დროს დედოფალი ნინო ქალაქ ვორონეჟის მონასტერში იმყოფებოდა. თან ახლდა მოძღვარი როსტომ იოსელიანი. დედოფალი ნინო, უკვე მოხუცი, დაუძლურებული, ძალიან აუღელვებია შეთქმულების მზადებას და მისი დამარცხების შემდეგ სასოწარკვეთაში ჩავარდნილა.

ნინო ბატონიშვილის ცხოვრების დასასრულის შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი. აკადემიკოსი მარი ბროსე მისი გარდაცვალების თარიღს და ადგილს მიახლოებით გვაწვდის – **1847 წელი, მაისი, ვორონეჟი...**

რუსული მონასტრის ცივი კედლები, ბაგრატოვანთა გვარისათვის მუდამ სევდისმომგვრელი გარემო იყო...

# ხელოვნების დასაცავად

***ცნობილი პარადიგმა მწერლისა და მკითხველის ერთარსად ქცევის შესახებ შესაძლოა ის გასაღებია, რითაც ჩვენი თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და არათვითმიზნურად მაძიებელი ავტორი ჟაკლინ სირაძე თავისი ახალი წიგნით „ხელოვანის გზა" გვთავაზობს. საუბარი იმაზე, თუ ვისთვისაა ეს ტექსტი განკუთვნილი (ინტელექტალური თუ რიგითი მკითხველისთვის) არ უნდა იყოს რეზონული, რადგან თავად უკვე ცნება „მკითხველი" „ინტელექტუალურზე" მაღლა მდგომი დეფენიციაა და რაიმე შეღავათს თუ ეპითეტს აღარ საჭიროებს.***

***მისი უმაღლესობა მკითხველი დღეს იმდენად იშვიათ გამონაკლისად მოჩანს, რომ უნებურად რიდი გიპყრობს წიგნის ფურცლებზე დახრილი ესოდენ ძვირფასი სილუეტის წინაშე...***

ჟაკლინ სირაძე თავის ქმნილებაში „ხელოვანის გზა" ერთდროულად მწერლისა და მკითხველის როლში წარმოგვიდგება, ანუ ხელოვანის და მაყურებლის ამპლუაში. იგი თითქოს კითხვის ხელოვნების „მასტერკლასს" გვთავაზობს, მკითხველს ურთულესი და უმშვენიერესი ლაბირინთებისაკენ იხმობს, როცა მთავარი სათქმელი – დიალოგი მათ შორის, არა სიუჟეტურ ქარგაში (სიუჟეტები ხომ ყველა *არქიტექტონიკას, თუ პროექტის ესკიზს. ეს ის მომენტებია, რომლითაც ნებისმიერი ამბის შესყიდვა და მოპოვება ხდება შესაძლებელი. ეს ის მარცვლებია – სამყაროს არსს, მის გულისგულს რომ გამოხატავენ და გადაგვიხსნიან.*

*და როცა ჩემს სულში სამყაროს მარცვალზე, მის მოძრავ სულზე მოვინდომე თხრობა, ჩემდაუნებურად იმ წიგნის სიუჟეტი შემოვხაზე, რომელმაც (თუ არ გამიწყრება თანა*

**უბრამდე"** და ესეი **„ჰამლეტის ნიღაბს ამოფარებული ხელოვანი"** უძღვის ხუთმოქმედებიან დრამას **„ხელოვანის გზა"** და სრულდება მეტნაკლებად აუცილებელი კომენტარით.

**ვფიქრობთ, ეს მრავალმხრივ დაშიფრული, ნიჭიერებით და გემოვნებით შექმნილი ტექსტი, რომელიც პირადად ჩემთვის უკვე სამაგიდო წიგნად იქცა, არაერთგვაროვან მკითხველს იპოვის, რადგან ლიტერატურაზე საუბარი იმავდროულად მკითხველზე საუბარს ნიშნავს და ხელოვანის, როგორც სუბსტანციის, მარად შეუცვლელ ღირებულებაზე მიგვანიშნებს:**

*„ყოველი ეპოქა, ხელოვანის ღვთაებრივი სათქმელი თავის უმაღლეს სასამართლოს ქმნის. რომელშიც ერთდროულად მყოფობს მოსამართლე, ადვოკატი და განსასჯელი. ხელოვანი ამ უმაღლესი სასამართლოთი სულთა განწმენდას ემსახურება (სატირი ხელოვნურად განრისხებული სახით წამოდგება).*

*სავით უპყრია დედამიწა და ასე გრძნობს ის ერთდროულად მზის მხურვალებასა და დიდებულებას, მთების სიცივეს, დედამიწის „უსასრულო" სიმცირეს კოსმოსის იგავმიუწვდომელ უსასრულობასთან მიმართებაში. ადამიანის უბადრუკობას, ადამიანის ტრაგედიას, რომ ის დაიბადა და იმ ბედნიერებასაც, რასაც ადამიანად ყოფნა ჰქვია, მაგრამ ცხადია, ეს განცდა ოდნავადაც ვერ შეედრება იმ განცდას, რასაც ჩვეულებრივი ადამიანი განიცდის ყოველდღიურობიდან გაუსვლელად. ამ დროს შემოქმედი განიცდის იმ დიდ სიმძიმეს, რასაც სამყაროს ყოვლადობაში ჩავარდნა ჰქვია და რასაც მოჰყვება ის აღმაფრენაც, რაც ნიშნეულია ყველა შემოქმედისათვის და რაც შეუძლებელია ადამიანურ ენაზე ვთარგმნოთ.*

*შემოქმედი კი, რომელზედაც ჩვენ ვსაუბრობთ, თუმცა გადის სიკვდილის გზას და ცხადია, სიცოცხლის ყველა გამოვლენას მოიხილავს თავისი სულისმიერი თვალის წინაშე. მაგრამ*




***სატირი:***
***– დაე, ასე იყოს:***
***სასამართლო და ხელოვნება,***
***ეს ხომ აბსურდია!***
***ხელოვნება თავისუფლებას***
***აფუძნებს,***
***თავისუფლება –***
***კი სიამოვნებას,***
***ჩვენ ბუნების დიად კანონს***
***ვაგრძელებთ.***
***ეხლა იხილავთ სპექტაკლს,***
***და გაჩვენებთ თანამედროვე***
***ხელოვნების***
***მზერით კლასიკას.***
***სპექტაკლს ჰქვია:***
***„ილუზიის დასასრული",***
***„ჰუმანიზმის ნიღბის***
***უკუმხარე – ტირანიის***
***გასამართლება".***
***განსასჯელ სკამზე ზის***
***კლასიკა!***
***ნაცრისთა სკოლა!***
***მაშ ასე, – იწყება სპექტაკლი...***

### პიესის ავტორისეული კომენტარებიდან

*ჩემს პიესაში „ხელოვანის გზა" სიკვდილი და სიცოცხლე, თანატოსი და ჰელიოსი გამოყვანილია როგორც დაუცილებელი მეგობრები, ურთიერთმოყვარულნი და ერთმანეთის სულისჩამდგმელნი. და ყველა დიდი შემოქმედი ძრწის სიკვდილის დიადი სახების წინაშე; ამ რთული გზის გადალახვით ის ღვთაებრივის საუფლოში ჩააღწევს, სადაც ის ხელთამპყრობელი ხდება ყველა არსებულ საგანთა. თითქოსდა მას ჰერაკლე-*

*შემდგომ ის ხელოვნებაში დაუწერელი და გარდაუვალი კანონზომიერების გამო მოპოვებულ სულიერ, მჭვირვალე სამოსელში გახვევს ამბავს – სიუჟეტს, რომელშიც გამოსჭვივის თავისი ეპოქის ხმა, – მისი ენით, მისი აზროვნებით, მისი სათქმელით – ამიტომაც, ის იმ მდგომარეობას უფრო და უფრო შორდება, რაზედაც პლატონი საუბრობს „ფედონში" და რასაც ის წმინდა სახით სიბრძნის მოპოვებას უწოდებს.*

### წიგნზე მინაწერი:

***მთელი წიგნი იმ იმედით დაიწერა, რომ ასე ნათლად აქვს გამოთქმული ჩვენ უმწინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს პატრიარქს ილია II-ს".***

***„ეს საუკუნე ღვთისგან ხალხს სინანულისთვის მიეცა. ფუტუროლოგნი ამტკიცებენ, რომ თუ კაცობრიობამ კიდევ იარსება XXI საუკუნეში, იგი მეტად რელიგიური ასწლეული იქნება, რადგან ხალხი დაიღალა, უღვთოდ, დაცარიელდა ტაძარი სიყვარულისა".***

***დღეს კი ჩვენ ვართ მოწმე არამარტო თანამედროვე ისტორიის ტრაგიზმისა, არამედ მოახლოებულ აპოკალიფსური დროისა. სულ უფრო მკვეთრად ჩაგვესმის სიტყვები:***

***– „მე ვარ ანი და ჰოე, იტყვის უფალი ღმერთი, რომელი არს და რომელი იყო და რომელი მომავალ არს, ყოვლისა მპყრობელი" (გამოიც. 1; 8). 1992-1993 წ.***

დროის ხელოვნებაში თითქმის ერთი და იგივეა), არამედ სიუჟეტთა ზედროულ და თანამედროვე ინტეპრეტაციაშია მოცემული.

*„ხელოვანი თავისი შთაგონების გზაზე გარდაუვალი კანონზომიერების წყალობით მარად აწყდება იმ ზღვარს, თავისი გენიალურობისა და ერთდაერთობის ნიმუში რომ ეგონა, მაგრამ თავისდა გასაოცნებლად აღმოაჩენს, რომ უნიკალურობის იქით, მხოლოდ და მხოლოდ ცნობილი ბერძნული მითია ან უკვე აღიარებულ შედევრთა სიუჟეტები. მაგრამ ამაში გასაოცარი არც არაფერია. ეს ხომ კანონზომიერი მოვლენაა. ბერძნული მითი თუ უკვე ცნობილ ავტორთა შედევრების სიუჟეტები თავიანთ თავში უკვე ატარებენ სამყაროს სულისმიერ რუკას, მის მედროვე მკაცრი და ირონიული მკითხველი) ფიგურალურად ვიტყვი, სასიკვდილო ჭრილობა მომაყენა. ეს წიგნი შექსპირის „ჰამლეტია"...*

*ამ წიგნის დაუსრულებელი კითხვა უფრო და უფრო მაფიქრებინებდა, რომ ეს ის მონეტაა, რომლითაც ყველა ამბავი აიხსნებოდა. ოდნავ შუქ-ჩრდილებით დაბურული საგნები კი ყოფიერების საიდუმლოებაზე მიმანიშნებდა. ეს მოციმციმე მონეტა კი იმ სიბრძნედ მესახებოდა, რომელზედაც პლატონი, ოდესღაც წერდა და გვირჩევდა, რომ მოგვეპოვებინა".*

**„ხელოვანის გზის"** შინაარსობრივი არქიტექტონიკა ისევე მიმზიდველია, როგორც მწერლისეული დიზაინი (ლეონარდო და ვანჩის გრაფიკის გამოყენებით). ტექსტი **„საუბარი სა-**

## შერმადინ ქალდანი

* * *

**ნ-ს**

ცირკის ლომივით დავყევ სხვის ნებას,
ხელს ამიქნევენ, წადი, მოდი, შენ!
ცხოვრება რთული როგორ მექნება,
როცა ადვილად წავიბოდიშებ...
ვინც აქ არ არი ან მიმატოვა
ქალმა, ლექსი რომ ცვალა ბორკილში, –
განუზომელად ვინაც მიყვარხარ,
სიყვარულისთვის დიდი ბოდიში...
არავინ იცის, ტირის, იცინის,
ვინც ზის „ჰამერში" ანდა „ბოინგში",
ალბათ, გულგრილად მთვლიან ისინიც,
გულგრილობისთვის დიდი ბოდიში...
ვინაც დარდობდა, ნუ დარდობს ახლა,
ძილს ნუ გაიკრთობს ჩემს მოლოდინში.

## პოეტის ერთი ლექსი

დიდი ბოდიში, სიონის გლახავ,
ბეჩავ იერემო, დიდი ბოდიში...
წლებმა ცხოვრება როგორ გაჯოხა,
ვინ ზეცად კვდება, ვინ კი ლოგინში.
ჩემგან კი, ალბათ, იმის თქმა სჯობდა,
თუ ვსვამ, – ბოდიში. ვსუნთქავ? ბოდიში.
გული საგულით ამოსვლას ლამობს,
თუ ეშველება, – სრულ გამოთიშვით.
რა მოგივიდა, ბებერო ლომო,
როგორ ხშირ-ხშირად ამბობ – ბოდიში...
იქ ირონია არაფერს ახლავს,
და მაინც უნდა მეთქვა ბოლოში.
თუ კვლავ გაწუხებთ ჩემი დანახვა,
არსებობისთვის დიდი ბოდიში...

12 ნოემბერი, 2008 წ.

ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# აჭარული ყარაბაღი

## სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი შეიძლება საქართველოს ხარჯზე გადაწყდეს?

*როგორც ჩანს, სომხეთმა და აზერბაიჯანმა მაინც შეძლეს მიეღწიათ შეთანხმებას ყარაბაღის პრობლემასთან დაკავშირებით. 20 წლის განმავლობაში იმაზე საუბარიც კი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, რომ ამ რესპუბლიკების პრეზიდენტები დამსხდარიყვნენ მოლაპარაკების მაგიდასთან, და, აი, ეს მოხდა! მეთვალყურეები მკითხაობენ: გადამწყვეტი როლი ან რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის შუამავლობამ შეასრულა, ან ძველი ოპონენტები უბრალოდ დაიღალნენ მრავალწლიანი დაპირისპირებით. მოლაპარაკების დეტალებს ფართო პუბლიკას მაინც არ აცნობებენ, მაგრამ, ჩვენი ინფორმაციით, მოსკოვის შუამავლობამ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა იქონია. ჯერჯერობით გამოცანად რჩება, სომხეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობის მოწესრიგების რომელ ვარიანტს აირჩევენ, თუმცა კულუარებში ზოგჯერ ამოტივტივდება ხოლმე მეტად ეგზოტიკური ვარიანტები. ერთ-ერთი მათგანის ანალიზს აკეთებს „ნაშა ვერსიის" კორესპონდენტი.*

როგორც ჩვენთვის სომხეთის პრეზიდენტის გარემოცვის სანდო ინფორმაციო წყაროებიდან გახდა ცნობილი, რუს ექსპერტთა ჯგუფმა დაახლოებით ერთი თვის წინათ შეიმუშავა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გადაწყვეტის კონცეფცია ეგრეთ წოდებული ასიმეტრიული ხერხით. თუ ჩვენს წყაროებს დავუჯერებთ, დღეისთვის გვთავაზობენ შემდეგ ვარიანტს: მთიანი ყარაბაღი ავტონომიური ხდება აზერბაიჯანის შემადგენლობაში და იღებს სომხეთთან ეგრეთ წოდებული ლაჩინის დერეფნის შემდგომი არსებობის გარანტიას.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სომხეთი აღიარებს ყარაბაღის ავტონომიას აზერბაიჯანის შემადგენლობაში, რის შესახებაც ამ ცოტა ხნის წინათ წარმოდგენაც კი არ შეიძლებოდა. მაგრამ ამისთვის სომხეთი იღებს გასასვლელს შავ ზღვაზე, თავისი ტერიტორიული საზღვრების გაფართოებით აჭარის ხარჯზე, რომელიც ფორმალურად შედის საქართველოს შემადგენლობაში. ჰკითხავენ თუ არა შეთანხმებას ამასთან დაკავშირებით მთიანი ყარაბაღის მცხოვრებლებს და მით უმეტეს საქართველოს — ღია საკითხია, და, ალბათ, ყველაზე დამაინტრიგებელი.

### თავდაპირველად საქართველოს შემადგენლობაში სამი „ამბოხებული რესპუბლიკა" იყო

**20 წლის განმავლობაში სომხები და აზერბაიჯანელები ერთმანეთში არკვევდნენ, ვისი იყო, ბოლოს და ბოლოს, მთიანი ყარაბაღი.** საბჭოთა პერიოდში ეს ტერიტორია ფორმალურად აზერბაიჯანს ეკუთვნოდა. მაგრამ ძირითადად იქ სომხები ცხოვრობდნენ. მეზობლებს შორის შეტაკებები სსრ კავშირის დროსაც ხდებოდა, მაგრამ სისტემური შეიარაღებული დაპირისპირება მაშინ დაიწყო, როდესაც კავშირი შეირყა.

თითქოსდა, კონფლიქტს არ ჰქონდა გადაწყვეტა: ყარაბაღისთვის ომში სომხები უკეთესად იბრძოდნენ და აზერბაიჯანელებს არავითარი შანსი არ რჩებოდათ, რომ სადავო ტერიტორია საკუთარი ძალებით დაეცვათ. ამიტომ მალე აზერბაიჯანელები ყარაბაღიდან წავიდნენ, უფრო მეტიც, მათ მიმდებარე ტერიტორიების დატოვებაც დაიწყეს. ასე რომ, დაპირისპირების წლებში სადავო მიწაზე დაფუძნებულმა სომხებმა თავიანთ უღიარებელ რესპუბლიკას მიუერთეს კიდევ რამდენიმე მეზობელი სოფელი. ბევრი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე იმტვრევდა თავს კრიზისიდან გამოსავლის ძიებაში.

განსვენებული აკადემიკოსი სახაროვი, მაგალითად, აყენებდა წინადადებას, ელიარებინათ მთიანი ყარაბაღი სომხეთისთვის იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ აზერბაიჯანელებს საცხოვრებლად გაცილებით მეტი მიწები აქვთ. ბაქოსთვის ყარაბაღი მხოლოდ ამბიციაა, ერევნისთვის კი — არსებითი აუცილებლობა. მაგრამ თუ ასე ვიმსჯელებთ, შეიძლება ვაღიაროთ ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივნის მადლენ ოლბრაიტის პრეტენზიის დასაბუთება რუსეთის ციმბირისა და შორეულ აღმოსავლეთზე, ეს კი, დაგვეთანხმებით, სისულელეა. ერთი სიტყვით, დამარწმუნებელი დასკვნები, რომლებსაც შეეძლოთ გადაეწყვიტათ ყარაბაღის პრობლემა, მრავალრიცხოვან მშვიდობისმყოფელებს არ გააჩნდათ. კონფლიქტი, შეიძლება, ასევე გააგრძელებდა ბჟუტვას სამხრეთ ოსეთში, ხუთდღიანი ომი რომ არ ყოფილიყო.

უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის თავშეუკავებლობამ შესაძლებლობა გააჩინა, ერთ საათში გადაწყვეტილიყო არა მხოლოდ სამხრეთ ოსეთის, არამედ აფხაზეთის პრობლემაც. შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო კიდეც ერთიც — აჭარისა, რის შესახებაც, მგონი, ყველამ უკვე დაივიწყა. ღირს გავიხსენოთ: თავდაპირველად „ამბოხებული რესპუბლიკა" საქართველოში იყო არა ორი, არამედ სამი.

თანაც, ზოგჯერ ისე გეჩვენებოდა, რომ ასლან აბაშიძის რეჟიმი აჭარაში უფრო ძლიერი იქნებოდა, ვიდრე ანალოგიური აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ბათუმი იყო გაცილებით უფრო მდიდარი, ვიდრე ღარიბი, მაგრამ სუფთა სოხუმი, და მით უმეტეს ნახევრადმშიერი ცხინვალი, ხოლო ადგილობრივი საქმოსნები დაქროდნენ არა ნახმარი „მერსედესებით", არამედ ზექვირი, უახლესი „მაიბახებითა" და „ჰამერებით". აბაშიძის ამალის ზეშემოსავლებზე ლეგენდები დადიოდა. ბათუმის სავაჭრო ნავსადგური, რომელსაც აზერბაიჯანული ნავთობის გადასატვირთავ ბაზად იყენებდნენ, კარგი დამატებითი საშუალება იყო ავტონომიის ბიუჯეტისთვის. მაგრამ გამაძღარ ზღურბლთან [illegible] კარგი მენეჯერები და სააკაშვილმა, ეტყობა, ეს იცოდა. შემთხვევითი როდი იყო, რომ „კონტრტერორისტული წესრიგის დამყარება" ამბოხებულ ავტონომიებში მან სწორედ ბათუმიდან დაიწყო.

ახლა კი, მოდით, შევხედოთ საქართველოს რუკას: თუ ჩამოვაჭრით აფხაზეთს აჭარასთან ერთად, მეტროპოლიას რჩება მხოლოდ შავი ზღვის ვიწრო ზოლი და ნავსადგური ფოთში. დიდი არაფერი შეღავათია. სააკაშვილი, უეჭველია, დიდი ხნის განმავლობაში და ყურადღებით სწავლობდა რუკას, სანამ დაიწყებდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. ხოლო შეეძლო დაეწყო სამხრეთ ოსეთიდანაც, მით უმეტეს, სამხრეთ ოსეთის პრობლემის გადაწყვეტა იმ დროს გაცილებით იოლი იყო, ვიდრე აჭარის: ხელისუფლებაში ედუარდ კოკოითის მისვლამდე ადგილობრივი ელიტა სერიოზულად ფიქრობდა თბილისთან შეერთებას და სერიოზული დაპირისპირებისთვის მზად არ იყო. მაგრამ რა ხეირია ღარიბ სამხრეთ ოსეთიდან, როდესაც შეიძლება ადვილად დაეუფლო შავი ზღვის დიდ სავაჭრო ნავსადგურს, თანაც ზღვაზე გასასვლელს!

დღეისთვის თბილისი, როგორც ჩანს, მაგრად ჩაავლო აჭარის სანაპიროს. დედაქალაქის ელიტა შეიჭრა ბათუმში, ადგილობრივი საქმოსნები გზისპირებს მიაჭეჭყა. მაგრამ უკვე მწიფდება უკმაყოფილება, თანაც ამას აქვს არა მხოლოდ ეკონომიკური სარჩული — უკმაყოფილებით აქ კარგად მანიპულირებენ. საქმე ისაა, რომ აჭარაში კომპლექსურად ცხოვრობენ მაჰმადიანი სუნიტები, გასული საუკუნის 80-იან წლებში მათი რიცხვი ადგილობრივი მოსახლეობის ორ-მესამედზე მეტს შეადგენდა.

უფრო მოგვიანებით მოწყობილი აღწერები, რომლებსაც თბილისში ადგენდნენ, როგორც წესი, ამცირებდნენ ავტონომიაში მაჰმადიანი მოსახლეობის რაოდენობას, თუმცა სინამდვილეში ამ მხარის მოსახლეობის მასობრივი გადინება არ შეინიშნებოდა, ისევე, როგორც სარწმუნოების მკვეთრი ცვლილება. აბაშიძის დროს კონფლიქტები ეროვნულ ნიადაგზე არ ხდებოდა, სამაგიეროდ, უკანასკნელი სამიოთხი წლის განმავლობაში ისინი საკმაოდ ხშირადაა. თბილისში არ აღიარებენ ასეთ ერს — აჭარლები. ოფიციალურად ითვლება, რომ იგი მოიგონეს 1926 წელს საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებმა. ამ დროს აჭარაში [illegible] სწორედ აჭარლები არიან — რესპუბლიკაში ისინი მოსახლეობის 93 პროცენტს შეადგენდნენ. და რაც დამახასიათებელია: ტრადიციულად ყველაზე ფართო ურთიერთობანი აჭარლებს ჰქონდათ არა ერთმორწმუნეებთან — თურქებთან და აზერბაიჯანელებთან — ქართველებთანაც კი, არამედ სომხებთან. შერეული აჭარულ-სომხური ქორწინებანი ათეული წლების განმავლობაში აქ ჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა.

### ზღვაზე გასასვლელი სომხეთისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია

**მაგრამ დავუბრუნდეთ სომეხ-აზერბაიჯანელთა მოლაპარაკებას.** ცხადია, ბაქო არასოდეს იტყვის უარს თავის უფლებაზე სტეფანაკერტზე [illegible], მაგრამ ისიც ცხადია, რომ ერევანი უკან არ დაიხევს მთიანი ყარაბაღისგან, თუ სომხეთს არ შესთავაზებენ რაიმე ისეთს, რაც მას არასოდეს ჰქონია, მაგრამ რის შესახებაც ერევანში ოცნებობდნენ იმაზე მეტად, ვიდრე ძველი, არც დიდად ნაყოფიერი და მოწესრიგებული ყარაბაღის მიწებია. ესაა სრულიად სომხების ოცნების ობიექტი — ზღვაზე გასასვლელი.

კიდევ ერთხელ შევხედოთ რუკას: სომხეთი გაჭედილია თურქეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის, სულ ახლოდან გაისმის შავი ზღვის ტალღების ხმაური... განსვენებული მწერალი, ცნობილი „მისი უდიდებულესობის ადიუტანტის" ავტორი გიორგი სევერსკი ყვებოდა, რომ 1950-იან წლებში არსებობდა ეგრეთ წოდებული მიქოიანის გეგმა, რომლის თანახმადაც სომხეთს გადაეცემოდა საქართველოს ტერიტორიის ვიწრო ზოლი ბათუმისა და ქობულეთის ნავსადგურებით. სევერსკის სიტყვებით, მიქოიანი ამ იდეის გაყვანას ცდილობდა 1949 წლიდან, მაგრამ იმ დროს, როცა ყველაფერს წყვეტდნენ სტალინი და ბერია, იმის იმედის ქონა, რომ საქართველოს ჩამოაჭრიდნენ მიწის თუნდაც უმცირეს ნაწილს, შეუძლებელი იყო.

ორჯერ, 1954 და 1958 წლებში, მიქოიანმა ეს საკითხი დააყენა ხრუშჩოვის წინაშე და უკანასკნელ მომენტში გენერალურმა მდივანმა, რომელიც თავს მოვალედ თვლიდა მიქოიანის წინაშე, რომელიც მას დაეხმარა მოლოტოვ-კაგანოვიჩის დაჯგუფების განადგურებაში, თითქოსდა დაეთანხმა ანასტას მიქოიანის დასკვნას: შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა მოემზადებინა საკითხის ფორმალური მხარე. 1965 წელს სომხეთს უნდა მიეღო ბათუმსა და ქობულეთზე გასასვლელი მიწის ვიწრო ზოლი. იყო სხვა ვარიანტიც, აჭარა გადასცემოდა სომხეთს მთლიანად. შემონახულია ექსპერტთა ჯგუფის მასალები, რომელთა თანახმადაც აჭარის მოსახლეობა მთლიანობაში არ იყო სომხეთთან მიერთების წინააღმდეგი, მაგრამ, ვაი რომ, ხრუშჩოვის პოლიტიკური სცენიდან ერთი წლით ადრე წასვლამ ბოლო მოუღო ანასტას მიქოიანის შორს მიმავალ გეგმებს.

ახლა, თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, როცა არ მოხერხდა აჭარის მიწების სომხეთთან მიერთება, როგორც ეტყობა, გადაწყვიტეს კვლავ დაუბრუნდნენ მიქოიანის იდეას. იმის პირდაპირ დამადასტურებელი საბუთი, რომ ომის შემდგომ საქართველოს ხურდა ფული ხდება რეგიონული პრობლემების მოგვარებაში, არ გაგვაჩნია, მაგრამ თუ სომხეთისა და აზერბაიჯანის მაღალი მოლაპარაკე მხარეების დაახლოებული წრეებიდან გამოდინებულ ინფორმაციას დავუჯერებთ, სწორედ მთიანი ყარაბაღის პრეტენზიის სანაცვლოდ ზღვაზე გასვლის პერსპექტივამ დასვა სომხეთის პრეზიდენტი აზერბაიჯანელთან ერთ მაგიდასთან.




### აჭარის ყოფილ ლიდერს აბაშიძეს არწმუნებენ, ბათუმში დაბრუნდეს

**კიდევ რამდენიმე შტრიხი, რომელიც ჩვენს ვერსიას ადასტურებს.** სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის დამთავრების შემდეგ, როდესაც საბრძოლო მოქმედებათა პერიოდში ხაზგასმული ნეიტრალიტეტი დაიცვა, თურქეთი გამოვიდა ინიციატივით — შეიქმნას „კავკასიაში სტაბილურობისა და უშიშროების" ხუთმხრივი პლატფორმა რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს და თავად თურქეთის მონაწილეობით. ინიციატივის შესახებ მოსკოვში განაცხადა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა და მმართველი პარტიის ლიდერმა რეჯეფ თაიიპ ერდოგანმა.

იდეა ყველამ მოიწონა საქართველოს გარდა: თბილისში იმ დროისთვის უკვე ჰქონდათ გაგონილი იმის შესახებ, რომ სწორედ მოსკოვი და ანკარა აპირებდნენ მიეტყუებინათ საერთო მაგიდასთან ბაქო და ერევანი. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ეკა ტყეშელაშვილმა არაორაზროვნად განაცხადა: „საქართველო არასოდეს გახდება ხურდა ფული მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გადაჭრაში და ნებას არავის მისცემს გადაწყვიტონ სხვისი პრობლემები საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის ხარჯზე". მაგრამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დღეს დიდად აქტუალური საკითხი არაა, მით უმეტეს, რომ საბოლოო სიტყვას უსათუოდ ბათუმს დაუტოვებენ. ამბობენ, რომ ასლან აბაშიძეს ამჟამად დაბეჯითებით არწმუნებენ, დაბრუნდეს მოსკოვიდან ბათუმში და აღადგინოს თავისი ხელისუფლება აფხაზეთის საბრძოლო ქვედანაყოფების დახმარებით.

„დღეისათვის ყარაბაღის პრობლემის რეალური გადაწყვეტა, რაც ხელსაყრელი იქნებოდა კონფლიქტის ყველა მხარისთვის — აზერბაიჯანისთვის, სომხეთისა და მთიანი ყარაბაღისთვის — არ არსებობს, — მიაჩნია პოლიტოლოგ გლებ პავლოვსკის. — გადაწყვეტილება აჭარის ხარჯზე, უეჭველია, პროვოკაციულია და მე ამისი დიდად არ მჯერა, მაგრამ სწორედ ასეთ გადაწყვეტილებას შეუძლია დაასრულოს ისეთი რთული კონფლიქტი, როგორიცაა კონფლიქტი მთიანი ყარაბაღის გამო".

რუსლან გორევოი

„Версия"

ფეხბურთი

# მეოთხე ცდიდან



**როგორც გულშემატკივარმა იცის, დავით ყიფიანის სახელობის „ყაზბეგის“ თასის უკანასკნელი სამი გათამაშებიდან თბილისის „დინამო“ „ზესტაფონმა“ გამოთიშა.** მეოთხე ცდიდან ნავსი, როგორც იქნა, გატყდა – მასპინძელთა ნახევარმცველ ხმალაძის მიერ დამატებითი დროის უკანასკნელ წუთზე გატანილმა გოლმა ნახევარფინალში „თეთრ-ლურჯები“ გაიყვანა – 1:0 (პირველი მატჩი – 0:0).

**მეოთხედფინალური რაუნდის დანარჩენი საპასუხო შეხვედრები ასე დასრულდა:** „სიონი“ – **„ლოკომოტივი“** 1:3 (3:2), „ამერი“ – **„ოლიმპი“** 3:2 (0:3), „მერანი“ (მარტვილი) – **„ვიტ ჯორჯია“** 2:2 (0:2).

* * *



**ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური რაუნდის V ტური.**

**„ა“ ჯგუფი.** ბორდო – ჩელსი 1:1, კლუჟი – რომა 1:3.

რომა – 9, ჩელსი – 8, ბორდო – 7, კლუჟი – 4 ქულა.

**„ბ“ ჯგუფი.** ანორთოსისი – ვერდერი 2:2, ინტერი – პანათინაიკოსი – 0:1.

ინტერი – 8, პანათინაიკოსი – 7, ანორთოსისი – 6, ვერდერი – 4 ქულა.

**„გ“ ჯგუფი.** სპორტინგი – ბარსელონა 2:5, შახტარი – ბაზელი 5:0.

ბარსელონა – 13, სპორტინგი – 9, შახტარი – 6, ბაზელი – 1 ქულა.

**„დ“ ჯგუფი.** ატლეტიკო – პსვ 2:1, ლივერპული – მარსელი 1:0.

ატლეტიკო, ლივერპული – 11-11, მარსელი, პსვ – 3-3 ქულა.

* * *

**უეფას თასი. ჯგუფური რაუნდის III ტური.**

**„ა“ ჯგუფი.** შალკე – სიტი 0:2, პსჟ – რასინგი 2:2.

სიტი – 6, შალკე – 4, ტვენტე – 3, რასინგი – 2, პსჟ – 1 ქულა.

**„ბ“ ჯგუფი.** ოლიმპიაკოსი – ბენფიკა 5:1, გალათასარაი – მეტალისტი 0:1.

გალათასარაი – 6, მეტალისტი – 4, ოლიმპიაკოსი – 3, ჰერტა – 2, ბენფიკა – 1 ქულა.

**„გ“ ჯგუფი.** სამპდორია – შტუტგარტი 1:1, პარტიზანი – სტანდარდი 0:1.

სტანდარდი – 6, სამპდორია, შტუტგარტი – 4-4, სევილია – 3, პარტიზანი – 0 ქულა.

**„დ“ ჯგუფი.** ნაიმეგენი – ტოტენჰემი 0:1, დინამო (ზაგრები) – სპარტაკი 0:1.

უდინეზე, ტოტენჰემი – 6-6, სპარტაკი, დინამო (ზაგრები) – 3-3, ნაიმეგენი – 0 ქულა.

**„ე“ ჯგუფი.** პორტსმუთი – მილანი 2:2, ბრაგა – ვოლფსბურგი 2:3.

მილანი – 7, ვოლფსბურგი – 6, ბრაგა – 3, პორტსმუთი – 1, ჰერენვენი – 0 ქულა.

**„ვ“ ჯგუფი.** ჰამბურგი – აიაქსი 0:1, ჟილინა – სლავია – 0:0.

ასტონ ვილა, აიაქსი – 6-6, ჰამბურგი – 3, სლავია, ჟილინა – 1-1 ქულა.

**„ზ“ ჯგუფი.** რუსენბორგი – ვალენსია 0:4, ბრიუგე – სენტ-ეტიენი – 1:1.

სენტ-ეტიენი – 7, ვალენსია – 4, ბრიუგე – 2, კოპენჰაგენი, რუსენბორგი – 1-1 ქულა.

**„თ“ ჯგუფი.** დეპორტივო – ფეიენოორდი 3:0, ცსკა – ლეხი 2:1.

ცსკა – 9, ნანსი – 4, დეპორტივო – 3, ლეხი – 1, ფეიენოორდი – 0 ქულა.

ჭიდაობა

# უშანგი ყურაშვილი უთავკაცებს



**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის საბჭოს დარბაზში ქართული ჭიდაობის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა გაიმართა. ობიექტური მიზეზების გამო ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი ჯიქია გადადგა და მის ნაცვლად სპორტული მაღაზიების ქსელის – „ჩემპიონისა“ და „ტრენაჟორების სახლის“ გენერალური დირექტორი უშანგი ყურაშვილი აირჩიეს.**

ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი გიორგი ბიწკინაშვილი, რომელმაც ყურადღება გაამახვილა სპორტის ამ სახეობაში არსებულ პრობლემებზე, კერძოდ, მწირ დაფინანსებასა და სპორტული ბაზების სავალალო მდგომარეობაზე.

ქართული ჭიდაობის განვითარების გზებზე ილაპარაკეს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა, მისმა მოადგილემ გია გალდავამ, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონმა გურამ სალარაძემ, ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაშვილმა, სამბოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ იაძემ, ქართული ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა იური იმერლიშვილმა. ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა უშანგი ყურაშვილმა საზოგადოებას აღუთქვა, რომ ყველაფერს გააკეთებს ქართული ჭიდაობის ასაღორძინებლად და საერთაშორისო სარბიელზე მის გასატანად.

ქართული ჭიდაობა

# ქურმუხობაზე – კახში

**ქართული ხალხური თამაშების და სპორტის ეროვნული სახეობების ფედერაციის (პრეზიდენტი დიმიტრი დუნდუა) ინიციატივით წლეულს მეთვრამეტედ გაიმართა კახში გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულზე – ქურმუხობაზე ორთაბრძოლები ქართულ ჭიდაობაში. ამ ღონისძიებას ათი წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი.** ნახერხმოყრილ სარბიელზე 6 მაისსა და 23 ნოემბერს საქართველოდან ჩასულ სტუმრებთან ერთად სიამოვნებით გამოდიან იქაური ქართველებიც და აზერბაიჯანელებიც. წლეულსაც ასე იყო. საასპარეზოდ 60-მდე მოჭიდავემ მოიყარა თავი. ყველაზე მსუბუქ წონაში – 30 კილოში გაიმარჯვა ცნობილი ფალავნის, ათენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორის, ორ-ორგზის მსოფლიოს (გუნდური) და ევროპის ჩემპიონის ნესტორ ხერგიანის 10 წლის ვაჟმა ირაკლიმ, რომელმაც ფინალში მასპინძელი ელდარ თაგოშვილი დაამარცხა. დანარჩენ წონებში პირველ ადგილებზე გავიდნენ: რაულ ფოლადაშვილი (კახი), იაკობ მაისურაძე (ლაგოდეხი), ნიკოლოზ ზურაბაშვილი (თბილისი), ზვიად ზეინალაშვილი (მეშაბაში), გიორგი ტყემალაძე (ლაგოდეხი), ალეკო ნანიევი (ყვარელი), ირაკლი კაციაშვილი (კახი), ბექა ბერიაშვილი (თბილისი), გიორგი ბარლიანი (თბილისი).

ქურმუხობაზე მკლავჭიდელებმაც გამოსცადეს საკუთარი შესაძლებლობები. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ მერაბ ფოლადაშვილი (კახი), გიორგი გურჯიძე (თბილისი), კობა ემრაშვილი (კახი) და ნუკრი ბაბაჯანაშვილი (მეშაბაში).



კალათბურთი

# მხოლოდ შედეგები

**ევროლიგის ჯგუფური რაუნდის V ტური.**

**„ა“ ჯგუფი.** მაქაბი – უნიკახა 73:80, ციბონა – აველინო 82:79 (დამატებით დროში), ლე მანი – ოლიმპიაკოსი 93:98.

ოლიმპიაკოსი, ციბონა – 4-4, უნიკახა – 3, აველინო, მაქაბი – 2-2, ლე მანი – 0 მოგება.

**„ბ“ ჯგუფი.** ჟალგირისი – ბარსელონა 60:75, სიენა – ნანსი 86:63, პროკომი – პანათინაიკოსი 60:67.

ბარსელონა, სიენა, პანათინაიკოსი – 4-4, პროკომი – 2, ნანსი – 1, ჟალგირისი – 0 მოგება.

**„გ“ ჯგუფი.** რომა – ფენერბახჩე 76:67, ოლიმპია – ალბა 77:69, ხუვენტუდი – ტაუგრესი 105:100.

რომა – 4, ტაუგრესი, ფენერბახჩე – 3-3, ხუვენტუდი, ალბა – 2-2, ოლიმპია – 1 მოგება.

**„დ“ ჯგუფი.** ეფესი – რეალი 81:95, მილანი – პანიონიოსი 77:73, პარტიზანი – ცსკა 62:63.

ცსკა – 5, რეალი – 3, პარტიზანი, ეფესი, პანიონიოსი – 2-2, მილანი – 1 მოგება.

ჭიდაობა

# თავისუფლების მონაგარი

**ხუთი ქვეყნის 150-ზე მეტი ფალავანი მონაწილეობდა განჯაში (აზერბაიჯანი) ისაკ ჯაფაროვის სახელობის საერთაშორისო ტურნირში. ამ შეჯიბრებაზე დამსახურებული მწვრთნელის მარლენ ოსიყმაშვილის ხელმძღვანელობით საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა 6 მედალი მოიპოვეს.**

66 კილოში პირველი ადგილი დაიკავა ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა კობა კაკალაძემ, რომელმაც ფინალში ირანელ სასიდ მადაშფოკს აჯობა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა არჩილ ქიტიაშვილი (84), რომელმაც ოს ტამერლან თაგზიევს სძლია. ამ წონაში მესამე ადგილი თორნიკე სვანიძეს ხვდა.

ვერცხლის მედლებით დაკმაყოფილდნენ მალხაზ ქურდიანი (60), ბელდუხ აბდუშელიშვილი (96) და ზურაბ ნიკურაძე (მძიმე წონა). საგულისხმოა, რომ აბდუშელიშვილმა ხელის ტრავმა მიიღო და ფინალში არ უჭიდავია.

ფაქტი

# სანკტ-პეტერბურგელი ფანატების სირცხვილი

**ეს ბანერი გასულ კვირას სანქტ-პეტერბურში „ზენიტისა“ და მოსკოვის „დინამოს“ შეხვედრის დროს გამოჩნდა ტრიბუნებზე: „ჩაძაღლდა თქვენი იაშინი, ჩაძაღლდება „დინამოც“.**




როგორც შემდეგ გამოირკვა, ამ სკანდალური დემონსტრაციისთვის „ზენიტის“ ფანატები (რასაკვირველია, არა ყველა) ადრევე ემზადებოდნენ. სამი დღით ადრე ამის გამო დისკუსია მათ საიტზეც კი გაიშალა. ის კი უწმაწური სიტყვების სიუხვითაც გამოირჩეოდა. გულშემატკივრების უმრავლესობის პროტესტის მიუხედავად, სამარცხვინო ბანერი ტრიბუნაზე მაინც გამოჩნდა.

ინტერნეტიდან



## „რკინის მაიკი“ გასუქდა?

**კრივის მოყვარულნი მწუხარებით აღნიშნავენ, რომ უზომოდ გასუქდა მათი კერპი – ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი მაიკ ტაისონი.**

42 წლის რკინის მაიკმა ბოლო ხანებში 25 კილოგრამი მოიმატა (თურმე ძალიან უყვარს ჰამბურგერები, ფულის გულისთვის რეკლამასაც უკეთებს) და ძალიან დაემსგავსა სუმოს მოჭიდავეს.

მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა ბევრ მოკრივეს რინგზე დაბრუნება აიძულა. ასეა 46 წლის ევანდერ ჰოლიფილდი, ამასვე აპირებს 43 წლის ლენოქს ლუისი, თუ კი ვიტალი კლიჩკოსთან ბრძოლისთვის 100 მილიონ დოლარს გადაუხდიან.

## დამაშვრალნი დააპურეს

**ამ წყვილს მთელ მსოფლიოში იცნობენ: ამ ქვეყნად ყველაზე მაღალანაზღაურებადმა მოდელმა, ბრაზილიელმა ჟიზელ ბუნდჩენმა და მისმა შეყვარებულმა „ნიუ-ინგლენდ პატრიოტსის“ პოპულარულმა მოთამაშემ ტომ ბრეიდიმ მადლიერების დღისთვის ქველმოქმედების აქცია მოაწყვეს.**

შეყვარებულები იმ დღეს ბოსტონში აღმოჩნდნენ და სწორედ იქ დაეხმარნენ ღარიბებს. ჟიზელმა და ტომმა მონაწილეობა მიიღეს მშივრებისა და უსახლკაროებისთვის ამ დღეისთვის ტრადიციული კერძის – შემწვარი ინდაურის ხორცის დარიგებაში. თანაც ეს როლი ორივეს ძალზე მოეწონა. პაპარაცებმა კი მშვენიერი ფოტოსურათები გადაუღეს წყვილს.

შეგახსენებთ, რომ ტომი და ჟიზელი 2006 წლიდან ხვდებიან ერთმანეთს.



# განცხადებები
# აუქციონის ჩატარების შესახებ

**ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2008 წლის 16 დეკემბერს 12 საათზე, ტყიბულში, კარლო ლომაძის მოედანი №3-ში (ტყიბულის ყოფილი რაიონული საგადასახადო ინსპექციის შენობაში) სსკს „ციხიას“ ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს განმეორებით აუქციონს.**

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1. კლუბ-კანტორა ნაძვაში, 33,57კვმ. შეფასებულია 1200 ლარად,
2. საყარაულო ჯიხური, შეფასებულია 50 ლარად,
3. სახერხის შენობა, შეფასებული 100 ლარად,
4. საკრებულოს სახლი, ხის, 84კვმ. შეფასებულია 1500 ლარად,
5. ბეღელი ბობოთში, 20კვმ. შესაკეთებელია, შეფასებულია 250 ლარად,
6. სამჭედლო ბობოთში, 20კვმ. შეფასებულია 300 ლარად,
7. ე.წ. „დრაბილკის შენობა“, ვარგისია როგორც მასალა, შეფასებულია 100 ლარად,
8. ფერმა ციხიაში, კაპიტალური შენობა, აგებული აგურით და ყორე ქვით, 500კვმ. შეფასებულია 5000 ლარად,
9. ავტომანქანა გაზ-53-ა, უვარგისი, გამოშვ. 1968წ. შეფასებულია 100 ლარად,
10. ავტომანქანა კავზ-685, უვარგისი, გამოშვ. 1989წ. შეფასებულია 150 ლარად,
11. ავტომანქანა ზილ-130, აღსადგენია, გამოშვ. 1984წ. შეფასებულია 800 ლარად,
12. ავტომანქანა გაზ-53-ბ, უვარგისი, გამოშვ. 1982წ. შეფასებულია 100 ლარად,
13. ავტომანქანა გაზ-52-03, უვარგისი, გამოშვ. 1974წ. შეფასებულია 100 ლარად,
14. ავტომანქანა გაზ-53, აღსადგენია, საჭიროებს კაპიტალურ რემონტს, გამოშვ. 1982წ. შეფასებულია 200 ლარად.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 9950 (ცხრაათასცხრაას ორმოცდაათი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექციასთან) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექციას) მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. 1.

**ტელ: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79.**

---

**ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2008 წლის 16 დეკემბერს 14 საათზე, ტყიბულში, კარლო ლომაძის №3-ში (ტყიბულის ყოფილი რაიონული საგადასახადო ინსპექციის შენობაში) სსკს „გურნას“ ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს განმეორებით აუქციონს.**

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1. საწვავის საწყობი, ერთსართულიანი, აშენებულია გვიშტიბის ბლოკით, 48კვ.მ. შეფასებულია 400 ლარად;
2. საღორე ბეროულის მთაში №1 შეფასებულია 600 ლარად;
3. საღორე ბეროულის მთაში №2 შეფასებულია 500 ლარად;
4. ა/მანქანა „გაზ-53“ □№22-19 შეფასებულია 200 ლარად;
5. ა/მანქანა „ზის 157“ №54-27 შეფასებულია 500 ლარად;
6. ა/მანქანა „გაზ-53“ შეფასებულია 250 ლარად;
7. ა/მანქანა „გაზ-51“ №22-26 შეფასებულია 150 ლარად;
8. ა/მანქანა „გაზ-52“ შეფასებულია 200 ლარად.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 2800 (ორიათას რვაასი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

**ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. 1.**

**ტელ.: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79.**

---

**ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2008 წლის 16 დეკემბერს 11.30 საათზე, ტყიბულში, კარლო ლომაძის №3-ში (ტყიბულის ყოფილი რაიონული საგადასახადო ინსპექციის შენობაში) ს.ს.კ.ს. „ჯვარისას“ ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს განმეორებით აუქციონს.**

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1. ოფისი – ორსართულიანი შენობის მეორე სართულზე – 134 კვ.მ., - შეფასებულია – 1800 ლარად;
2. რკინის ღობე – 68,7 კვ.მ., - შეფასებულია – 1200 ლარად;
3. წისქვილი – 35,7 კვ.მ., - შეფასებულია – 250 ლარად;
4. წისქვილის ქვები – დიამეტრით 0,9 მ. – 2 ცალი – შეფასებულია – 100 ლარად;
5. სასწორი – 15 ტონიანი – შეფასებულია – 1500 ლარად;
6. ავტომობილი „გაზ-53ბ“ – შეფასებულია – 500 ლარად;
7. ავტომობილი „გაზ-52-03“ – შეფასებულია – 350 ლარად;
8. ბულდოზერი „დტ-75ბ“ – შეფასებულია – 3200 ლარად;
9. ავტომობილი „საზ-3503“ – შეფასებულია – 95 ლარად;
10. ავტომობილი „საზ- 35-03“ – შეფასებულია – 140 ლარად;
11. ავტომობილი „გაზ-51ა“ – შეფასებულია – 600 ლარდ;
12. ტრაქტორი „დტ-75“ – შეფასებულია – 6500 ლარდ;
13. ავტომობილი „კავზ-685“ – შეფასებულია – 1000 ლარდ;
14. ბულდოზერი „დტ-75ბ“ – შეფასებულია – 5000 ლარდ;
15. ავტომობილი „ზილ-157კდ“ – შეფასებულია – 1600 ლარდ;
16. ავტომობილი – „გაზ-52-04’ – შეფასებულია – 1300 ლარდ;
17. ავტომობილი „გაზ-52“ – შეფასებულია – 160 ლარად;
18. ავტომობილი „უაზ-3303-01“ – შეფასებულია – 800 ლარდ;
19. ავტომობილი „გაზ-53ბ“ – შეფასებულია – 1100 ლარად;
20. ერთფრთიანი საკიდი გუთანი – შეფასებულია – 150 ლარად;
21. ერთფრთიანი საკიდი გუთანი – შეფასებულია – 150 ლარდ;
22. თვითნაკეთი ფარცხი – შეფასებულია – 200 ლარად.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 27695 (ოცდაშვიდიათას ექვსასოთხმოცდათხუთმეტი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია).

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

**ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. □1**

**ტელ.: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79.**

---

**ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2008 წლის 16 დეკემბერს 14:30 საათზე, ტყიბულში, კარლო ლომაძის მოედანი №3-ში (ტყიბულის ყოფილი საგადასახადო ინსპექციის შენობაში) შპს „სოჩხეთის თაიგულის“ ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს გამეორებით აუქციონს.**

სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

1. სასწორი დიდი, ვარგისი, შეფასებულია 3000 ლარად.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 3000 (სამიათასი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

**ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. 1.**

**ტელ.: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79.**

# განცხადებები
# აუქციონის ჩატარების შესახებ

**ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2008 წლის 16 დეკემბერს 13 საათზე, ტყიბულში, კარლო ლომაძის №3-ში (ტყიბულის ყოფილი რაიონული საგადასახადო ინსპექციის შენობაში) სსკს „ორპირის“ ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს განმეორებით აუქციონს.**

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1. სატვირთო ავტომობილი „გაზ-52-03“ შეფასებულია 200 ლარად;
2. სპეცავტომობილი „გაზ-52-01“ შეფასებულია 340 ლარად;
3. გუთანი „პნ-3X35“ შეფასებულია 100 ლარად;
4. სამფრთიანი გუთანი შეფასებულია 300 ლარად;
5. ტრაქტორის ერთღერძიანი მისაბმელი შეფასებულია 350 ლარად;
6. ტრაქტორის ერთღერძიანი მისაბმელი შეფასებულია 350 ლარად;
7. ტრაქტორის მისაბმელის ნაწილები შეფასებულია 111 ლარად;
8. ჯართი შეფასებულია 90 ლარად;
9. თვითნაკეთი ფარცხი შეფასებულია 400 ლარად;
10. ფერმა ზედა ჭყეპში, აშენებულია ბლოკით, 190კვ.მ. შეფასებულია 2000 ლარად;
11. ელ. წისქვილი ნაბოსლევში აშენებულია ბლოკით, 16კვ.მ. 300 ლარად;
12. ელ. წისქვილი ორპირში აშენებულია ბლოკით, 20კვ.მ. შეფასებულია 200 ლარად;
13. საბრიგადო სახლი ჭყეპში აშენებულია ბლოკით, 140კვ.მ. შეფასებულია 2500 ლარად;
14. საბრიგადო სახლი შუყერში აშენებულია ბლოკით, 23კვ.მ. შეფასებულია 1200 ლარად;
15. საბრიგადო სახლი ლაფეთში აშენებულია ბლოკით, 93კვ.მ. შეფასებულია 1800 ლარად;
16. კარავი შუყერში 3X3 შეფასებულია 30 ლარად;
17. ელ. წისქვილი ჯონიაში – 21კვ.მ. – შეფასებულია 300 ლარად.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 10871 (ათიათას რვაასსამოცდათერთმეტი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

**ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. 1.**

**ტელ.: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79.**

---

**ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2008 წლის 16 დეკემბერს 15 საათზე, ტყიბულში, კარლო ლომაძის №3-ში (ტყიბულის ყოფილი რაიონული საგადასახადო ინსპექციის შენობაში) სსკს „ხრესილის“ ყადაღადადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს განმეორებით აუქციონს.**

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1. ა/მანქანა „გაზ-52-04“ შეფასებულია 500 ლარად;
2. ა/მანქანა „საზ-35-07“ შეფასებულია 800 ლარად;
3. ა/მანქანა „გაზ-53ა“ შეფასებულია 500 ლარად;
4. ბულდოზერი „დ-606“ შეფასებულია 3000ლარად;
5. გუთანი „პლნ 4-35“ შეფასებულია 200 ლარად;
6. ტრაქტორი „მტზ-82“ შეფასებულია 1000 ლარად;
7. ავტობუსი „კავზ-685“ შეფასებულია 700 ლარად;
8. ადმინისტრაციული შენობა ორსართულიანი, აშენებულია აგურით, 63.6კვ.მ შეფასებულია 1500 ლარად;
9. ბრიგადირის სახლი ხრესილში ერთსართულიანი, აშენებულია ბლოკით, 70კვ.მ. შეფასებულია 800 ლარად;
10. ბრიგადირის სახლი ღელვაში, შენობა დანგრეულია;
11. სახერხი ახალდაბაში, ლითონის მაგიდა-დაზგა,, შეფასებულია 250 ლარად;
12. კარავი ჩაიში აშენებულია ბლოკით, 26კვ.მ შეფასებულია 100 ლარად;
13. ხელოვნური დათესვლის პუნქტი, აშენებულია აგურით, 22კვ.მ შეფასებულია 150 ლარად;
14. საყარაულო ჯიხური ავტოფარეხთან, აშენებულია ბლოკით, 9კვ.მ. შეფასებულია 100 ლარად;
15. სამჭედლო ახალდაბაში, 19კვ.მ. შეფასებულია 150 ლარად;
16. სამჭედლო ხრესილში 18კვ.მ შეფასებულია 150 ლარად;
17. სასწორი 50კგ. 1 ცალი შეფასებულია 50 ლარად;
18. კასა უბრალო ვარგისი, 1 ცალი შეფასებულია 50 ლარად;
19. საბეჭდი მანქანა 1 ცალი შეფასებულია 10 ლარად;
20. საწერი მაგიდა 1 ცალი შეფასებულია 20 ლარად;
21. ცეცხლგამძლე კასა 1 ცალი შეფასებულია 100 ლარად.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 10130 (ათიათას ასოცდაათი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

**ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. 1.**

**ტელ.: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79.**

---

**ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2008 წლის 29 დეკემბერს 14 საათზე, თერჯოლაში, ჭანტურიძის ქუჩა №7-ში (თერჯოლის ყოფილი რაიონული საგადასახადო ინსპექციის შენობაში) „თერჯოლის რაიკოოპერატივი“-ს ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს აუქციონს.**

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1. ავტომობილი „გაზ-53“ სარეგისტრაციო №DAS-902, შეფასებულია 750 ლარად;
2. ავტომობილი „გაზ-53“ ძრავის №205756, შეფასებულია – 750 ლარად;
3. ავტომობილი „გაზ-66“, შეფასებულია – 255 ლარად;
4. ზედა ალისუბნის მაღაზია – აშენებულია წვრილი ბლოკით, 94 კვ.მ. – შეფასებულია – 2300 ლარად;
5. ზედა ალისუბნის (ჩიტაძეების მაღაზია) –პავილიონის ტიპის ლითონის კონსტრუქცია – 25.5 კვ.მ. – შეფასებულია – 1800 ლარად;
6. ტელეფას მაღაზია – აშენებულია წვრილი ბლოკით – 130 კვ.მ. – შეფასებულია – 1500 ლარად;
7. ჭანკვეტაძეების მაღაზია – აშენებულია წვრილი ბლოკით – 66.5 კვ.მ. – შეფასებულია – 1200 ლარად;
8. მხეიძეების მაღაზია – 21.2 კვ.მ. – შეფასებულია – 600 ლარად;
9. სასურსათო მაღაზია სიქთარვაში – აშენებულია წვრილი ბლოკით – 53.8 კვ.მ. – შეფასებულია 2500 ლარად;
10. პურის საცხობი სოფ. ეწერში – აშენებულია წვრილი ბლოკითა და ქვით – 123 კვ.მ. – შეფასებულია – 2200 ლარად;
11. ეწერის (უკლებას მაღაზია) – პავილიონის ტიპის ლითონის კონსტრუქცია – 60 კვ.მ. – შეფასებულია – 2000 ლარად.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 15855 (თხუთმეტიათას რვაასორმოცდათხუთმეტი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია).

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

**ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექცია) მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. 1.**

**ტელ.: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79.**

## ხმა აგაშიდან



# მილდა ჩაგანავა

## გულო გამიძელ...

2008 წლის აგვისტო

ვაჟას შვლის ნუკრები დამირბიეს,
გორგასლის ხოხბები დამიფრთხეს,
დავითის დაზები დამინგრიეს,
თამარის უთხოვრები დამიწვეს,
კოლხური მუხები დამიჩეხეს,
გზისპირებზე ნაღმები დამიწყვეს,
ზღვაში კატარღები ჩამიძირეს,
დედებს ისევ შავები ჩამიცვეს,
ატენს პატარები დამიობლეს,
იგოითს ხოდაბუნი დამიწვეს,
გული მწუხარებით დამიმდუღრეს,
ჭაბუკნი მიქციეს სამიწედ.
ნიქოზს ტაძარიც დამიბომბეს,
ბორჯომს ტყე-პარკი დამიწვეს,
გმირთა საფლავები შემიგინეს,
შორით თითისქნევა დამიწყეს...
„ხელი ხმალს იკარ“ და „აბა, ულა“!
ტანკების ავ გრუხუნში ჩამიხშეს,
პირით მურიანით ცილი მწამეს,
წმინდა წყაროსთვალი დამიშრეს...
ფუძის ანგელოზი ამიტირეს,
ღამის სასოება ჩამიკლეს,
სულაც დაჩოქება დამიპირეს,
ამაწიოკეს და ამიკლეს...
წინაპართ სულები ამიბორგეს,
ერი შემირეკეს კარვებში,
სიმართლე ბაგირებით გამიკოჭეს,
თხები შემირიეს კრავებში...
წმინდა ბერების სიმშვიდე დამირღვიეს,
პოეტნი სულში ღრმად დამიჭრეს,
მიწაზე, იათა საკოცნელზე,
სანგარ-ტრანშეები გამიჭრეს;
რუს, ალან, აფხაზ ძმათ რომ წამკიდეს,
თვითტომთ დიდი ბრალი აჰკიდეს,
ულმერთოთა, სატანის მოცუქულთა
მესია ისევ ჯვარზე გამიკრეს“...
ქალებში ხვასტაგი ამიბღავლეს,
მურია ქიშკართან მომიკლეს...
მაგრამ... ხმალი უფრო გამიფხავეს,
მაგრამ... რწმენა ველარ ჩამიკლეს!..
ო, ლილე, იხილე შენი თვალით
ურდოს გაჩენილი ხანძარი,
ციური ნაკადების მოსაღვრელად
ღრუბელთა ლაშქარი დასძარი!
ნახანძრალს – სალბუნად, დუშმანს – რისხვად!
შენს ისარს არ ეშლება სამიზნე,
ქუდო უდრეკელო, მუხლო მგლისა,
გულო, ამჯერადაც გამიძელ!
არ მსურს, იფქლი ღვარძლში ამერიოს,
სისხლში გამესვაროს ხელი მე,
შენ რომ თოფს მიღერებ, „გაულ, გავხეს“,
„მხედრულს“ და „ხასანბეგურს“ ვმღერი მე;
შენ რომ მაჩანაგებ, ზედაშეს ვსვამ, –
„ასე დამეცალოს მტერი მე“,
შენ რომ მირისხდები, „აბადელას“,
„ჩაკრულოს“ და „სულიკოს“ ვმღერი მე.
სამკვიდროს ჩემის საიმედოდ,
შვილებს უკვლავ დაზრდიან დედანი,
გვიცავს ზესკნელის სამეუფო,
მოგელავს ზეციური მხედარი.
კვლავ ვნახავ, მამულს გაცოცხლებულს,
მტრის მძლეველს რწმენითა და ჯვარითა,
ძმებითა, დებითა და შვილებითა,
ზღვითა და, მთითა და, ბარითა...

## დევნილის ლექსი

ქუჩაში სახლი დამიდგეს,
სახლი კი არა – კარავი,
ჯავრი როდი მაქვს კარღიას,
მაწანწალის თუ მპარავის
(ისეთი ჟამი დამიდგა
არავინ არ ჯობს არავისძ...
იქ, სახლში დამრჩა სახატე,
ვერცხლის შანდალი, კანდელი,
ჩლატებით რომ გამოვრბოდი,
ჯერაც იწვოდა სანთელი.
იქ, სახლში, დამრჩა „ოთხთავი“,
ყველა სხვა წიგნიც, რჩეული,
შვიდი ბლოკნოტი ლექსების,
ნოტების შვიდი რვეული;
იქ, სახლში, დამრჩა წინაპრის
მაჭახელა და ხანჯალი,
დარბაზში – ძველთუძველესი
ბუღაური და ბორჯღალი;
იქ, სახლში, დამრჩა ჩონგური,
ზანდუკი, ბებოს ნამზითვი,
და ფიჩხი – ათი გუდურა,
ძლივს მოზიდული საზიდრით...
„ახლა აქა ვარ, ამ გზაზე,
ამ უნუგეშო ღამეში...
იქნებ, ეზო-კარს მიკლებენ...
იქნებ მოსწყინდათ თარეში“...
...ცის კარვით – კალთით ღვთისმშობლის
ნამი აცვივა ჩვენს კარვებს
და უსახელო იმედი
სულის სალმობას მიქარვებს...
როცა იძინებს სუყველა,
ვფიქრობ ცის თორმეტ სართულზე,
სადღაც ოდესღაც წაკითხულ
მართლაც საოცარ ქართულზე:
შენ, „ვინც ხარ იგი, ვინცა ხარ“,
„მყარს გარდაათხენ ცა კარვად“
შენა ხარ ჩვენი მშველელი
მწამხარ, გსასოებ, მიყვარხარ.

№2/4383-07

# განჩინება

საქართველოს სახელით

(პუბლიკაციის მეშვეობით საჯარო შეტყობინების შესახებ)

24 ნოემბერი, 2008 წელი ქ.თბილისი

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე სოფიო მაჭავარიანმა, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შპს „ვაგის“ სარჩელზე საჯარო პუბლიკაციის გამოყენების საკითხი და**

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ეცნობოთ ნიკოლოზ ალადაშვილს, ზურაბ ანანიაშვილს, ბადრი მოლაშხიას, გივი გაჩეჩილაძეს, ნიკოლოზ გედენიძეს, პაატა კაპანაძეს, ლამარა მჭედლიძეს, გიორგი ნიშნიანიძეს, ვიქტორ ოყრეშიძეს, ელგუჯა უნდილაშვილს, გიორგი ქიმერიძეს, მარინე ყიფშიძეს, დავით შალიკაშვილს, ილია ჩათლაშვილს, სს „დავით აღმაშენებელს“, შპს „ა.მ.ს“, შპს „ლადი აუდიტს“, შპს „ლუსანსა“ და შპს „ხოხობს“, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია საქმე № 2/503-08 საქმე შპს „ვაგის“ სარჩელისა გამო, მოპასუხეების ნიკოლოზ ალადაშვილის, ზურაბ ანანიაშვილის და სხვათა მიმართ მათი შპს „ვაგის“ პარტნიორობიდან გარიცხვის შესახებ;
2. ნიკოლოზ ალადაშვილს, ზურაბ ანანიაშვილს, ბადრი მოლაშხიას, გივი გაჩეჩილაძეს, ნიკოლოზ გედენიძეს, პაატა კაპანაძეს, ლამარა მჭედლიძეს, გიორგი ნიშნიანიძეს, ვიქტორ ოყრეშიძეს, ელგუჯა უნდილაშვილს, გიორგი ქიმერიძეს, მარინე ყიფშიძეს, დავით შალიკაშვილს, ილია ჩათლაშვილის, სს „დავით აღმაშენებელს“, შპს „ამს“, შპს „ლადი აუდიტს“, შპს „ლუსანსა“ და შპს „ხოხობს“ ეცნობოთ, რომ საქმეზე **მთავარი სხდომა დანიშნულია 2008 წლის 9 დეკემბერს, 12:00 საათზე,** რომელიც ჩატარდება თბილისში, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12, კმ, № 6-ში მდებარე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში. სასამართლო სხდომის დარბაზი № 28;
3. განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“;
4. განჩინება ქვეყნდება მოსარჩელის ხარჯით;
5. სასამართლო უწყება სხდომის დღის შესახებ მოპასუხეთათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს;
6. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

**მოსამართლე ს. მაჭავარიანი**

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**2008 წლის 10 დეკემბერს, 14 სთ-ზე დედოფლისწყაროს რაიონის სოფ. მირზაანის კულტ. სახლში გაიმართება აუქციონი, რომელზეც გამოტანილი იქნება დედოფლისწყაროს რაიონის, სოფ. მირზაანის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „ფიროსმანის“ კუთვნილი ქონება:**

1. კულტურის სახლი;
2. კოოპერატივის კანტორის შენობა;
3. „ატს“-ის შენობა;
4. წყლის აუზი;
5. შინმოუსვლელთა სტენდი თავისი ტყე-პარკით.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მიაკითხეთ სსკ „ფიროსმანის“ (1ძ გაკოტრების მმართველს კახი გონაშვილს სოფ. მირზაანში. აუქციონი გაიმართება დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოში.

**გაკოტრების მმართველი კახი გონაშვილი**

**2008 წლის 26 ნოემბრის შერწყმის ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელდა შპს „ივერმშენი-2-ის ს.კ. 200078931 და ს.ს. „ივერიამშენის“ ს.კ. 201945404 შერწყმა. დაინტერესებულმა პირებმა მიმართეთ გურამიშვილის გამზ. №76-ში, საკონტაქტო ტელეფონი 62-21-12.**

## ინფორმაცია



# მოსკოვში ოსური წარმოშობის ქართველი ბიზნესმენი მოკლეს

**მოსკოვის ცენტრში წარმოშობით ქართველი ბიზნესმენი ოლეგ ავლოხაშვილი მოკლეს, – იუწყება რადიო „ეხო მოსკვი“.**

როგორც სააგენტო „რია ნოვოსტი“ წერს, გუშინ მოსკოვის დროით 05.00 საათისთვის სამართალდამცავებმა აღმოაჩინა მანქანა, რომელიც ხეს იყო შეჯახებული. მძღოლის მხარეს კი, მანქანის კარებზე დაახლოებით 10 ნატყვიარია.

სამართალდამცავთა ვერსიით, ინციდენტი შეკვეთილ მკვლელობას ჰგავს. მოკლულია 37 წლის ოლეგ ავლოხაშვილი. მანამდე იგი ცხოვრობდა ოსეთში, სადაც იყო სამრეწველო წარმოების გენერალური დირექტორი; გარკვეული პერიოდის წინ კი მოსკოვში გადავიდა. ავლოხაშვილი რამდენიმე ოფისს ფლობდა და აქირავებდა, –ნათქვამია ინფორმაციაში.

მოსკოვში არ გამორიცხავენ, რომ ავლოხაშვილი კრიმინალურ სამყაროსთან ყოფილიყო კავშირში.

**ინტერპრესნიუსი**

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**სს „საქართველოს საფოსტო ბანკი“ აცხადებს აუქციონს. გასაყიდად გამოტანილი იქნება ქონება შემდეგ ლოტებად:**

1. კოლხეთის ჩაის ფაბრიკა (აქციებიძ – 51480 ცალი აქცია, რომელიც შეადგენს 24 პროცენტს. ფაბრიკა, მდებარეობს მარტვილში. ამჟამად არ ფუნქციონირებს. ფასი – 15 000 ლარი დღგ-ს ჩათვლით.
2. დედოფლისწყაროს ფილიალი: ფართი განთავსებულია ქ. დედოფლისწყაროში, სტალინის ქ. №2 ა, 5-სართულიანი კორპუსის პირველ სართულზე. მთლიანი ფართობი 88.6 კვ.მ. საწყისი ფასი 19 500 ლარი დღგ-ს ჩათვლით.
3. ლანჩხუთის ფილიალი: ფართი განთავსებულია ქ. ლანჩხუთში, თაბუკაშვილის №112-ში. მთლიანი ფართობი 166.1 კვ.მ. საწყისი ფასი 10100 ლარი დღგ-ს ჩათვლით.
4. წალენჯიხის ფილიალი: ფართი განთავსებულია წალენჯიხაში, თბილისის №7. მთლიანი ფართობი 179 კვ.მ. საწყისი ფასი 12000 ლარი დღგ-ს ჩათვლით.
5. სენაკის ფილიალი: ფართობი განთავსებულია ქ. სენაკში, ქურდოვანიძის ქ.№2-ში. მთლიანი ფართობი 59.09 კვ.მ. საწყისი ფასი 10400 ლარი დღგ-ს ჩათვლით.
6. ქარელის ფილიალი: ფართი განლაგებულია ქარელში სტალინის ქ. №64-ში. საერთო ფართი 281 კვ.მ. საწყისი ფასი 24400 ლარი დღგ-ს ჩათვლით.
7. ოზურგეთის ფილიალი: ფართი განთავსებულია ქ. ოზურგეთში, რუსთაველის ქ. №4-ში. მთლიანი ფართობი 141 კვ.მ. საწყისი ფასი 24200 ლარი დღგ-ს ჩათვლით.
8. კრწანისის ფილიალი, მდებარე ქ. თბილისში, ათონელის №12-ში. საერთო ფართი 86 კვ.მ. საწყისი ფასი 122120 ლარი, დღგ-ს ჩათვლით.

აუქციონი ჩატარდება 2008 წლის 4 დეკემბერს 12 საათზე, სს „საქართველოს საფოსტო ბანკის“ ადმინისტრაციის მისამართზე, ქ. თბილისი, გ. ჩიტაიას №21.

აუქციონში მონაწილეობისათვის „ბე“ შეადგენს გასაყიდი ქონების საწყისი ღირებულების 10 (ათიძ პროცენტს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა პირებმა აუქციონის კომისიას უნდა მიმართოს შემდეგი დოკუმენტაციით:

აძ განცხადება აუქციონში მონაწილეობის სურვილის შესახებ;

ბძ ბეს შეტანის დამადასტურებელი ქვითარი. ბე გადახდილი უნდა იქნას უნაღდო ანგარიშსწორებით, შემდეგ რეკვიზიტებზე: სს „საქართველოს საფოსტო ბანკის“ კოდი – 220101984, ანგ. №900161384, შიდა ანგ. 908000, საიდენტიფიკაციო კოდი – 202904045;

გძ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი და ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ სხვა პირის სახელით მოქმედებს;

დძ იურიდიულმა პირებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და იურიდიული პირების უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება აუქციონში მონაწილეობის შესახებ.

აუქციონში მონაწილეობის შესახებ განცხადება და დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნას არა უგვიანეს 2008 წლის 4 დეკემბრის 11 საათისა.

ყველა სხვა პირს, რომელთაც აქვთ უფლებები აუქციონზე გასაყიდ ნივთზე, ვალდებული არიან ამ უფლებების დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინონ აუქციონის დაწყებამდე.

დამატებითი ინფორმაცია გასაყიდი ობიექტის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ სს „საქართველოს საფოსტო ბანკის“ ადმინისტრაციის მისამართზე: ტელ: 95-72-33.

**საუქციონო კომისია**

ხსოვნა

# სოზარ (ბაუ) იაკობაშვილი



75 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი ინჟინერი და მეცნიერი, საქართველოს შემდუღებელთა ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს საინჟინრო და ადამიანისა და ბუნების უსაფრთხოების აკადემიების აკადემიკოსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სოზარ (ბაუძ იაკობაშვილი.

ს. იაკობაშვილმა 1956 წელს წარმატებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტი. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1956 წლიდან რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მეფოლადედ და ცვლის ოსტატად, იყო კიევის ელექტროშედუღების ინსტიტუტში მსოფლიოში აღიარებული მეცნიერის, აკადემიკოს ბორის პატონის ასპირანტი, ლაბორატორიის გამგე, სადაც 1963 და 1972 წლებში დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა ლაბორატორიას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტში, კათედრასა და ლაბორატორიას საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, იქვე – სამეცნიერო კვლევით განყოფილებას. 1972-76 წლებში სათავეში ედგა თბილისის საშემდუღებლო მოწყობილობათა გაერთიანებას, როგორც გენერალური დირექტორი.

აკადემიკოს ს. იაკობაშვილის სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობა მოიცავს საშემდუღებლო ტექნოლოგიების პრაქტიკულად ყველა მიმართულებას. მის მიერ შესრულებულ სამუშაოებს უმაღლესი ხარისხის ჯილდოები აქვს მოპოვებული დელის, მოსკოვის, კალკუტის, ბარსელონას, ლაიფციგის და სხვა გამოფენებზე. იგი იყო სსრკ მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი, დაჯილდოებულია საქართველოს „ღირსების“ ორდენით, 2006 წელს მიენიჭა წლის საუკეთესო ინჟინრის წოდება.

სოზარ იაკობაშვილს გამოქვეყნებული აქვს 260 სამეცნიერო ნაშრომი, მიღებული აქვს 65 საავტორო მოწმობა და პატენტი. იგი 2 მონოგრაფიისა და 25 სახელმძღვანელოს ავტორია. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 3 სადოქტორო და 9 საკანდიდატო დისერტაცია.

ბოლო წლებში იგი სათავეში ედგა საქართველო-უკრაინის ერთობლივ სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრს, სადაც მრავალი სიახლე შეიქმნა შედუღებასა და მონათესავე ტექნოლოგიებში, ასევე ხელმძღვანელობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიას, იყო საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო ჟურნალის „მეტალურგიის, შედუღების და მასალათმცოდნეობის პრობლემები“ დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი. იგი აქტიურად იყო ჩართული საქართველოს საინჟინრო აკადემიის მეტალურგიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების საქმიანობაში.

აკადემიკოს სოზარ იაკობაშვილის სახით საქართველოს ინჟინერთა საზოგადოებამ დაკარგა მაღალი რანგის სპეციალისტი და გულისხმიერი მეგობარი, რომლის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი კოლეგებისა და მოწაფეების გულში.

საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდიუმი,
მეტალურგიისა და ქიმიური ტექნოლოგიის
განყოფილება

# სულიკო კახნიაშვილი

## წავიდა ჩვენგან დიდი ბუნების, ლამაზი სულის ადამიანი

ყოველთვის ძნელია გასახსენებელი ბარათების წერა, გინდა ყველაფერი აღმატებულ ხარისხში წარმოაჩინო და თან გეშინია, ამით უფრო არ დააკნინო სხვების თვალში იმ ადამიანის ამ ქვეყნიური ღვაწლი, რომელიც ჩვენი განუყოფელი სისხლით სისხლთაგანი და ხორცით ხორცთაგანია.



სულიკო კახნიაშვილი, დღეს საჯაროდ კეთილად ვახსენებთ იმიტომ, რომ საზოგადოებამ შეიტყოს, თუ როგორი კეთილსინდისიერი, მიზანმიმართული, გონიერი, შრომისმოყვარე, კაცთმოყვარე, მხიარული და თავისი საქმის პროფესიონალი იყო; იგი ყველას თანაბრად უნაწილებდა სითბოს, სიყვარულს და ამასთანავე მფარველის როლში გამოდიოდა. ამიტომაც გვიჭირს მასზე წარსულში საუბარი, რომელიც აღდგომის დღეს მოევლინა ქართულ ტრადიციებზე დაფუძნებულ ოჯახს და ორმაგი სიხარული აჩუქა, დღეს კი თვალს არ ვუჯერებთ, დავცქერით მის ცხედარს და მწუხარების ცრემლები გვახრჩობს.

ჩვენო სულიკო! უკვდავი გვეგონე და როგორც კეთილი ანგელოზი ყველა ახლობლის იმედი იყავი, მიღწეულით არ კმაყოფილდებოდი, ბუნებამ იმთავითვე მრავალმხრივი ნიჭით დაგაჯილდოვა, ორი ინსტიტუტის კურსდამთავრებული, ორივე სფეროს წარმატებით უძღვებოდი და დროის მოთხოვნას ასევე სწრაფი მანევრირებით პასუხობდი; გიყვარდა დღესასწაულების მოწყობა. კარგი თამადა, მომღხენი, იუმორით გაჟღენთილი გარშემომყოფთ ცხოვრებას უხალისებდი. მუსიკა ხომ შენი განუყოფელი ნაწილი იყო, ბავშვობაში სალამურმა გაგიტაცა, კლარნეტი, აკორდეონი და ფორტეპიანო საყვარელ ინსტრუმენტებად აქციე; გაათკეცებული ენერგიით უტევდი ცხოვრებას პატიოსანი შრომით, სამი შვილი შენთვის სამების განუყოფელი ნაწილები იყო და არც ერთის ვალში არ დარჩენილხარ. შვილიშვილებს კი მათთვის დაწერილ ლექსებში ეფერებოდი (მარის, გიორგის, ეროსისძ.

საომავლოდ უამრავი სასიკეთო ჩანაფიქრები გქონდა, მაგრამ დროის უკულმართობამ ჯანმრთელობა შეგირყია, განუკურნებელმა სენმა, რომელსაც ვაჟკაცურად უძლებდი და არ ეპუებოდი, ბოლოს მაინც დაგძალა, უდროოდ სამზეოდან მუდმივ სამყაროში გადაინაცვლე სრულიად გრძნობამორეულმა.

გვიმძიმს შენთან განშორება, გაგვიჭირდება უშენობა. იმედს ვიტოვებთ, რომ შენი სახიერება, ცხოვრებას, შენს შთამომავალში გადმოსული გააგრძელებს, გზამართალს იყოს შენი სავალი გზა, რამე თუ შენი ცხოვრება სუფთა, ალალი, სიყვარულით გარემოსილი, დიდი პაპის მოსახელეს უფლის მოსულს უფალს გაბარებთ, ჩვენთან კი ყოველთვის აღმოსავლეთის ნათებად რჩები, დიდი სამების ეკლესიას ფანჯრიდან რომ გასცქეროდი, იმედით გავსებდა, ცისკრის ვარსკვლავთან შეჭიდებული გვჯერა რომ იმ სამყაროდანაც ჩვენთვის ილოცებ, გპირდებით! შენთვის დანთებული სანთელი მუდამ ინათებს, ორმოც დღეში მიუხვალ შენს მოსიყვარულე მშობლებს, იქ მყოფ ახლობლებს და მოუყვები თუ რა ტკივილი გაიყოლე მშობლიური სამაჩაბლოდან უმოწყალოდ გამოდევნილი ახლობლებისა და საერთოდ უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისა.

გულისტკივილით გემშვიდობებით ძმაო და მეგობარო! მსუბუქი იყოს ქართული მიწა, რომელმაც ჩაგიბარა, მაგრამ რა გვეშველება ჩვენ, შენს საყვარელ დიდუბეში და დიდ დილომში ველარ გიხილავთ, ვის დავუძახებთ შენს სახელს მუდმივ ტკივილად დარჩენილო სულიკო!

ახლობლებისა და მეგობრების სახელით
შორენა ჟუჟუნაშვილი



მეუღლე ნანა, შვილები ხათუნა, ლევანი, ძმა თამაზი, სიდედრი ოლღა გურგენიძე, ცოლისდები გიული გურგენიძე, ბელა ოდილავაძე, ქვისლი გივი ანანიაშვილი, რძლები გოგონა გოგობერიშვილი, ეკა ნავროზაშვილი, ბელა ჯანგიძე, ლენა ლეკვეიშვილი, ნინო ქარდავა, სიძე გია გუგუციძე, შვილიშვილები მაიკო, ალექსანდრე, ანი, მძახლები ალექსანდრე, კლარა გუგუციძეები, ვაჟა, გულიკო ნავროზაშვილები, ძმისწული მამუკა დევდარიანი, ცოლის დისწულები გია, თამუნა ანანიაშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯემალ დევდარიანი

პანაშვიდი 29 XI, 16 სთ. გამოსვენება 30 XI, 14 სთ. მის: მიცკევიჩის 25 ა.

---

ირაკლი ჟორდანია, ილო ბარათაშვილი, გურამ ღოლობერიძე, გივი მესხიშვილი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობარი

ბაუ იაკობაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

სააქციო საზოგადოება „ეგრისის“ თანამშრომლები და მეგობრები თანაგრძნობას უცხადებენ მიხეილ (მიკაძ ჯაფარიძეს მამის

არჩილ ჯაფარიძის

გარდაცვალების გამო.

ხსოვნა

# ნოდარ ჯანაშია



მეცნიერთა რიგებს გამოაკლდა აღმოსავლეთმცოდნეობის ქართული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნოდარ ჯანაშია. იგი იყო წამყვანი სპეციალისტი თურქოლოგიის დარგში. ბატონი ნოდარის გამოკვლევებმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა და დიდად გაუთქვა სახელი ჩვენს ორიენტალისტიკას.

ნოდარ ჯანაშია დაიბადა 1925 წლის 1 იანვარს თბილისში. სკოლის დამთავრების შემდეგ იგი მსახურობდა საბჭოთა არმიაში და მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში, რაც არაერთი საბრძოლო ჯილდოთი აღინიშნა. დემობილიზაციის შემდეგ 1946 წელს ნოდარ ჯანაშია ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის თურქოლოგიის განყოფილებაზე. შემდეგ იგი ამთავრებს ასპირანტურას აკად. ს. ჯიქიას ხელმძღვანელობით და 1955 წელს იცავს საკანდიდატო, ხოლო 1970 წელს სადოქტორო დისერტაციებს.

თურქულ ენათა გრამატიკული წყობის თეორიულ საკითხებს, თურქულისა და აზერბაიჯანულის დიალექტებს მიეძღვნა ნოდარ ჯანაშიას შემდგომი სამეცნიერო მოღვაწეობა. მის შრომებში საკვანძო საკითხები ყოველთვის ახლებურად იყო გააზრებული, რაც მონოგრაფიებსა და სტატიებშია ასახული.

თურქული გრამატიკის სქემების სახით წარმომდგენი ენათმეცნიერისაგან მოულოდნელი იყო ხვავრიელი მოღვაწეობა მხატვრული თარგმანის დარგში. მისი ნიჭიერების დამადასტურებელია აზერბაიჯანულიდან და თურქულიდან ნათარგმნი ოცამდე სქელტანიანი რომანი. თურქულენოვანი რესპუბლიკების ცხოვრებაში მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა არ რჩებოდა მისი ყურადღების მიღმა. თურქული სამყაროს კვლევის საქმეში ნოდარ ჯანაშიას განსაკუთრებული ღვაწლი სულეიმან დემირელის მიერაც იქნა აღნიშნული. ასევე ემადლიერება მას თურქეთის საენათმეცნიერო საზოგადოება.

წარმოსაჩენია ნოდარ ჯანაშიას ერთგულება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი – ორმოცდაათი წელი მხოლოდ თურქოლოგიის კათედრაზე, 40 წელი – უცვლელ კათედრის გამგედ.

ბუნების ხედვის არაჩვეულებრივი უნარით დაჯილდოებული, შესაშური ერუდიციის მქონე, მოკრძალებული ხელოვანი – ინტელიგენტი – ასეთი დაამახსოვრდება ნოდარ ჯანაშია კოლეგებსა და მრავალრიცხოვან მოწაფეებს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულება, თურქული ფილოლოგიის დეპარტამენტი.

---

და ვიქტორია სირაძე, სიძე სერგო რიგვავა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ანზორ მოსეს ძე სირაძე

გამოსვენება 29 XI, 14 სთ. ალ. ყაზბეგის გამზირი 8, მე-III სადარბაზო.

---

საქართველოს საინჟინრო აკადემია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანაგრძნობას უცხადებს ქალბატონ ვიქტორია სირაძეს ძმის

ანზორ სირაძის

გარდაცვალების გამო.

---

ნათელა ვასაძე, მადონა მგელაძე, ნელი გურგენიძე, ლია ლომიძე, მედიკო მეზვრიშვილი, ნათელა ლალიძე, დალი ბოჯგუა, ნანი გუგუნავა, ლეილა სადრაძე, ლილი ტაბატაძე ღრმა მწუხარები თანაუგრძნობენ ქალბატონ ვიქტორია სირაძეს ძმის

ანზორ სირაძის

გარდაცვალების გამო.

---

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ღვაწლმოსილი მეცნიერის, პროფესორ

ნოდარ ჯანაშიას

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ ქალბატონ ელენე ბაბუნაშვილს და მის ოჯახს.

---

სააქციო საზოგადოება „ეგრისის“ თანამშრომლები და მეგობრები თანაგრძნობას უცხადებენ ტარიელ მიშელაძეს ბებიის

მარიამ ზირაქიშვილი-დევრისაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

კომპანია „გროს ენერჯი“ იუწყება, რომ დამფუძნებელ-პარტნიორს, ბატონ ლადო თათარიშვილს გარდაეცვალა დედა

შურა ჯობავა-თათარიშვილისა

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

მძახლები ნუცა ჩხაიძე, პალიკო კინტრაია, ნიკოლოზ კინტრია ოჯახით იუწყებიან

ფირუზა ქურხულის

გარდაცვალებას.

---

იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი ღრმა თანაგრძნობას უცხადებს ინსტიტუტის წამყვან ტექნოლოგს მარინა ხვედელიძეს მეუღლის

თამაზ გუმბერიძის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის უმაღლესი პროფესიული განათლების კოლეჯის ადმინისტრაცია და პედაგოგიური პერსონალი თანაგრძნობას უცხადებენ ვახტანგ ტულუშს დეიდის

მერი მახარაძე-მოისწრაფიშვილის

გარდაცვალების გამო.

## ალპინიზმი



# იუბილეს — განახლებული მუზეუმით

**მთამსვლელობას ქართველები უძველესი დროიდან მისდევენ, რასაც არქეოლოგიური გათხრებიც ადასტურებს, თუმცა ქართული სპორტული ალპინიზმის დასაწყისად ითვლება 1923 წელი, როცა ცნობილი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორების — გიორგი ნიკოლაძისა და ალექსანდრე დიდებულიძის ხელმძღვანელობით ზედიზედ ორი ასვლა განხორციელდა მყინვარწვერზე.**

მას შემდეგ 85 წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ქართველმა ალპინისტებმა უამრავ გამარჯვებას მიაღწიეს — არაერთხელ დალაშქრეს ევერესტი (8848 მ.)ძ და მსოფლიოს სხვა რვაათასიანი მწვერვალები: ლჰოცზე (8516ძ, დჰაულაგირი (8167ძ, ჩო ოიუ (8153ძ, შიშაპანგმა (8013ძ. სწორედ ჩვენი მთამსვლელების წარმატებებს ასახავს განახლებული მუზეუმი, რომელიც საქართველოს სპორტული ალპინიზმის 85 წლისთავთან დაკავშირებით გუშინ ალექსანდრე ჯაფარიძის სახელობის ალპურ კლუბში გაიხსნა.

**ელგუჯა ნადარეიშვილი**

**სურათებზე: მუზეუმის განახლების ერთ-ერთი ორგანიზატორი, ჟურნალისტი ვანო ჯაფარიძე (ზემოთ); მუზეუმის დარბაზში.**

**ავტორის ფოტო.**



## ძვირფასო მკითხველო!

# ჩვენს გაზეთზე ხელმოწერა გაიაფდა!




## თქვენი თანადგომისა გვჯერა

ფინანსური და ზნეობრივი პრობლემებით სავსე საქართველოში გაზეთმა **„საქართველოს რესპუბლიკამ“** შეინარჩუნა თავისი აკადემიური ტონი, პრინციპულობა და მიუკერძოებლობა, სითამამე და სიმართლე. ჩვენთვის არ არსებობს ყალბი ავტორიტეტები, ტაბუდადებული თემები, აკრძალული პრობლემები.

მკითხველთა აღიარებით **„საქართველოს რესპუბლიკა“** ყველაზე სანდო, დახვეწილი, კარგი ქართულით გამორჩეული, ტრადიციული, ჭეშმარიტად ეროვნული გაზეთია.

წლეულს, გაგანია ომის წინა დღეებში, **„საქართველოს რესპუბლიკას“** 90 (ოთხმოცდაათი)ძ წელი შეუსრულდა!

რედაქციამ გადახედა თავის ფინანსურ შესაძლებლობებს და მოსახლეობის შეჭირვებული ყოფა-ცხოვრების გათვალისწინებით, გაძვირების ნაცვლად 2009 წლის იანვრიდან აიაფებს გაზეთზე ხელმოწერის ფასს. ამიერიდან „საქართველოს რესპუბლიკა“ ერთი თვით მხოლოდ 10 ლარი ეღირება!

**ჩვენო ერთგულო მკითხველო! — შეატყობინეთ ყველას გაზეთის გაიაფების ამბავი და გამოიწერეთ ყოველდღიური, ყველაზე გაწონასწორებული, ყველაზე სანდო, ყველაზე ეროვნული „საქართველოს რესპუბლიკა“!**

შეგახსენებთ იმ ორგანიზაციებს, სადაც გაზეთზე ხელმოწერა შეგიძლიათ: მაცნე — 37.47.49; 25.33.88; საქპრესა — 93.30.40; ექსპრესი — 93.66.78; უწყებანი — 93.64.72; ინფოსერვისი — 95.48.82; რუბიკონი — 96.45.69.

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ აგრეთვე უშუალოდ რედაქციაში — კოსტავას ქ. №12. დაგვიკავშირდით ტელეფონებზე — 98.65.87, 899 79.76.79; 899 56.81.86.

**ბიზნესმენებს და რეკლამის ორგანიზატორებს შევახსენებთ, რომ ჩვენთან რეკლამა ყველაზე იაფი და მომგებიანია!**

გაიაფების შემდეგ გაზეთზე ხელმოწერა სამი თვით ღირს 30 ლარი, ექვსი თვით — 60 ლარი, ერთი წლით — 120 ლარი.

ჩვენი ინდექსია — 66434

**თქვენი თანადგომა ჩვენი გაზეთის აღორძინების ერთადერთი გზაა.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ, გაზეთი, რომელსაც ჩვენი სამშობლოს სახელი ჰქვია!**

## ინფორმაცია

# სამტრედიის სოფლებში გაზი შეიყვანეს

**საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ალექსანდე ხეთაგურმა სამტრედიაში გაზიფიკაციის სამუშაოები დაათვალიერა.**

სამტრედიის სოფელ ეწერში, გენადი ინასარიძის ოჯახში მინისტრმა, იმერეთის გუბერნატორ მიხეილ ჩოგოვაძესთან ერთად, გაზქურაც აანთო.

ალექსანდრე ხეთაგურის განცხადებით, საპრეზიდენტო პროგრამის — „გაზი ყველა სოფელს“ ფარგლებში გაზიფიცირების პროცესი გაგრძელდება.

**ინტერპრესნიუსი**

**რეკლამა** კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98–65–87; 899 32–85–76.

## კადრი



## ანეკდოტები

პატარა მიხომ მამა დახატა.

— არა უშავს, მაგრამ რატომ მაქვს ყვითელი თმა?

— იმიტომ, რომ მელოტი სალებავი არ მქონდა...

* * *



— ერთხელ ერთბაშად ათ ზვიგენთან მომიხდა გამკლავება, — ეუბნება ბაბუა შვილიშვილს.

— კი, მაგრამ, ბაბუ, შარშან რომ მითხარი, ერთბაშად ხუთ ზვიგენს შევებიო?

— იმიტომ, რომ შარშან პატარა იყავი და არ მინდოდა შენი შეშინება.

* * *

ანტიკრიზისული ანეკდოტი:

— რას შვრები, ვასკა?! ასეთი კრიზისია, შენ კი მხიარულობ.

— ეს თქვენა გაქვთ კრიზისი, თორემ ჩემს კრიზისს გუშინ გავეყარე.

* * *

საბალო ცეკვები — ეს არის ხელოვნება ფეხების გაწევისა მანამ, სანამ პარტნიორი მათზე დაგაბიჯებდეს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ ბოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
ვამეკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.